ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოქროს საწმისი

№2

1975

ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## პოეზია


1. ნიკო სამადაშვილი, ლექსები
10. გიორგი გამყრელიძე, ლექსები
22. ბესიკ მელიქიშვილი, ლექსები
26. მერაბ კამარელი, ლექსები
30. ზვიად გამსახურდია, განცდოლებანი /ლექსი/.
35. სეზმან მარცვილი, ლექსები
50. გელიკო დვალი, ლექსები
53. რაინერ მარია რილკე, ლექსები.


## პროზა


56. ბესიკ მელიქიშვილი, მინიატურები
60. ზურაბ ზედაშელი, სისხლის გათეთრება/ ფეერია/
79. მერაბ კოსტავა, იგავები


## წერილები


82. კონსტანტინე გამსახურდია, მოზაიკები, მწერლის დღიურიდან, წერილები.


## ქართველ მოღვაწეთა არქივიდან


121. ივანე ჯავახიშვილის წერილი ნიკო მარრისადმი
127. იროდიონ ევდოშვილის წერილი სანდრო შანშიაშვილისადმი

პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო სამადაშვილი

# თამარის მღვიმე

ცრემლივით ქალი. ჭანგების დაფნა,
ბედგაცრეცილი ძმათა ბანაკი.
ცისქვეშ უცნობი ქვეყნის გაფრენა
და მთაგორების ყრუ აგარაკი.
კიბეზე ვიღაც ნისლივით მგზავრი,
თუ ბეთჰოვენის ფრთხილი ნაბიჯი!
ბაღს ზევით კოშკი სვეტგაბზარული,
ნაქალაქევთან მთვარობს ნარინჯი.
ელდაშეწნული კლავიშთა მწუხრი,
წინ ყვავილებით სავსე კალათა.
ზამთრის ღამეში ხრჩოლავს ძველ ბუხრის
პანაშვიდებში – ქარის ბალადა.
ძილგაფრთხობილი სიზმრების ნახვა
და ალიონზე ხეების ძილი.
დაღლილ ხელების ყელთან შეკრუნჩხვა
და გუბე-გუბე განგების ჩრდილი.
მონასტრის ეზო, ლოცვა კედელთან.
შორს – წიწვნარევი ბილიკთა ფენა;
გული შეშლილი, მკვდარი კანდელი
და ფრინველების დიდი გაფრენა.

## ჩაეფლათ მაინც

თვალებს ტირილიც არ გაუმხილა
გულს უღონებდა დარდების ლაქა
ის დადიოდა ქუჩებში ფრთხილად
ფოთლებთან დიდხანს ილაპარაკა.

მას არ ექაჩა ღარიბი ეზოც,
ან რა ჯანდაბად უნდოდა ნეტავ,
კიდევ კარგი რომ ბინა არ ჰქონდა
და მკვდარი შიგნით ვერ ჩაიკეტა!

თორემ რა ექნათ მის ერთგულ ნაძვებს;
ვინ გაუღებდა კარს ერთი წამით?
ეხლა, შორს, ქარში კიდევ ძაგძაგებს
დაუმარხავი პოეტის გვამი!

## ქალაქს შორის

ნამტირალევი მივდივარ დღესაც,
სადაც არ მივალ ყველგან ღამეა,
ნეტავ ჩემს გულში ჩამოგახედათ;
რამდენი კვნესა და ვარამია.

დარდი კვამლივით მეხვევა ყელზე;
ირგვლივ რიყეა, უდაბნოს ქვები,
ისე დავდივარ ამ ქვეყანაზე,
თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქოს ქადაგად დავცემულიყავი
საკუთარ ბედის ანთებულ ხატთან
და ბნელ მთიების მამლის ყივილზე
აღგზნებულიყავი ქარში თანდათან.

სადღაც კიაფობს მთვარის ბუკი
შუქი დამეძებს - უნდა რომ სწუხდეს,
თითქოს მე ვიყო გამოქვაბული
და ჩემ ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუხდეს.

## სიზმრების ნაღვერდალი x)

შენთან ყოველთვის იმ დროს მოვდივარ,
როცა ბინდებში ხალხი ილევა,
ჩემი ცხოვრება შენი დარდია,
შენ კი ხარ ჩემი განწყობილება.

როცა შენს ალმარის შევყვები ხოლმე,
ხმა მესმის - რეკავ იდუმალ ზარებს,
ამ დროს ქვეყანა თითქოს ხომლდა
და ყველაფერი პირქვე ზანზარებს.

შენ რომ მრევლი გყავს, ისე ამოდის,
როგორც მერისხულ მლოცველთა ხროვა,
იწყება ქმუნვა მორთხმულ მოგვების
და მორიახლო ავდრების გროვა.

შენი ხე გარეთ გზნებით საუბრობს,
გზნება, რომელიც ჩვენ გაგვახუნებს;

x) მიძღვნილია ერეკლე ტატიშვილისადმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხე, რომ შენსავით ყველას გაურბის
და ხან მგზავრივით რომ გირახუნებს.

აქ არის წალაც მწველი სიამე,
გულს რომ ჩასცირი და იმალები.
შენი საკანი ან ზღვის ღამეა,
ან დაღუპული ნიცშეს თვალები.

ხან ქროლა თვალებს უცბათ იკრძალავ,
თითქოს კვნესიხარ: მიშველე დედავ...
თითებს ისრისავ, სხეულში ხრჩოლავ,
ოჰ, ეგ სამინე ხელებას ფშვენეტა!

ამ დროს შენს სახეს რას დაინახავ;
ძმაო, გამჩენმა არ დაგანახოს,
ისე შმაგია მაშინ ეგ სახე,
რომ შეიძლება კაცი დაღახეროს.

აგეკვიატე ნეტავ რა ქირად,
შენ რას აგწერდა რემბრანდტის ფუნჯი.
ამ დროს ხელებში გველი გიჭირავს,
და თვალებიდან მოსჩანს ფასკუნჯი.

ფანჯრიდან თითქოს ვიღაც კახელებს,
ნუთუ არ ეყო, რაც რომ გაწვალა!
ცუქსავ დღეებს და სწყევლი იმ ხელებს,
სამშობლოს გზები ვინც მიგასწავლა.

ზედმა სამხარიც კი ჩაციმხარა
და მეცაჩვია შფოთვა სიცილით
რა ვუყოთ მერე, ვინღა არ წავა
მიწისკენ, მაინც მეფობს სიკვდილი.

ჯანდაბას, ეგრე იხეტიალე
და გაიღვიძე მუდამ ცნიასით,
ხედავ ზვარაკო, შენ და სიცოცხლე
ამ დედამიწას როგორ შეაშრით!

იტყვიან: ჩუმად ვიდოდა ხალხში,
ზოგჯერ ხალხისგან სალამიც სწყინდა,
როცა სულ მარტოდ რჩებოდა სახლში,
რაღაცა ფერმკრთალ სიგიჟეს ქმნიდა.

რამდენი ბრიყვი ავს დაგაბრალებს,
„ვიცნობთ იმ ყარყუმს, მგონი მუნჯია"
სად, ვინ შეჰიგრძნობს იმ კაცის თვალებს,
კაცი რომელიც ხან ფასკუნჯია.

* *
*

მხუოდა ცემი
სივრცეების წრიალი ზღვაზე.
ლაჟვარდის ველი ვერ იტევდა ნაქარევ ფოთლებს.
მღეროდა ცემი,
ყრუ ქვითინი ესმოდათ ზარებს
და ვიღაც მგზავრი შორდებოდა ამ წუთისოფელს.

## ოდესღაც ახლობელს

დიდი ხანია არ მენახე კეთილმოსილო;
თუმც დანაღვლიებს მუდამ რაღაც ჰპრაწყვეთ ხელებით,
მოველ, გაწვიე, ტახტზე იქვე როგორც ზასილა,
ნახარშ ხორცის წვენს მადიანად იცოხნებოდი.

ძენი მეუღლე თავს იქნევდა, რასაც ბოდავდი,
ფანჯრებს ვიღებდა, რომ გესუნთქა უფრო იოლად,
ენას გიყოფდა ქუჩის მხრიდან ვიღაც ბოღლერი,
შენც ჩაძაღლდები - მოგძახოდა - ძუნწო ჩიორავ!

მიღალანებდი: შენ ლოთი ხარ, მე კი დოქტორი,
გჯეროდა, მთვარე შენთვის თურმე კვერცხებსაც დადებს:
დავბრუნდი ჩუმად, მიგატოვე კაცი - გოდორი;
და საქართველოს ჰაყოლებდი ლალისფერ დარებს.

### ნ ა ძ ვ ე ბ ი

ნაძვები კუბოს მიასვენებდნენ
და ყვავილები მიჰქონდათ ქარებს,
მიდიდან მთები იმას უსტვენდნენ;
ჰირქვე რომ ეგდო მსოფლიოს კარებთ.

ის სივრცეს გაჰყვა ხელაპყრობილი,
თვალებს სიხარულეც არ მიაკრა,
ხადილი, გმინება - ტალღების ჩრდილი,
შერქვა ავდრების წინ გადაყარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქოს სიკვდილიც რჩებოდა ოხრად,
ღმერთების ზრუნვაც დასწყევლა, დაჰგმო
ღამე ტირილით გადაიხურა
და გათენებას ვეღარ მიაკრო.

ვერ შეუცვალეს გზებმა ბუნება,
თუმცა ბავშვივით უჭერდნენ ხელებს,
ნაფეხურს ეთქვა, არ დაბრუნდება...
ქარი ამაოდ ეძებდა მკვლელებს!

გვარი რა არის, არც კი ახსენა;
არც მიაჭერა ლურსმანი კარებს,
ნაძვები ცხედარს მიასვენებდნენ...
წინ გვირგვინები მიჰქონდათ ქარებს...

ი რ ნ ი

საოცარ ღამეს, უცნაურ პოეტს
მიყვარდა მუდამ სითბო დარდების,
ყველა ნაცნობმა გამოტოვება
და ბედის ქირხლში ცქერა ფარდების.

დაღუპულ სახეს, ძველ ვენახიდან,
შენ ამღერებდი ელამ დაისებს.
გენატრებოდა კიდევ გენახა
სხივებს კამარა როგორ ჩაისრესს

დგეხარ, წარსული შენზე ჰაქრობს,
გულზე ამოგდის ქმუნვის ბებერა,

შენ ის კაცი ხარ ვისაც არ ეყო
გზებმიუვალი ქვეყნიერება.

მწუხრის ტრაპეზთან შუბლი გიელავს,
ღვთისმშობლის მხრებზე შავი ჩადრია.
ბერი მონასტრის ბალახსა ცელავს
და დისები მწკრივად ჩადიან.

მოსწყდით

ის ხომ ლექსს გარდა არაფერს ქმნიდა,
თვალნაცემივით შფოთავდა ხშირად.
განა ვისაც რომ ეს სენი სჭირდა,
იმან შეგზარათ და შეგაშინათ?!

ის დაიღუპა ბედმოკრძალებით,
ბნელოდა, სდუმდნენ დიდი ქარები.
და კიაფობდნენ შორს ვარსკვლავები —
მარადისობის ჭუჭრუტანები!

გასაირნება x)

ჩავცდით ხეობებს, ეშხით, ცურებით,
ჭრელ მინდვრებისკენ ძლივს წაგიყვანე.
იიავის თეთრი საფეხურები
სროლით მიჰქონდათ თვალუწვდენ ცარებს.

სადაც სილურჯე თვალს ესწორდება,
თან ბურუსია ბავშვივით წრფელი,

x)
მიძღვნილია ერეკლე ტატიშვილისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ თავდებოდა უსაზღვროება,
იქ კიდეს ეფარა წუთისოფელი.

გულს, ღიმამოყრილს და გახარებულს,
ქედნების გუნდი დაჰფარფატებდა.
კენჭებს ვესროდით მზეს დასამხრებულს
და სიყვარული ძალას გვმატებდა.

მე ქრისტე მწამდა, შენ - ბუდას რჯული.
სალამს გვაძლევდნენ დიდი ხეები.
და მოგვყვებოდნენ უკან ჩურჩულით
გაუთენარი ჩვენი დღეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი გამყრელიძე

ახლახან გარდაიცვალა ემიგრაციაში ქართველი პოეტი გიორგი გამყრელიძე, რომელიც ოციან წლების საქართველოში გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით იყო ცნობილი (დაიბადა 1903 წელს). თავის შესანიშნავ ლექსებში მან დაიტირა დავარქმნილი მამულის ბედი, თუმც მამულმა ვეღარ დაიტირა იგი და ამჯერად, გერმანიის მიწას მიაბარეს ნოს-ტალგიით გულდასერილი. ვბეჭდავთ მის რამდენიმე ლექსს კრებულიდან: "გვიანი რთველი", რომელიც სანტიაგო დე ჩილეში გამოვიდა 1960 წელს. საქართველოში ეს ლექსები ქვეყნდება პირველად.

### ძველი სიმღერა

მხიბლავს ეს ჭალა, ეს ტბა, ეს ველი,
მივსდევ ვენახებს - ზვრებს უნაპიროს.
და გულში ძველი სიმღერა მღერის:
"ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო".

თქვენ საჩუქარი მიიღეთ ჩემი:
მსურს სისხლი ჩემი დაფნად დაგფინო.
მკერდნატყვიარი ყვირის ტრემი:
"ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო".

იცვალნენ დრონი. თქვენ კვლავ ძველნი ხართ -
ჭალებო, მთებო შვებით მომზირნო!
დახოცილ ლომთა სისხლით სველნი ხართ,
"ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო".

მსურს, თქვენ ვაზების ზედაშეს ვსვამდე:
მხურვალეს, მზიანს, ჩვენ ქართულ მირონს;
დიდება შენდა უკუნისამდე -
"ჰოი, ნაპირნო არაგვის პირნო".

როცა საღამოს ბინდი აშლილი
დაფარავს ქალს და ცას საფირონს,
გიმღერებს სევდით ბარათაშვილი,
"ჰოჲ, ნაპირნო, არაგვის პირნო".

## საჩხერის ღამე

შეღამდა უკვე. მთების გრეხილი
ჩამოიბურა თალხი ბინდებით.
ძირს შინა სუნთქავს მკერდგაღეღილი,
სავსე ღვთის მადლით და გარინდებით.

არ მოისმის არსით, ცეცხლის არც კვამლის
მძინარ დაბაში კრთომა, ციალი;
სიჩუმეს არღვევს ყივილი მამლის
და შორეული ურმის ჭრიალი.

მაგრამ საცაა ჩაქცეულ ხევებს
გორის თავიდან დახედავს მთვარე
და მოდინახის ციხის ნანგრევებს
ვერცხლისფერ შუქით ააელვარებს.

მაშინ მნათობის შუქმა სრული ჰყოს
ამ არემარის შნო და დიდება;
მაშინ ბულბული იმღერს "სულიკო"-ს
და თვალებს ცრემლი დაეკიდება.

მაშინ ნათელა თოვლის-ფერ ჩოხას
სარკმლიდან აწვდის ჯაინდს შორეულს, -

ველთა შვენებას ზურმუხტი ნოხავს,
გული ვერ იტევს გრძნობას მორჩულს.

არგვეთის მთაზე დამჯდარი მთვარე
თითქოს გაფრენას ელის ნამიერ...
დიდი აკაკის მშობელო მხარევ,
იყავ მარადის, მრავალჟამიერ!

## როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები

როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები
გაეკვრის მიწას და შებინდდება,
შენ გაღელვებენ სხვა სურვილები
და სხვა სურათი შენ მოგინდება.

შენ მოგინდება ალერსი ტკბილი
სახე-ხყლიანი, კეთილი ქალის;
იმის კალთაზე მოხუჭვა თვალის
და უცოდველი, უნაღვლო ძილი.

ის შენ გიამბობს შვენიერ ზღაპრებს;
დაგაწყობს თმებზე ფიქალის ხელებს
და შეგაყვარებს წარსულს, წინაპრებს
ამ მთებს, ამ ჭალებს, გარემოს, ველებს.

შუბლის ნაოჭი... მზერა ნათელი...
გლოვა და სევდა დაგეცა ბედათ;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთახში ჩუმად იწვის სანთელი;
სთვლემავ, ლოდინით დაღლილო დედავ!

და თუ გაისმა ფეხის ხმა ნელი
მგზავრის გვიანის — სოფლის შარაში,
შენ იმზირები სველ ფანჯარაში
და მე ამაოდ, ამაოდ მელი.

ამსხვრევდნენ მძიმე ჩაქუჩებით ...

ამსხვრევდნენ მძიმე ჩაქუჩებით ზარებს მცხეთაში,
ფანტავდა ქარი დანგრეული სასახლის ყავრებს,
ისევ უღმერთოდ აწამებდნენ არგვეთის მთავრებს
არაგვზე, მტკვარზე, რიონზე და მოწამეთაში.

დაკოდილ არწივს მკერდზე სისხლი ჩამოსდიოდა;
იხვრიტებოდა ბილწი ტუჩით ქართლის ზედაშე;
არვინ უნთებდა თაფლის სანთელს საწყალ დედაშენს:
ხახულის ხატთან ფეხშიშველი რომ დადიოდა.

ჭყრიდა ცულცივად საფლავების ამომძარცავი
წინაპართ ჩონჩხებს, მამაპაპათ სამარხებიდან;
ცრემლი ჟონავდა ხავსიანი ძველი ქვებიდან.
იყო გოდება და ტირილი გულის მზარავი;
ვით პერგამენტის, დახეული ძველი ძარათი
ეყარა მტვერში ჩვენი ხრმალი და მუზარადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მხარე

ტირბის ჯრუჭულა და ყვითილა ამაყი, ურჩი
და ხოდაბუნებს გადმოსცქერის ძირს მდინარე.
ცა არის სუფთა, ისე სუფთა და ისე ლურჯი:
შაბიამანი შეასხურეს თითქოს ვენახებს.
თითქოს მზის სხივი იღვენთება ოქროს ღერებად
და თუ ღამეა, მთვარის შუქიც ისე ანთია,
რომ მეწისქვილე თედაიზა ბამბისწვერება
წისქვილის რაფთან წყალში ისვრის ბადეს ვლართიანს.
სხვა სურათები... დაირის ხმა, ლხინი, ცედური.
და მოგონებებს სი_ვარულით გავეკიდები,
და ვხდები ისევ სევდიანი და უბედური,
თითქოს ჩემ სულსაც შეესივნენ ქარა სკვითები.

ძველი ჩერდაი

ვუძღვნი ვიქტორ ნოზაძეს

მიქრიან ცაზე განუწყვეტლად
გუნდები ღრუბლის;
როგორც ნაცარა წიწილების
მსუბუქი ბუმბლი

და ჯგუფდებიან, ჩერდებიან,
სწყვეტენ ხეტიალს:
სადაც გელათი, მოწამეთა
და მესხეთია.

გლეხი ჩეროში, ყალიონით
და ჩაბალახით
ზის და ყურს უგდებს ვით იზრდება
მინდვრად ბალახი.

მას რას დააკლებს ავი სეტყვა,
ო ავი ტაროსი,
როცა მფარველობს წმიდა გიორგი
და ავგაროზი.

როცა მას იცავს წინაპართა
სალოცავები,
რას დააკლებენ მას ჩხავილით
გუნდი ყვავების?

თუმცა ხელს წყვიტავს მას მონობის
მძიმე ჭაპანი; -
მაგრამ ზეციდან ამხნევებენ
მამაპაპანი.

ეუბნებიან:

ვერ დაგცეხავს აფთარის ტორი,
ქართველი ერი: ჩათვლილია
უკვდავთა შორის.
შენს სულს ვერ მოჰკლავს ავი
ხელი მურტალი მტრისა,
კვლავ მოვა ხანა: რუსთაველის
და თამარისა".

და გლეხიც ჩუმად შორეულ მთებს
ჩასცქერის ურთხანს;
შემდეგ დაღლილი, ხელის გულზე
ყალიონს ფერთხავს
და მხნედ ბუტბუტებს:
"ვერ დამკლებს
დუშმანი ვერას,
კვლავ მოვესწრები
თავისუფალ მზის ამოწვერას".

როსინანტი

თქვენ ხომ იცნობდით საკვირველ მერანს?
(სადღაა ახლა მსგავსი ცხენები!)
ჩასცქერდა მიწა'ს ბებერს და ვერანს
და დაქანცული იყო ფენებით.

სწამდა დღითი-დღე ნაკლებს და ნაკლებს,
შავ ბედისწერას მიანდო თავი;
ბინდი მტერი მის თვალთა კაკლებს
და როსინანტი მოკვდა, უკვდავი.

მას არ ჰყოლია პატრონად სულა,
არც კალიგულა უფარებია,
ის არ გამხდარა არსად კონსულად,
არც თავი პეგასს უდარებია.

ზარნიშმა ჯიღა არ დგმია თავზე,
ფლოქვებზე არ ჰკვრია ოქროს ნალები,
მაგრამ ის იყო ოცნებით სავსე
და უმწვერვალეს იდეალებით.

როცა ბრწყინვალე მისი რაინდი
ქარის წისქვილთა ებრძოდა კიბეს,
ის სიკვდილებმა უცბად მოთიბეს
და დაეუფლა მარადი ბინდი.

ახლა ძეგლებით ჩვენ არ გვაკვირვებს
დავიწყებული მისი მხედარი,
და დარჩა სანჩოს და იმის ვირებს
მას შემდეგ ბურთი და მოედანი.

მხოლოდ არასოდეს
(ფიქრები ედგარ პოე-ზე)

მოსჩანს სარკმლიდან ღრუბლით დაქარგული
დისკოგაცრეცილი მთვარის ავიონი.
იყვნენ პოეტები ჩვენზე დაკარგულნიც:
ტერენტი გრანელი და
ფრანსუა ვიიონი.
ლექსის სიხალისეს სხვისთვის იმეტებდი...
მაგრამ შეისუდრე თალხი წყვდიადებით.
ნეტავ სით გაფრინდნენ ყველა იმედები:
გუნდი მტრედებისა და განთიადები?

უკან კლდეებია, სჩანან ხინ ველები...
ხედავ კაცის მკვლელებს მრავალ კადრებიანს.
შენს ძულს დაფლითავენ შავი ფრინველები,
ღამის ვამპირები სისხლით დათვრებიან.

სადღაც ბოლტიმორში კაცი საკვირველი
ხშირად ლენორაზე ძნელ ფიქრს ეძლეოდა;
შავი ნახშირივით ყვავი საშინელი
იმის სიმარტოვეს, ღამით ეწვეოდა.

არის სასურველი: შავი ფრთოსნისათვის -
სახლის ყველა კარი მაგრად ჩარაზოდეს, -
ყორნის პასუხია ობოლ მგოსნისათვის
ყველა შეკითხვაზე:
მხოლოდ "არასოდეს!"
მარტო "არასოდეს!"

## დალი და დიანა

ა.

გრაალის კოშკი კლდის ქიმეზე ზანზარებს ქარში,
მყუდრო დარბაზში გაშხლართულა მძინარე დალი.
დარაჯად კართან - შუბით ხელში დგას პარსიფალი.
ცხრათვალა დევის მძიმე გორდა გამტყდარა ტარში.

თითქოს ულიმის ნეტარებას უცხო სიზმარში,
ძვლის ფერ კისერს მოხვევია ოქროს დალალი.

ღვთიური ძღვენი: საფირონი, ქარვა და ლალი
- მწიფე მტევნები, ჩაკრეფილი ალმასის ძარში.

ძველი თქმულების სურნელება იწვება კვარში
და ბნელ პალ`ტებს სინათლეს ჰფენს მისი პარპალი,
ცხრაფეხა პანი გადაკრული ცეკვავს მარანში.

და ძველი კოშკი კლდის ქიმეზე ინგრევა ქარში,
ნალეს მაკრატლით იკვეცება ოქროს დალი;
შედიან ნისლში მზექაბუკი და ამირანი.

ბ.

ზის აქტეონი ტყის წყაროსთან შქერის ბუჩქებში
და ჭვრეტს ფარულად მობანავე, ტიტველ დიანას -
ფიქალის ტანმა მყუდრო სისხლი მას აუჩქეფა,
ქალღმერთის შუქმა ტყის სიმწვანე გაამზიანა.

მაგრამ დიანას არ ახარებს მზერა ქურდული
და სოველ ტანზე ჩამოცურდა თმების ტევრები.
აღმართა თვალნი გაბასრული, ვით სატევრები
და დამალულ ყრმას მიახალა როგორც შურდული.

და ქალის გული განრისხების ფიფქმა დათოვა,
შურისძიების შემოევლო ბაგეებს სირმა.
მოაჯადოვეს აქტეონი რქააყრილ ირმად
და მიუსია საკუთარი ძაღლების ხროვა.

ახლა დიანა თვითონ უმღერს ირმის წვალებას,
სისხლიან ლაშებს ილოკავენ ავი მწევრები,
და იდას მთების დაბურვილი მუქი მწვერები
მოსთქვამენ ქარში: აქტეონის გარდაცვალებას.

ილიას დაღუპვის 50 წლის თავზე

იყო ის ხანა ,
    კურთხეულთა წელთა რიგების,
        როცა ცხოვრობდი აქ, ჩვენ შორის,
            ჩვენო ილიავ!

გამოაფხიზლე, გაანათე ბნელი ქვეყანა,
მქადაგებელო სიყვარულის და შერიგების -
და შენი ღვაწლი დღევანდლამდე არ დაილია.

შენ რომ გამოჩნდი, ძლივს ბჟუტავდა ქართლის
კერია.
გვეხვია მტერი: აბეზარი კოღო-ბუზივით.
დადექ საომრად: ბუმბერაზი იალბუზივით
და ამ ბრძოლაში: შენ ვერავინ ვერ მოგერია.

იდექი მარტო უძლეველი, სალი კლდესავით,
ხელთ გეპყრა მხოლოდ: კალამი და სიმართლის
კვერთხი.
შენს წმინდა ლოცვებს ყურს უგდებდა ზეცაში
ღმერთი
და გააცოცხლე საქართველო ლაზარესავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა გესროლეს წინამურში მუხთალი ტყვია,
განა შენ მოგკლეს? ჩვენც დაგვკოდეს შენთად
ზიარად;
ჩვენც გულში მოგვხვდა შენი ტყვია, ჩვენო
ილიავ,
და გულში დაგვაქვს შენ სახელთან მწარე
იარად.

" "
"

სამშობლოს ფიქრი და გულის ფეთქვა,
თითქოს შორიდან კვლავ მეფერება
და თუ ის ვერ ვთქვი, რაც უნდა მეთქვა,
შემინდეთ სუსტი ამომღერება.

და რის მომიწევს სუდარის ჩაცმა;
როცა ხარონი წამიყვანს ნავზე,
შეუნდოს ღმერთმა, შეუნდოს კაცმა
პოეტს, სევდით და ნაღველით სავსეს.

ბასილ ბელიქიშვილი

## იალაღიდან

(ირაკლი ტატიშვილს)

დავიწმინდები იალაღიდან,
სისხლი დამტანჯავს ყაჩაღი ოსის
მომენატრება ხშირად სილაღე
და გახელება ავი ტაროსის.
ამოზიდულა წინდის ტანად:
ფიქრი შენს შუბლზე შემოვლებული
იალაღიდან ლექსი გვხვდება
გულიდან ქარის ამოსატარად.
მოაგონდები რჩეულ შეგირდებს
სიტყვის სიხანძრით იფეთქებს ტანი
და საქართველოც ალბად შეგირგებს.
მოხვედ წმინდანი ჰინდუსტანიდან,
მოხვედ წმინდანი დაწყლულებული.
ძმად გაეფიცე ჰამირზე ბუდას.
დაუგეშავთა დაწყვილებიდან,
თურმე ექებდა სისხლი საზუდარს.
მოაგონდები რჩეულ შეგირდებს,
დაემსგავსები გადამწვარ ირანს
და იალაღიც მისთვის შეგირგებს:
შენი სიტყვები ძვირად რომ ღირან,
დავიწმინდები იალაღიდან,
გადმოვაბიჯებ მდევივით თათებს
როცა მოგნატრეს სულის სილაღე
შემოვევლე მთიულურ ხატებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ს ტ ე ჯ ი

შემოგემღერე სტეჯი
ჩამოვიღიე ლოცვით
ბაღრი, სამ-პლე ქეჩი
სისხლი – შველების ხოცვით
ჩვენი ამბავი ქალავ
ეტმასნება დაფობს
სტეჯისკენ დაექანა
მთელ ევრაზიანსაც აპობს
გულო ლელობის ლელავ
ჰხედავ! დახარე ქედი
შემომხვიე შველა
მთით და გარიყულ ბნელით
აეაჯეჯილე სტეჯი
ხატმა მომხარა ხარი
და ჯანიანმა ქენჯნამ
მაქცია ნიავდავრათ.
შემოხვეულმა ზანამ
ნელა გალესა მზერა
ფარცხნილთან დაექანა
გირხა და ქოხის კერა.
გირხა უხონო სახით
გალიფარელი ცელი
გირხა ხეობის ტახი
მზით და გარიყულ რეტით,
შემოგემღერე სტეჯი

მენაც დავხარე ქედი
მეხრით სამამლე ქეჩა
მთით და გარიყულ ბნელით.

ფრანკ ჯონსტონ
(ამერიკელი ჯალათი)

აყვავებული თვალებით ზანგი
შეაბერდება მწვანე ეშაფოტს
შენი ხელები არის ხაფანგი
შენი თვალები სისხლით ეშმაკობს
კაცის სიკვდილი ჩემი ვალია
სულის სიწყნარე რომ ამეღმასნა
ო ეს ქვეყანა რა ხორკალია
ჩერჩად მყორდება წისქვილის თასმა!
იმის მუდარა გაგელით ჯონსტონ
ბულს არ დაგიდნობს, შენც არ დაიდრობ;
ზანგის თვალები ფერებით მოცწობს
და მის კისერზედ მშვიდად რაიდრობ.
ძელთანა გდია ნაზი ქალთამზე
აგედენები ხვალ ირონიით
ცრემლებს გადმოყრი დაკლულ ქათამზე
იმის ბუმბულებს მაინც სჭიროდ.

## თ უ რ მ ა ნ ა

(მიხა ბერიძაშვილს)

კიდევ შეჰკაკრთობს სახელი თურმან,
მიხა! თურმანი თელადურიდან
ქხედავ?! ჩვილები დასწიხლა ფურმა
და თურმანაჲ ციე-გომბორიდან.

ნაბარეთიდა თურმე ცფილისი:
სელი დიდ-გორზე გაუხარელი,
ძმაო! გაგვიცვბა ნისლი ქრილისზე,
გულის სილოე გელიყარიდან.

თვალთაგან ცრემლი გადმოგელულა
დავითგარეჯას ძეძებდით ცურებს
მიხა! რათა ხარ ეგრე მყვირალი?
ვაცყობ თურმანი აგიხევს ყურებს.

ქხედავ?! დაგვიცკბა სახელი თურმან
თურმანავ ძმაო, არმაზის მთხავ
ბოჩოლას გული დასწიხლა ფურმა
ფურმა, რისხვამ და ჭიაკოკონამ.

## მერაბ კამარელი

### კონცერტი

მაესტრო ვერ ხედავს სცენაზე როიალს
გაუქრნენ დარბაზის თაღები
ღრუბლებზე დანსრული ხე დგას მსხმოიარე
ზედ სხედან ფრთოსანი ბალღები

მაესტრომ იყნოსა ფრთები ღამეული
გაჰქარჩხეს ჰანგების ზღვაში
მაესტროს თვალებმა დასტოვეს სხეული
რომ იხეტიალონ ცაში

მაესტროს ხსოვნისა გადაჰკრეს ლოთებმა
სასმისებს აწყობენ მწკრივში
მაღლა კი ცხოვრება ტანჯვით იფოთლება
ჩუმი ოცნებების სხივში.

x x x

ზეცას გადმოსკდა უთვალავი ციცინათელა,
განათდა ღამე, ცელქმა ფიფქმა შეჰკრა კამარა;
გაითამაშა, ნაზი სურო ფეხქვეშ გასთელა
და დედამიწის შავი გული დაასამარა.
უფლის საცერი
ფიფქი ალმაცერი.
ზამთრის ტყეებზე დანახალები
ნასმურებივით ირწევიან თეთრი ხალები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავ რა ტყეა,
ხეებს ნატყეიარს
თეთრი ქათიბი როგორ ატყვია,
დამზრალ ატმიანს,
დამსკდარ არყიანს,
ჩარიგად შვენის თეთრი მანტია!

უფლის საცერი -
ფიფქი ალმაცერი.

თეთრი ქარბუქი ჩრდილოეთის ჭანგებს ამღერებს
ნაძვის გირჩებში ონავრობენ ფიფქის ბამბები.
ხეებს დაეყვები, ხეტიალით დაღლილი ნამქერებს
და გარიყული ულრან ტყეში დაეკარგები.
დაეკარგები, ამებნევა ქარში გზა-კვალი
და საირმეებს შევერევი ფაფუკმტევრიანს
დედიშობილა და ქათქათა როგორც ზამთარი
შემომენთება ტყის ასული, თოვლის ფერია
შემომენთება და ამური მდუღრის ალმურში
თავშეკავებულ სურვილების გაგლეჯს არტახებს,
და გათოშილებს ზამთრის სუსხში, ზამთრის ქარბუქში
შიშველი ვნების ქრუანტელი აგვაცახცახებს.
მერე უფსკრული ჰირს დააღებს როგორც აფთარი
ბნელ კოშმარებში გამახვევენ ცივი სიზმრები
ტკბილი ზმანება გაცრუვდება როგორც ზღაპარი
და მიბნედილი ნაძვის გირჩთან გამოვფხიზლდები...
ირგვლივ სიჩუმე; ირგვლივ ტყეა, ირგვლივ სუსხია
ნაძვნარს ნაზარი ვერცხლისფერი შემოუსხია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

"   "
"

შვენის ირლანდიას მზიური რაინდი
ლომთა შესადარი მძლე კუხულაინდი.
ღვთაებრივ ინდოეთს, კრიშნა რომ ჰფარავდა
მზეკრძელი ქომაგი, კეთილი ბჰარატა,

ქალღმერთმა ათენამ შეჰფერა ეოსით
სიბრძნით მოსირმული გზა ოდისეოსის
შამაშს ვინ უხმობდა მითიურ ღამეში
პირგამეხებული ვეფხი გილგამეში

ოდითგან გვაუწყა უფალმა მხოლომან
ვინ იყო ქირამი, დავითი, სოლომონ
და ორი მნათობი, უკუნს რომ ელიან,
აღსავლის სვეტები მოსე და ელია.

ეს ყრუნიისფერი ედემის მხარეა
თუ შენი ღიმია ქალწულო მარიამ
მყოფავს ალაცისკრებს მზე იოანესი
და იმ მზის მმოსავი მოძღვარი მანესი.

ჰხადს ნათლისმცემელი მანანას მთოვარს,
ესე არს ელია რომელი მოვალს
თავად შუქმთოვი და მანანას მთოვარი
იესო ქრისტეა ვრდომილთ მაცხოვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ იცის

ელვა-ქარცეხილთა კლაკნილის
მათრახით გახევა ღრუბლების
უდრტვინველ ცხოვართა აკლება
ქურდულებ წაგლეჯა უფლების
ბედის უქცეველი გრაგნილის
კითხვა და ცრემლებში ჩახრჩობა
სევდის ვერწამგვრელი აჩრდილი
ნიავთა ბალვა და ანცობა
სიალფე აეშარჩაშვების
გლოვისას ჩამორეცხს არშიებს
ვინ იცის დასთხარო ეშვები
მოსისხარ საფანის ნაშიერთ
ქარდაქარ ქარდაქარ ქარდაქარ
იქროლე თეთრკავშა მერნებით
მიღმეთში ისე ვერ გადახვალ
ჯვარცმულის წვით თუ არ ევნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიად გამსახურდია

ცისკრიდან? Purgatorio

განტოლებანი

I

მე მოველი სერაფიულ X-ს
ჩემი ტანჯვა მასში უნდა აღორძინდეს,
ეს ხომალდი გაავებულ სტიქიას
თან გაჰყვება. ოცნებაში ნახულ ბინდებს
მოიტოვებს, რომ კოშკიდან ლინცეოსმა
გაუღიმოს ალიონის უშველ სიცილს
და როს იცვლის
ღამის ნიღაბს
და იხლართება ჯოჯოხეთურ ბადეებად
ორიონის ასაბიები
მორეულ კაბადონს
შევსევა ლურჯი იები,
ლიუციფერის შავი ტოგა აცვია ლინცეოსს
ხოლო მინერალების უძირო თვლემას
სდარაჯობს
გეოლოგიური კანონი
იქვე
მენანდროეს ფრაგმენტები,
კომედიები,
სკრუპულოზური
ჟია - ფილოლოგი.
არასოდეს ითვალისწინებენ
რომანული ანატომიის მესვეურნი

შავთვალა Cod-ებს
(იგულისხმება შავი ფიქრების კანტორებანი
აბსტრაქტულ
მრავალგანზომილებიან
სივრცეში).
მრეცი, შავი
ფერდობი°ზუსტი მეცნიერების.
მცენარენი, ერეჭ
არასოდეს იშვიან ინდეტერმინულად (ვოდა და
. აბსოლუტური მკვრივი)
ინდეტერმინიზმით სნეული მადონა,
ავეროესის ნაბუშარი გონზაგო.
მადონას სამკერვალო:
შენ, უსაგნოდ შეკონკილო მანეკენო,
პირში უნდა წაგიყენონ
დღეს გოლემის სათამაშო
(უფრო სრულყოფილი,
ვიდრე შენი ასლის ფიტული)
საკმარისია მოიხსნა
სული - სათვალე
(იგივე ქვე-სული)
გამოდიან: ნიჟი, როგორც სარჩული ლევაებრივი (ან
სულაც ობიექტური კანონი),
შემოსულია ტვინის არზა: რა ეშველება ჩემს ხვეულებს,
რქოვან-ეფექტური გარსებს, 15 მილიარდამდე უჯრედს
"გადაუსვი ზედ ონტოლოგიური საბუთის ხაზი".

მორიგი გაფრთხილება მელიების სცენიდან: "გაუფრთხილდით ჩვენს
ნათხემოვან ფუნქციებს, რუხ ნივთიერებას, რუხი სითხის
ნაშიერნო": (აცხადებს ბუ - ქანდარაზე ფეხმძიმე მამალი).

ხოლო ხანდაზმულობა - თითქოს უბრალო კოსმიურ-ფიზიოლოგიური
პრინციპი.

ონტოლოგიური საბუთი რჩება კანტის კლოზეტში

ყორნების პატრიარქატი, როგორც დრომოჭმული ნეკროსოფიური
ფორმაცია.

ჩიტირეკიების ახალი ხელობა: საზოგადოებრივი დაინტრიგებით
დათესვა ადამიტური იჭვისა.

II

მიმითითეთ თუნდაც ერთი მენაგვე ციტატებისა,
თუნდაც ერთი მოშუშპრე მაიმუნი ზნელმეტყველების ტილებში,
თუნდაც ერთი სიმულანტი გრძნობათა საავადმყოფოდან,
რომ მიენიშნოს ასეთი პრინციპი:
"თვით საიდუმლოს იდუმალება გულისხმობს ძებნას იდუმალისას
უკვე გარკვეულში, ხოლო დადგენა გარკვეულისა იდუმალყოფაა
ხილული ძალის":
სამარყანდული ბესტიოლიზმში ერთგვარი ნიღაბია თუკანის შავ-ბნელი
ემანაციისა კოსმიური სინათლის ქარგაზე.
ბოროცების მერვე ციტადელი ინდოევროპული მელიის გალაქტოდრომზე
დასამარება.

III

როდესაც მონასტრის ეზოში ჭყავიან გვამები
როდესაც აპრილისაგან შევიწროებული მონაზვნები ოხრავენ საკანში
როდესაც ვერცხლით და ლალებით დარახტული ზედაური
მიადგება ცადაჭრილ გუმბათს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუციფერისათვის იწყება მაშინ ენებათა მკათათვე.
იგი - ხანდაზმული და წარბშეკრული, ხან ისევ მცინარი,
როგორც საგიჟეთის ღია ფანჯრიდან გადმომხტარი ნეკროფილი,
ჩაიცვამს სპილენძის ხამლებს,
ხელთ იპყრობს მოოქროვილ კვერთხს ნაძვისას,
თავზე დაიდგამს იების გვირგვინს
და შეუდგება კაცობრიობის კასტრაციას ეროსის ლანცეტით.
იგი განაახლებს წყენათა აღრიცხვას,
მიმოიხილავს ფარული აზრების სფეროს
აღიზიანებს ორმოცწლიანი ერთადსუნთქვით შერყეულ თმენას,
ჭრელი მატერიის შესაბამისად
აჭრელებს გრძნობათა კომპლექსებს,
ძვირფასი ქვებით უხვად მოჭედის წარწყმედის ბილიკებს.
ნოტარიალური მაგიით ჩახუთულ კედლებში
შეუშვებს იგი Adulter -ის მსუბუქ ნიავებს
ევფორიას ჩანგსაც მისწვდება ზოგჯერ და აჟღერებს
ლამაზი, მაგრამ ყალბი აკკორდებით.
ხანაც ჩააწვეთებს
ეჭვის კონცენტრატებს
ნიჭის და ზეხედვის
კამკამა ემბაზში
რათა კაცობრიობა
წინსვლა სპირალური
გადააქციოს
სწორხაზოვან
უკუსვლად.

## IV

როდესაც საზღვრული თავისთავად პრედიკაცია
არვის ახსენდება: სადღაა მსაზღვრელი?
თუნდაც აიღეთ შექნებული ბნელმეტყველება: ცნება სინათლისა,
უარყოფის ხერხით მიღებული:
რადგან არასოდეს გვეკითხებიან: წამების მიზანი? თქვენი
ხროვის სტერეოტიპული პასუხია: იგივე მიზეზი.
იფიქრე ღრუბლებზე. ღრუბლებშია ჭეშმარიტება, ღრუბელი
ვითარცა მიზეზი ელვისა და ელვის კამარა –
მოქნეული მახვილი უფლისა – რომელი თქვენგანის გულზე
სწერს სისხლიან სტრიქონებს?!
მაშ დაივიწყოთ წყევლის ანალიზი: საიდან იღვრება ეგ შავი ცოფი;
თქვენი ტუჩის კუთხეებში რომ მოსჩანს ეხლაც?
ვინა ხართ თქვენ? იგივე ღრუბლები.
აი, ეს არის კონდენსატორი თქვენივ სულისა; მორისდებული,
უწმინდესი მარგალიტი ნაგვის გროვაში.
გარეული ღორების ჯოგებს მოერეკება თქვენსკენ თქვენივე ცრუ-
მეტყველება, "სიბრძნე ცხოვრებისა" – იდიოტების მარად
უცვლელი ლოზუნგთა კომპლექსი.
გვამის მოქმედებას, ისევე როგორც ძეგლის დამდგმელისას, ერთი
მიზანი აქვს: გეოლოგიური.
ქვენა გრძნობები ნურაოდეს დაგაფიქრებენ ასტრომესსიაზე,
რადგან ბოროტების არსენალში მოიპოვება საშუალებანი,
რომელნიც ქათამს მსოფლიო-ისტორიული მოტივით დაკლავენ.
ღამე თავისთავად მიგაცილებს უფსკრულის კიდემდე, ხოლო კოშკის
გასაღებია სქემა: ღრუბლები – მიწა – ისევ ღრუბლები.

სეზმან. მარტვილი

## ტ კ ი ვ ი ლ ი

ცეცხლმოკიდებული გულღვიძლი,
აგზნებული ტვინი
და უმწეობა
ერთ კვანძად შეკრულან,
ჩაშავებულან,
ჩაჟამებულან
და ახალგარეცხილი ზეწრის
ხელუხლებელ ქვიშაზე,
ალესილ მარწუხებს შორის
იწყებენ კლაკვნას,
ძრწოლას და ტოკვას
დაბერილი, დალურჯებული
სისხლძარღვები
და მათი კრუნჩხვის კვალი
ისე რჩება
გაშიშვლებული სულის
დაღარულ ფსკერზე,
როგორც
სიკვდილმისჯილი პატიმრის
უკანასკნელი სიტყვები
საკანის ჭუჭყიან კედელზე.
ხოლო ნაწამები დღე;
რომლის სიფერმკრთალე
ხან ჟამთრობას გავს;
ხან სახიჩრობას,

ხანაც სასჯელის მოხდას,
რომელსაც
ბოლო არ უჩანს
და მაინც ეძებს ბოლოს
და სოროს,
სადაც შეუძლია
ამოანთხიოს ყველაფერი,
რაც ძალით შეუშთაპუნეს
ან რაც თვით იგემა
და რამაც ისე მოშხამა, რომ
შხამი აღარ დაელია
არც გულ-ღვიძლში
არც სისხლძარღვებში
და იქცა
არა მარტო ტკივილად,
არამედ
ოთხ კედელს შორის
გამოკეტილ მარტოობადაც
და დუმილადაც,
რადგან წაიღა
წოლის დრო;
გლოვის დრო,
მწუხარების ხმამაღლა გამოთქმის
დრო
და მდუმარებამ მეტი უფლება
მოიპოვა,

ვიდოე ყვირილმა
და ამიტომ ხანმები დღეც
ისე ირეკლებოდა
თეთრ ქერზე,
ყოფიერების ძლუე ზედაპირზე,
როგორც ტკივილისაგან
გამინისფრებული უსასოება
და იმედის ნასახი
თვალების ფსკერზე...

ზამთარს არ ედო ზამთრის ფერი

ზამთარს არ ედო ზამთრის ფერი
დღე არ დღეობდა.
გაძარცულ ხეზე დაღლილობა მეფენილიყო
სიერციხეულად.

ნაბიჯს ნაბიჯი ეცოლებოდა
ათრეულ ფეხთან.
ჩრდილები აჩრდილს ათევინებდნენ
ღამეებს თეთრად.

ყველაფერს ფონი სჭირდებოდა,
სახე თავისი.
აგურის კედელს რა ძეეძლო
ნაცისხარისთვის.

სპილოს ძვლისფერი ღილაკები
იღრინებოდნენ.
ცხვირის ძარღვები დაეხლიჩა,
სხვები მღეროდნენ;

ჩამდენმა იცის რა უნდა და
რისთვის იცრის;
მოცირალს ძალა არ აკლია
საამშინისოდ.

კრიჭაშეკრული მდუმარება
და მძლე სიყვითლე
აღარც სიმცკოცეს იჩემებდნენ,
აღარც სიმყოფეს.

ხოლო ზამთარი ჩამომხმარი
იკრუნჩხებოდა.
თვალი სიშიშვლეს იტაცებდა
სახიჩრეულად:

ებჯინებოდა მზერა მძიმედ
აგურის კედელს
და შლიდა ჟამი უჟამური
უღონოდ ხელებს.

## კედლად შეკრული ღამე

ღამე თეთრად ილექება, იკვრება კედლად;
კედელს ჩრდილები შესწევიან
მათხოვრებივით.
ძირს დაფერთხილი მოგონებები ღოღავენ ფეხ[illegible]
მოჩვენებები ზურგზე წვებიან
მეძავებივით
და ტყინული თვალები,
ძველი ლაქები
და ღამის მკლავები
ისე ითრევენ
წრეში სითეთრეს,
თითქოს
იმ დღეებს,
როცა
ძილი ძილს ტვდა
და ღვიძილი ღვიძილს
ფერი დაჰკრავდა
ბოდვის და სიძვის,
ტალახივით აზელილი,
შემთბარი ფერი;
ტვინს რომ აჩლუნგებს,
სისხლს რომ აყუჩებს,
რომ მანჭავს ტუჩებს
წამების თრევით,

წარსულის მსხვრევით,
როცა
ფანჯარაზე მომდგარი ბნელი
ისე ხვნეშის,
თითქოს უჭირს
ღამის თევა ბნელში
და აღარ უნდა
აღარც ქურდობა,
აღარც მრუშობა,
აღარც მუხთლობა,
რადგან
მომრავლებულან
ღამის მთეველნი,
ცოფის მრბეველნი,
ზედის მთრეველნი,
ხოლო
სიტყვას
განზე გაცოცებულ ჩრდილივით
უტევს
ისე დაუკარგა ფასი,
როგორც ამბოხებულ მაწანწალას
იერი სახის.
და თუ ფეხს მაინც იღება,
თუ ღამე კედლად იკვრება,
თუ ფერი უფერულად კვდება
და ყველაფერი დას' ბმელი ხდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იმიტომ,
რომ აზრი აზრს წანლავს,
ნაციებ ღამეს ლოდინი ზარავს,
როგორც ნაგვემს
და ნათრევს
ლეთის სულის ნახევს.

## ს ი დ ი

სახედაჭმული ბეტონის კედლები
დაჭიმული მოლისფერ ძარღვებად.
დამჭკნარი ჭადრები ხეელებით
სივრცეს იტაცებდნენ ნახევრად
გადასაღებრად
და დაჭრილი ფარდის ნაპრალებში
შერბოდნენ მსუბუქი მანქანები,
ხოლო მოლისფერ ძარღვებზე
გადაჭიმული
ნაცრისფერი ნერვი
ისეთი სველი,
ჭუჭყიანი
და გათელილი ჩანდა,
როგორც შემოქმედის გარჯა.

- * -

სადღაც შიგნით კი სიცივე
უცხო სხეულივით მკვრივდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დაფხრეწილ ტილოს გავდა ცის კიდე,
ფანჯარა ოფლად იღვრებოდა,
იმღვრეოდა
და სინამდვილის გამომშიგნულ უბეში
იძრებოდნენ თეთრი გუმბათები.
ქალაქი ირეკლებოდა გუბეში
ოდესღაც შეღებილი დუქანივით
უსახური,
უსაგნური,
მულდახშული
და ის, რაც კონტურებს კრავდა
შემბოჭავ დროს და ჟამს გავდა.

- : -

ამიტომაც არ იძროდა არაფერი არსაით
კისერმოღრეცილი ლამპიონების დარად.
მზერა ნისლში იძირებოდა ქვასავით,
ხიდი ჭუჭყივით იგორებდა ასფალტს
წყალნასხამს
და ჯვარზე ასული ავდარი კიოდა,
როგორც დადაღული წარსული კივის.
სველი დღე ხიდზე კაცივით მიდიოდა,
არაფრის დანახვა არ სურდა წყლის პირს!;
ხოლო
ულაზათო ჩუქურთმები,
სივრცის ნახევი
და ჩალისფერი ქვები

ისე ეთიშებოდნენ ერთმანეთს,
როგორც მარტოობა კაცსა და ღმერთს.

## ბ ო დ ე ბ ა

სიცხადე, ფერთა ღრეობა
და ლოდინი.
ლოდინს მიღმა ბუნდოვანება,
საკანთა ჩრდილები
და თეთრი სიბრტყე,
მზით გადარეცხილი,
უდაბნოსავით ცხელი სიბრტყე,
სადაც ოფლი უნდა დაიღვაროს,
ლხინი უნდა აღიგავოს,
ზღვრები უნდა წაიშალოს
და ყველაფერი
ისე აირიოს,
აიმღვრეს
და აიწეწოს,
როგორც
ჯოგად მოძავალთა
სახეები იმღვრევა,
როცა სტადიონებიდან
ან ხალხმრავალი მიტინგებიდან
ბრუნდებიან
და თან მოაქვთ
არა მარტო ერთსულოვნება

და მონობა,
არამედ
განზე გაჩერებულთა
ნალექვის სურვილიც
და ამ დროს
სადღაც,
ნაგებობათა მიერ
დასაკუთრებული სივრცის მიღმა
ქარი, ნისლი
და შემოდგომის მჭმუნვარება
რაღაცას სუდრავს,
თხელ გარსში ახვევს
და ისე ინახავს,
თითქოს სურს
თავის თავსაც დაუმალოს
და სამყაროსაც,
მაგრამ
როცა ყველაფერი სწრაფად იცვლება
და საქვეყნოდ აღიარებულიც კი
ერთ დღეში კვდება,
მაშინ გადამალული
გადამალვის წუთიდანვე
მკვდარია
და თავშესაფარს
მხოლოდ იმ პატარა,
გამჭვარტლულ

კოშკებში ჰოულობს,
სადაც მარტოობს
და სიცარიელე
ბინადრობს.

## აღდგენილი ესკიზები

სად ან როგორ უნდა გაექცე
დროს,
ზურგით ნათრევს
და ნაგრძნობს,
ხავსმოკიდებულ მძუნვარებასავით
ნაცნობ დროს,
როცა
სახლში
ყველაფერი,გამოლამებული თვალებით გიყურებს,
კედელი დამბალ ჩვარივით იჭმუჭნება,
უსწევს ნანივთარ ჩამოყრილ ყურებს,
აზრი თვალსა და ხელს შუა ხუნდება;
როცა
არ იცი, არ იცი, არ იცი
რისთვის ქუხს, რისთვის თოვს, რისთვის წვიმს;
ენა რას იტყვის
ან საით ილტვის
მთელი სილამაზე
უტიფარი დროის.

საით ან როგორ უნდა გაექცე
ჟამს,
სიმწრით ნაგიდარს
და ნაგამთრალს,
მთის შიშველ ქანებივით ჟამთფიცელ,
ნაშალ ჟამს,
როცა
ქუჩაზე ძუნძულით გადარბიხარ,
შენს გვერდით ათასი დაღლილი ხეწეშის,
სიშიშვლეს ისევ სიშიშვლე ნიღბავს,
მიწიერს მიწა გიხმობს ქვეშეთში,
როცა
არ გინდა, არ გინდა, არ გინდა,
არაფრის დაწყება არ გინდა თავიდან;
არც სიყვარულის,
არც სინანულის,
არც სიზოალულის
თავისა და სხვის.

საით ან როგორ უნდა გაექცე
თავს,
წლების მანძილზე ნამალავს
და ნათვალავს,
კოშმარულ ზმანებასავით
ნათალხარ
თავს,
როცა

ცა ნემსებით სავსე ტომარას გავს,
მიწას დაუკარგავს სმენა და ყნოსვა,
წვერმოშვებული თმაგაჩეჩილს სხვათაშორის
კლავს
ღმერთს აღარ უნდა მეორედ მოსვლა,
როცა
დიდიხარ, და დიხარ, დადიხარ
და შენი თავიდან ვერსად გადიხარ,
ვერც დადაღული,
ვერც დახარჯული,
ვერც გამართული
და ვერც ძირს გართხმული.
სად ან როგორ უნდა დაექცე
სხვებს,
გინდ ერთს, გინდ ათას
ბრალმდებელს,
მრუშ ლამესავით აღვირახსნილს
თვალსა და ხელს,
როცა
ფერი ნარკომანივით იფიტება,
არავის არ სურს იყოს შეუვალი,
ქალაქი შუქის ჩართვამდე ფითრდება,
სიმყრალით იხრჩობა მორევში წყალი,
როცა
ითვრები, ითვრები, ითვრები
ვიღაცის თვალში რომ აღსდგე მკვდრეთით,
რომ ამოღერღო

სიტყვა
და ის თქვა,
რაც არ იქცევა
არასდროს რისხვად.

სად ან როგორ უნდა გაექცე
ჟამს,
წრეუცვლელ და ზნეუცვლელ
არსს,
ხელმოცარული კაცის ტკივილივით
დამძღრალ
ჟამს,
როცა
მზერა აღარ ფერს იმოწმებს,
საკუთარი თავი ფეხებზე ჰკიდია,
კაცის მკვლელივით ბორგავს საუკუნე,
თავს ქვეშ შენივე მარტოობა გიგია,
როცა
ილები, ილები, ილები
და მაინც ვერაფერს ვერ სწვდები
ხელით,
ვერც არარსებულს,
ვერც განადებულს,
ვერც შემოქცეულს
და ვერც ზურგშექცეულს.

სად ან როგორ უნდა გაექცე
დროს,
გაჩენის დღიდან ბნელთან წილნაყარ
პირზე სისხლშემხმარ ნაჯახივით
შემართულ
დროს,
როცა
მიწის პირი საპნით დასაბანია,
წლობით ნაცოდვილარს ატან ნაგავს,
დღე წინა დღეზე უფრო მთვრალია,
სულის დერეფნებს აღარ უნდა დაგვა,
როცა
ჯახირობ, ჯახირობ, ჯახირობ
და საკუთარი თავიც კი თავისკენ
არ გიხმობს,
არც ნაწანწალებს,
არც განაწამებს,
არც ნაძალადევს
და არც ნასამართლებს.

გულიკო ღვალი

" "
"

ბროწეულის ღოჭე,
ცრემლის თეთრი ჩრდილი,
სიჩუმეა, თითქოს
დაეუფლათ ძილი

ფრთხილად, როგორც ღიმი,
შეაშრება ბაგეს,
შეჰპარვიათ ჭკნობა,
ბროწეულის ბაღებს.

ჭკნობა იდუმალი
სევდით ავსებს თვალებს
ვით გალობა ჩუმი
ეკლესიის თაღებს.

გრძელი, გრძელი, ღამე,
დაკარგული რული
თუგინდ სული მთხოვე,
თუგინდ მთხოვე სული...

" "
"

თუ ვეღარ ემალავ იჭვსა და წყენას,
და თუ მეცვლება ხშირად იერი,
თუ მხოლოდ შენსას დაჰყვები ნებას
და სიცოცხლეზეც თუ ხარ ძლიერი,

ეს იმიტომ რომ, დაბადებამდე,
სხვა ცხოვრებაში ერთ სულად შეგვქმნეს,
შენი ნეკნიდან შობილი ქალი,
ვეძებდი ბილიკს მომავალს შენსკენ

გზის გასაყართან თეთრი ბილიკი,
დასავიწყებლად რად მეძნელები,
რატომ მითრთიან, როგორც ნაღვინევს,
როგორც მთვარეულს მხრები, ხელები.

გზის გასაყართან თეთრი ტყემლები,
მიწას აყრიან ფოთლებს დარდიანს,
დედამიწაზე უბედურები,
ბედნიერებთან ერთად დადიან...

"   "
"
o

მე ჩემს სიყვარულს შევავედრებ,
მხოლოდ ღვთისმშობელს,
რომ ამშოროს მარტოობა;
შენი სიშორე,
    რომ მხოლოდ შენი გაღიმება
    ცრემლებს მიშრობდეს,
    მე ჩემს სიყვარულს შევავედრებ
    მხოლოდ ღვთისმშობელს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ისევ ვანთებ თაფლის სანთლებს
ისევ და ისევ,
იწვის სანთელი, მის უბიწო,
თეთრ ჩურჩულს ვისმენ...

მერამდენჯერ წაუღიათ ვედრება ნისლებს,
ო, ნუთუ ასე ჰყვარებია,
ოდესმე ვისმეს.

# თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

## რაინერ მარია რილკე

## ლ ე ქ ს ე ბ ი

### „სონეტები ორფეოსისადმი"

სუნთქვავ, უჩინარო ლექსო!
მარად საკუთარ
ყოფისათვის
წმინდად მონაცვლე სამყაროვ. წონასწორობავ,
რომელშიაც მე რიტმულად ვსახიერდები.

–

ერთადერთო ტალღავ,
რომლის ზეამომტყორცნელი
ზღვა ვარ მე;
ყველა შესაძლო ზღვათაგან უმომჭირნესო, –
სივრცის მოპოვებავ:

–

სივრცის ამა ადგილთაგან რამდენი
უკვე იყო ჩემში.
ზოგიერთი ქარი
თითქოს ვაჟია ჩემი.

–

მცნობ თუ არა ჰაერო, ოდესღაც სავსევ ჩემივე სუნთქვით
შენ, ოდესღაც კრიალა ქერქო,
მოწნეულავ და ფურცელო სიტყვათა ჩემთა.

" "
"

შენ ეგზომ დიდი ხარ,
თითქმის ვიკარგები შენს სიახლოვეს.
შენ ისეთი წყვდიადი ხარ
ჩემს მცირე ნათელს შენს არშიაზე
დაკარგული აქვს აზრი ყოველი.
ნება შენი
აღიძვრის ვითარცა ტალღა,
და დღე ყოველი შთაინთქევის მასში.

—

მხოლოდ სვეტა ჩემი აღმართულა შენს წიკაპამდე
და წინაშე შენსა სდგას ვითარცა უდიდესი ანგელოსთ შორის:
გაფითრებული, უცხო და ჯერ არხსნილი,
გიწვდის თვისსა ფრთებს, ასვეტებული.

—

მას არარა სწადს ფრენა უნაპირო,
მთვარეთა მკრთალთა გვერდით სრიალი.
და ქვეყნის გამო იცის მრავალი.
თვისი ფრთებით
ვითარცა არებით
სურს წარსდგეს შენი
მოღრუბლულ სახის წინაშე
და მათი თეთრი არებით
სურს დაინახოს,
წარბნი შენნი
ნაცრისფერნი
შერისხვენ თუ არა მას.

გერმანულიდან თარგმნა ე. რ-მ.

## მუსიკისადმი

მუსიკა: სუნთქვა ქანდაკებათა. ან:
სურათების მდუმარება. ენა ენათა
სადაც მთავრდება ყველა ენა.
შვეული დრო
გამქრალ გულებში!
გრძნობა ვისადმი? ო, შენ გრძნობის გარდავლენა ხარ:
ხმოვან ლანდშაფტად:
უცხო ხარ: მუსიკა. ჩვენგან ამოზრდილი
სივრცე გულისა. უშინაგანესი,
ყოველ ჩვენგანზე
აღმატებული, გარემლტოლველი -
ღვთაებრივი გამოთხოვება:
სად შინაგანი
გარემოგვიცავს
როგორც სიშორე მახლობელი,
ვით ჰაერის
მეორე მხარე:
წმინდა,
უსაზღვრო,
უკაცრიელი.

გერმანულიდან თარგმნა
ზვიად გამსახურდიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროზა

ჯასილ მეიქიშვილი

მცირე სურათთათვის

(მინიატურები)

## ბეთანია

სდუმდა დაკერებული კედელი და სდუმდა ტევრიცა. და ხევი სკვირეთისა ხრამებს ახმაურებდა და საღამოთი ჩუმი ჩურჩული ჩაივლიდა კვესეთის ღელისაკენ.

ბეთანიავ! სდგას შენი დაკერებული კედლები. და მსურს სიხარული ვიგრძნო. სიხარული მინდა ვიგრძნო უჩვეულო და სრული.

სდუმდნენ დაკერებული კედლები და იზრდებოდა ლეღვი დანგრეულ სენაკთან რომ დაერგათ. სდუმდნენ დაკერებული კედლები და ეხვეოდა ცეცხლი მწვანე ქვებსა. ლეღვმა გაახარა სიმაღლე და დამწვარი დღეები.

ბეთანიავ! სარკმლის ჩუქურთმებში დაბუდებულიყო კრაზანა – ალბათ თაფლის მოსაწურავათ. ეგებ არ იცის კრაზანას თაფლის გემო?! ის მწარეა და უღვთოდ ყვითელი. ეგებ ადამიანმა ხელი წაატანოს კრაზანის თაფლსა, კრაზანამ ხელი დაკოდოს.

მივალ დანგრეულ კედელთან და ლეღვის·თვალებით დავიწყებ მზერასა – იქნებ მაშინ ვიგრძნო სიხარული – უჩვეულო და სრული. და დაკერებული კედლები ჩამოშლიან ლამსა – ავდრისაგან ჩამორეცხილ მწვანე ქვისასა და ლამი ცრემლად დაეცემა ლეღვის ფოთოლს და ამოუწვავს გულსა და საგალობლად გაიფანტება კვესეთის ხევისაკენ.

და მზე დაჭვა და დაიწურება და ლეღვი აიზიდება რათა იგრძნოს სიჩუმე. მაშინ შენ კედლებსაც შემოეკვრება დუმილი და ლეღვი მაინც აიზიდება რათა იგრძნოს მდუმარება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ორეს მზე დაჰკა და მწუხარე მწუხრი დაიწვება კვესვთის კლდეებს ღელეს ამოჰყვება კვნესა და დადუმდებიან დაკერებული კედ-ლები დიადო ბეთანიავ!

სდუმდა დაკერებული კედელი და სდუმდა ღამეც ასი წლის კა-ლებს მოჩვეული. ღელვი მაინც აიწიდება მაღლა, რათა მდუმარება და სიჩუმე იგრძნოს.

o

22.IX

ბეთანიობის მეორე დღე.

## ქ ვ ი რ ი ნ ა ჲ

გადმოაჩდა თუ არა ქედს ქიმმოქნილი მთვარე, მილეული სორცმე-ლი ცისა, საცოდავი და ცოდვიანი, თან გადმოჰყვა ფაფარაფორიაქებუ-ლი ქვირინაჲ: და მთვარეს გამოესახა მორკალებული კვიცი.

ქვევით, სოფლებიდან, დაიძრნენ ადამიანთა თვალები. გამოიხი-ლეს: კვიცი ქვირინაჲ, ფერად კუპრი და კუნაპეტი, მთას გადაქიმუ-ჭანდარ-ამოჭრილ ჭალასავით. დიახ, კვიცი აჯილდა, დაუგეშავი.

ადამიანები აედევნენ, ადამიანები სდევნიან. რით ვერ დაიმ-ნეს? და გადმოაჩდა თუ არა ქედს ქიმმოქნილი მთვარე, სიხარბემ დაგიმონათ, ადამიანებო, და ქამანდებით ქედისკენ გაჰქანდით. თხუ-თმეტი ქამანდი ერთად გაჰქანდა ქვირინაჲსკენ, თხუთმეტმა ხელმა მო-ხვია კვანძი ქამანდისა და შემოსალტეს ქვირინასა დასაპყრობად, გამოსაქნელად.

მაშინ კი აიწყვიტე ფაფარი, ქვირინავ! გაუსხლტი სალტეებს ქა-მანდისას და გადაჰქელე ადამიანები და ბინას უსწორე. გადარჩენილე-ბი კბილებით დაჯიჯგნე, გადარჩენილებს წიაღი ჩაუწიხლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორედ კი: შემოგახვიეს რგოლად ფაშატები. ეგებ ვნებამ ნება წაართვასო, ეგებ დავიმონოთო. დიდ ხანს აწყდებოდი წელმოწყვეტილ ლეკვივითა, დაგლიჯე ფაშატები, მაგრამ ბოლოს ვნებამ დაგიმონა: გაენერბე ფაშატსა და, ქვირინავ, ქედმოხრილო, განერთხე მიწას.

ადამიანებმა ქამანდები შემოგახვიეს. ფაშატები დაფრთხნენ და მთვარე როს ჩაესვენა, ადამიანებს შერჩათ ლეშად ქცეული გვამი ქვირინაჲსი. მაშინღა მოგხსნეს ქამანდები, თვალდამდგარო ქვირინავ!

მთვარე კი მაინც ჩადის და ამოდის, ნაკოდვილევი ხორცმეტი ცისა... და მას შემდეგ ადამიანებს აღარ გამოსახვიათ ქედს გადმომდგარი, ფაფარაფორიაქებული კვიცი ქვირინაჲ...

## ხევები თითქოს ჩამოხეულან

ხევები თითქოს ჩამოხეულან. ძუძუსავით ჩამოკიდებულ სოფლებს ჩამოსდევს წყევლა და ხევები თითქოს ჩამოხეულან.

ხანდახან დამხრის შავი და უსაზღვრო ჟამი — დაწყევლილი და ცივი. ხანდახან სიტყვაც ხმელ წიფელასავით გახმება და ჩაეჩუმდები და ხევები თითქოს ჩამოიხევიან.

ნეტავ, ხევები რაღამ ჩამოხია? ნეტა ნისლიანი ხელი რაღათ მოსდევს ხევებსა?! და ოდეს სიჩუმე და ობლობა მოვა ჩემი გული დაიზიდება ხევებისაკენ და სცდება სარამას ყეფა.

და ხევები დადუმდებიან: ჩამოხეული ხევები და სარამა ავედრება ინდრა — ღმერთსა.

და ხევები თითქოს ჩამოხეულან და სარამას ყეფა ასდევს ხევების ბუზღუნსა და თუ სიჩუმე და ობლობა მოვა, ძუძუთ ჩამოკიდებულ სოფლებს ჩამოჰყვება ყეფა სარამასი — ვითა წყევლა ლოცვა...

და ხევები მაინც ჩამოხეულან და ხანდახან ჰყეფს სარემა, და ხევები მაინც ჩამოხეულან. კიდევ კარგი ჰინდურმა მზემ მოიტანა სარემა, ეგებ შენაც გაიგონო სარემას ყეფა ძუძუთ ჩამოკიდებულ სოფლებიდანა.

ხანდახან მოვა ცივი და უსაზღვრო ქარი და დანგრეული ობლობა და სიმარტოვე და ხევებიდან ასწყდება ყეფა: სარემასი - ინდრას ერთგული ძაღლისა.

დიახ, ხევები ჩამოხეულან. სარემა! ... სარემა!!!

სამზეო

ოროლბეში გაიარე და შენს კაბას ამოექარგათ ჯეირანები. გაიარე ოროლბეში და ვაზის მწოსთან შესდექი და გამოიხედე და შენი ყელი იყო ცარცარისებური და გამოხედვა იგი ნისლისა. ვაზის მწოდან იმზირებოდნენ შენი თვალები და შენს კაბას ჯეირანები ამოექარგათ.

ლეგენდიდფერო! სამზეო იყო შენი სახელი. და ოროობეს იდექი და ხევში ჩალაცა კვნესოდა და მთვარეც გადამთიელებულიყო. მაშინ იყავი იდუმალი ვით ის ღამე, ჰირველად რომ მაგრძნობინა საშინელება და შენი სახელი სამზეო იყო.

ჯაგის ძირებთან ვიღაცა ჩურჩულებდა და ჯაგის ძირიდან ისმოდა შებიას ზღაპარი და შენც აეფარე ღეღვსა და მისი ფოთლით დაიმშვენე შუბლი და შებიას ზღაპარი მაინც ისმოდა ჯაგის ძირიდანა.

თითქოს მეც ავტირდი:

- სამზეო! ჰოი სამზეო!!. და შენ ჩუმად იყავი და გაირბოლე ოროობე და შენს კაბას ჯეირანები ამოექარგათ. ჯაგებთან ვიღაცა კვნესოდა შებიას ზღაპარსავით.

- სამზეო! სამზეო!

შენი სახელი სამზეო იყო.

ლასწისციხე

10.X - 1927 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ზედაშელი

## სისხლის გათეთრება[1]

### ერთ მოქმედებიანი ფიესა

ზურაბ ზედაშელის ფიესა "სისხლის გათეთრება" თანამედროვე აბსურდის დრამის კიდევ ერთი თავისებური მეტამორფოზაა. ენის ლოგიური და გრამატიკული დაშლის ექსპერიმენტი ჯერაც ჯოისიდან და კამინგსიდან იწყება, ხოლო დრამატიულ ხელოვნებაში ასეთი ცდები არც ისე ხშირია. თანამედროვე ლიტერატურაში ჟანრის რღვევასთან ერთად სახვითი საშუალებებისა და მხატვრული მეთოდის უკიდურესი კომპლექსურობაა საცნაური. ვინც სალი განსჯისა და ტრადიციული ლიტმცოდნეობის დოგმების მოთხოვნას წაუყენებს ამ ნაწარმოებს, უთუოდ დაჰგმობს მას. ის ვინც აღიარებს თანამედროვე ხელოვნებაში ირაციონალური ხედვის პრიმატობას, ცხადია, ჩასწვდება ავტორისეულ ჩანაფიქრს.

Mors janua Vitae
ლათინური ანდაზა.[2]

"ხოლო მე მატლ ვარ და არა კაც..."
დავითის ფსალმუნი

დოდონა — გაუთხოვარი, 21 წლის გოგონას ნახევარი.

ლჯამბლია ზურაბი.

ინდოჩინეთი — მთარული ქვეყანა — პიროვნება, სადაც არ არის არარა, გარდა არარაისა

კუდია გრიგოლი — რომელსაც თავის ქალის სამი მეოთხედი, პანკრეასი და კვირისთავები ანულირებული აქვს, ხში-

---

1 დაბადებითვე ვკვდებით

2 სიკვდილი სიცოცხლის კარიბჭეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩად კადრის კვლის ან საცურნის მდგომარეო-ბაში; პირობითი ნიშანი – მინოტავრის ზამბა-რებჩადგმული ლეში.

თურანული ფილთაქვა – კონუსისებრი გიგანტი 200-მდე მეგატონისა.

ერკო – მშვილდოსნობას დაუფლებული ადამიანი – მარ-ტორქა.

პაპია პალიკო – 0,04 თვის უკუჩანასახი.

მეოთხე ტრანსცენდენტური იდეა – პირობითი ნიშანი: ნუკლის სტატი-კური მრუდი.

ლუციფერი.

სულის მესა[illegible]ვე.

ტულეები, ასტეროიდები, ეფემერიდები, მოკლევადიანი და გრძელ-ვადიანი კრეტინები, ელექტრო-სატირები, მტვერი და სხვა დამტებითი და მე[illegible] მოქმედნი პირნი.

° აქტი I °

პანორამა I (სცენა წარმოადგენს უზომოდ გადაჭიმულ მბრუნავ სპექტრულ მიდაქს. მიახლოებითი პანორამა: სპექტრული სხივნაკადების ზღვაში ჩაძირული აალებული ჯვრებით დაფარული სასაფლაო, სადაც იის-ფერ სატევრად მოსჩანან საფლავებიდან ამოზრდილი უშველებელი ფლუო-დური Penis -ები მიცვალებულთა. ორთავიანი ბუღბუღები სტენა-სისიპით დაფრინავენ Penis-იდან Penis -ზე და იისფერ-ოქროვან ტრაექტორიებს ხაზავენ ჰაერში, კომეტების მსგავსად. ცა მოქედილია ადამიანთა თვალებით. დროდადრო იღვებს შავად, თვალები ამ დროს ძირს სცვივიან, გადაიქცევიან ფერად-ფერადი ლითონის კალთე-ბად და მიხტიან ყოველი მიმართულებით. მეორის ლეჟუსბლია ზურაბი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცალ ხელში უჭირავს ტენისის რაკეტა, ხოლო მეორეში საკუთარი გული. ზედა პლანზე მოსცურავს ცისფერი ეკრანი გუნდისათვის.

ღვამბლია ზურაბი: შინდში ჩაფლულა ნიამორების სასაფლაო ჯვრებით დაფარული. უკანასკნელი ვარსკვლავები სწყდებიან სინანულის მკლავმხმარ ხეებს. ო, მათ ჩრდილში ვისვენებდით მე და პსიხე მორეული წარმართობის ბილიკს გამოყოლილნი, დროის უსასრულო გველივ რომ შთაინთქვის ორიონის იისფერ ხომლებში. ო, რარიგ შევნოდა ორეადების ცისფერი მითქმა-მოთქმა, ტყიშემეცნების ხავსიან გუბეში ჩალეწილ ვარვარა ვერცხლის სარკეთგან არეკლილი ლანდი — საღამო... ფრთა-თა-მშმი ღრუბლები შესეოდნენ უსასრულო იისფერ ეკრანებს. იღვენთებოდა სისხლნარევი ცვარნამი მათი მარადსნეული ჯიქნებიდან. მიმწუხრულ სულთა უმანკო გულისთქმად მოისმოდა მთვარისა და გაზაფხულის უნაცი-ფეს მოგვთა გორება!..

(შემოდის დოდონა. მას უკეთია სხეულის მარცხენა ნახევრის პროთეზი, თავზე ნვრილი გველების პარიკი, ხოლო მარჯვენა ხელში უჭირავს ჩასახვის საწინააღმდეგო ატომური ბადაგი).

ღვამბლია ზურაბი (ღრმა დაფიქრებით): ემპირეუმში დავტოვე ნიმბი. გარდასულ დროთა ხომლებში გეძებდით, იდეის ცალებო!

(ილევებს. ზურაბი წუთით გახევდება. შემდეგ მოუქნევს ჩოგანს საკუთარ გულს და გადაისვრის დოდონას მიმართულებით. დოდონა იჭერს გულს ჰაერში, Penis -ებში მიიკვლევს გზას და მოიწევს ზურაბისაკენ. შემდეგ ჩერდება მისგან სამი საფლავის დაშორებით).

ღვამბლია ზურაბი: დიდხანს ეყრდნობოდა ძალთა კოსმიური მიგრაციას სულის ჩემის უმთვარო ღამე. ყოველი სინთლის წელიწადი ჩემთვის განუზელია ნიამორების გროვასთან. წარსულის ფოთლებში ამაოდ ვეძებდი დაკარგულ ცოდვათა ნაფერფლებს. საჭიროა ლიმფატიური ხსნარის ორგა-

ვად შენჯღრევა ჩემს ორგანიზმში, ბოროტების კრისტალები ხომ იოლად ილექებიან ამგვარ მყიფე ჭურჭლების ფსკერზე.

(იწყებს ძაგძაგს მთელი ტანით, რაც მალე გადადის საზარელ ვიბრაციაში. დიდონა თანდათან უახლოვდება მას. შემდეგ შეჰკივლებს სამი ხმით. ზურაბი მკვდარი დაეცემა მიწაზე. დიდონა ყლაპავს ატომურ ბაყაყს, სასწრაფოდ იხსნის სხეულის პროტეზს და იწყებს სადღა-ვის თხრას).

ატომური ბაყაყი (მუცლიდან): ჩემი კოორდინატებია: 33-0-2, ვიმეორებ: ჩემი კოორდინატებია 33-0-2; წვის სტაბილური ფაზა, წყობა ასტრალური, რგოლი პირველი.

დიდონა (რვა ხმით): ზეცა დაბრმავდა. მიიწურა ნაადრევი შემოდგომა უწვერული ვარდებისა . დავწმინდე ხანიერების უკანასკნელი საგანგაშო გრანულომა. სადაა სულის მესაფლავე? წარსულის ბადრევენები ვეღარ იმეტყველებენ ჩვეულის სიმკვეთრით. ესღა მოსჩანს: გრანდიოზული იმედის კალეიდოსკოპში შემოჭრილი წყალდიდობა, რომელიც ჩემი სიმსივნეებით იმუქრება ხანდახან. ესღაა ლოზე: გაინაპიროს სიამტკბილემ უმამფური დაპირქვავება – მძორია სივაში!

(ჰორიზონტზე ჩნდება სულის მესაფლავე. მისი სხეული წარმოადგენს დჯურალჯუმინის უშველებელ ბალონს. ობობისმსგავსი, ექვსსახსრიანი ფეხები აქვს, თავის მაგივრად ადგას საშუალო მგრძნობიარეების მეტასტაზური მანომეტრი, მოძრაობისას უკან ხვრელიდან გასდის რეაქტიულ გაზი. მოძრაობს ძლიერ სწრაფად).

ჰორიზონტის მეორე მხრიდან ღრუბელ-მერცხალთა მაგნიტური გრიგალის ქავილი მოელაღება ეფემერიდებს და ელექტრო-სატირებს).

I ელექტრო-სატირი: სინქრონიული დაშვავება რომელსაც ეს საუ-
ლოთ წვლილი მოითხოვს გასაილეთებელ აზრთა
გარიგებაში რომ არ დაბინავდეს ზარდაცემუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი ნიამორების ქარ-ნაყიდ ქვანწიტეტში აღმოცენებ-ულ სითბას მიეკედლებიან ქალწირულ სხივთა უნათლეს ბადეში. მარაგში.

2 ელექტრო-სატირი: საპირისპირო განათების დიად კვოტას გადაუყარა დნობის აღზევებულ გარდაფარდებასთან ერთად. ბრაო სქესს.

3 და 4 ელექტრო სატირები: მკრთალ სიახლოვეს განვიცდიდით ვოლფრა-მიზებული ეთერების ულევ ძრევებში გამჭირვალობა ინვენიეს მაშინ სახიფათო წვის გაზაფხულებმა ფაი-ფურის ვირში მოწიფდა გონით-ყუმყრალი წყლის წიწილი ამება ციან გულამდე. ბაჰ.

1 და 2 ელ. სატირები: სათუოდ დავხარბდით მეორადი კვანძების საფე-ხურთა დისლოკირებას საკმარისი იყო დაგვეშოთა ორვადიანი გულების სამითო რეკრისტალიზაციისაბათ ბირთვს . თერალიანალენქ.

5 ელ. სატირი. დაკარგული გულის საშითუმო ფასს დაადგენს ისევ მიზეზთა მიზეზი. ორმო-ლიქენი.

(ამასობაში დოდონას თავის მაგიერ ეზრდება უშველებელი თუჯის ტრომბონი, ხოლო სხეული ებურება ტყავის გუდის მსგავსად. სულის მე-საფლავე დგება უკანა ფეხებზე, იღებს დოდონა-ტრომბონს და ჩაბერვით ასრულებს მასზე ედემერულ მარშს. მირაჟი თანდათან თეთრდება. ჰქრება უნინდელი პანორამა. ედემერიკები ემზადებიან პარადისათვის. ელექ-ტროსატირები კრავენ კორდონს. ცარიელ სივრცეში დაფრინავს ერთად - ერთი ორთავიანი ბულბული).

ედემერიდების ჯგუფი: ჩამოკვეცილებ სანიადაგო დაფიქრების ტილებო!

1 ელ.- სატირი (რამდენიმე ასეული მეგაჰერცის სიხშირით): ზომა - ზერელე - ზიანის დახორცება ხარ, თუ სიბნელე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5 ელექტრო-სატირი: დაკარგული გულის საბითუმო ფასს დაადგენს ისევ მიზეზთა-მიზეზი. ორმო ლიქენი.

ეფემერიდების ჯგუფი (პანიკურად ირევიან): თვალთა ამბიციის ძრწო-ლა-სიამაყეში გაცრილ ფლუიდებს უფარდა ნიჭი: რულეტკენი დამორდა მიბაძვას!

ეფემერიდების მეორე ჯგუფი: ფერად-ფერად ხვითქთა დონეა. ბანქი ბჟცს. პეროდე!

ელექტრო-სატირები (აქეთ-იქიდან): ხრომო-კაემანს რელე-ტვინის ღუ-ზა ეწლება!

სულის მესაფლავე (თავისთვის): იმიტომაც ღებულობდა უთერსიტოდ კოს-მოსურ-საფიორდო სიმბოლო-წყვეტილებს.

დიდონას პროცესი (ისტერიული ხავილით): ლიმფა - ქვა - სიალეთა-ლა-ბობში ჩააციკლონა ღჯამბლია ზურაბი, თვე - სი-ნათლეთა ლინზური დაცხენვა იურვა ეკლიპტიკური ტრიგალის სარჩულად ო, ფხა-მორენებთ!

5 ელექტრო სატირი - დაკარგული გულის საბითუმო ფასს დაადგენს ისევ მიზეზთა მიზეზი. ორმო-ლიქენი.

ყველანი ერთხმად: უშველეთ! უშველეთ! უშველეთ!

სულის მესაფლავე (ისრუტავს ბოღმის იდიომებს) გამოიწვევდა ცენტრი-დანული თერსიტე!

ყველანი: თერსიტე! თერსიტე! თერსიტე! (ჰქრებიან)

შიდა პანორამა აზრის სექტორში

ორთავიანი ბულბულის ტრაექტორიები თანდათან მოკლდება. სულის მესაფლავე ხაზავს სივრცეში გეომეტრიული წყვეტის ფიგურებს, რო-მელნიც საბოლოოდ მისივე სხეულის მოდელს ემსგავსებიან. სულის მე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულის მესაფლავე (ცდილობს ორთავიანი ბულბულის დაჭერას):

ბანალური დასკვნების: ქურავენ: ჩემი სიმბიო-ზი: ვან-ქვეყნიერება მოდ: ალმასური განსიყვა-რულ-მბჟღველი კამარა კართა უთავლებო ალმა დამღუპველი სიღმერთეა ქარებო – ასღერძი!

( ტრანსცენდენტური იდეების გაბუგა ავსებს სივრცის მრაობელის მეასედ ნაფიქრალს. სპექტრული მრუდების ნელი რადიაციის რკალში მოქ-ცეული სულის მესაფლავე ნაზდება).

<u>წყლულის სტატიკური მრუდი</u>: ირეკლება ზარ-ნასხვისარი სი-ჩვეულებ-რივი ფოლცეტი = n × ზომური თვალკუბო ჯომარდ ვალებში საკინძეა თუ ყველტერი ფაიფურ-ნიყვის ძუძუ=მეოთხე ტრანსცენდენტურ იდეას.

(ორთავიანი ბულბული ( ღჟამბრია ზურაბის განვლილი ფაზა) – შემოდის მეოთხე ტრანსცენდენტური იდეის უკანასკნელ ასო-რხევაში).

ცნობისათვის: სულის მესაფლავე გადაგვარდა სულეთის ულტრა-პლაცენტური ხიდის 87 მემილიონე ბიატომის უკანასკნელ მოწამლულ პროტონად.

<u>პანორამა II</u>. ( გაბრწყინებული კონტინენტების სექტორალური ჯამის მაკეტი. ცა მიწისაა. ციდან ჩამოზრდილი უშველებელი მუხის ქვეშ, რომელსაც ფოთლების ნაცვლად სხვილი შრიფტი ასხია, თავდა-ყირა ზის კაფია გრიგოლი. ძირს – გაბრწყინებული კონტინენტების შუაგულში მოსჩანს გრანიტის უშველებელი წითელი კერპი <u>სატურნი</u>, რომლის ირგვლივაც ფერხულს უვლიან მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტები).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაფია გრიგოლი: გამორიცხავს თუ არა თავისთავს უსასრულო მნიფობის თავისთავადი რაობა?

პაუზა. (დაახლ. I მზის წელიწადი).

(ტროპიკული წვიმების შხუილის აკომპონიმენტით შემოდის ინდოჩინელი).

ინდოჩინელი: მნიფობის პარსეკი დღეიდან უსულგულო გარდასახვის იმედებს ჩაბარდა.

კაფია გრიგოლი: გამორიცხავს თუ არა თავისთავს უსასრულო სუბსტანციის სასრულო განსხეულებისათვის მზღვარეების კანონი?

ინდოჩინელი: უთვისებო და ზეთვისობრივი სუბსტანცია განთვისებისას პირობითად გამორიცხავს მხოლოდ საკუთარ უსასრულობას.

კაფია გრიგოლი: ეგო-კენტავრის შემადგენელ კომპონენტებს შორის რომელს აბათილებს მარადისობა?

ინდოჩინელი: ბათილდება კენტავრის თანავარსკვლავედი.

(ბნელდება. კონტინენტის შუაგულში გრანიტის კერპის სადგურის ადგილას იზრდება ვულკანური მთა. ინდოჩინელი ტროპიკული ფრთების შრიალით ეშვება კრატერზე. სივრცე ბერდება. კაფია გრიგოლი არხევს მუხას. შრიფტი სეტყვასავით ცვივა კონტინენტებზე. ინგრევა მოკლევადიანი კრედიტების წარღვნა. ინდოჩინელის ყბა შობს ფრთოსან კენტავრებს. კაფია გრიგოლი შემოივლებს მეტეორულ რგოლს და მიჰქრის სამზეო ორბიტისაკენ. კენტავრები ჰიმნს უმღერიან კაფია გრიგოლს, ზედა პლანზე მოსჩანან ბრჭყვიალა ასტეროიდები, რომელიც ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან გრიგოლ-სატურნის გარშემო და რიგრიგობით უერთდებიან მის მეტეორულ სარტყელს).

კაფია-გრიგოლი (ულტრა ხმით): ვღებულობ ასტეროიდულ შენაკადებს. ვარიგებ მერიდიანულ შველს. გახსენით კოსმო-პნევმატიური დერეფნები. გააღვივეთ სული მთვარი-სა.

ინდოჩინეთი (კრატერის ბუყბუყში): დახიეთ ღამის სუდარა. კენტავ-რებს უშველეთ.

კაფია კრიგოლი: მთვარე სულია ჩანასახის. მთვარე გააღვივეთ. ებრძოლეთ საექვო ბაყაყებს.

ინდოჩინეთი: იბადება ოქროს კენტავრი.

კაფია-გრიგოლი: იბადება მერიდიანული შველა.

ინდოჩინეთი: სულთა ამქმედი აშორდა ირაოს.

კაფია-გრიგოლი: დაჰქრიან ხელახალი განწმენდის კომეტები.

ინდოჩინეთი: დაფნის წალკოტებს დაჰხარის ნირვანა.

კაფია-გრიგოლი: ვარდოქროვანი მტვერის ზღვაში ცვივიან რძიანი გზის მარგალიტები; გავარვარებული ოქროს მედუზა დასცურავს სმარაგდ-ზურმუხტის უნაპირო ოკეანეში.

(ჩნდება შიდა სცენა ანუ სცენა-მოგონება: ღჟამბლია ბურაშის სისხლიანი აჩრდილი ცეკვავს თეთრ სიბრტყეზე).

ინდოჩინეთი: ფრთამსუბუქ ნიავებს გაჰყავა შენი სუნთქვა, ვარდე-ბის და ნიამორების ჭირისუფალო!

კაფია-გრიგოლი: გედის იისფერ სხივთა აკვანში ირწევა შენის სულის ფერმკრთალი სიკვდილი.

ინდოჩინეთი: აპრილის კოკრებში ნიავმა გიპოვა, შენით დასთოვა ნაცრიფ სულთა სპეტაკი გულისთქმა.

კაფია-გრიგოლი: ასპიროზის ცისფერ წისლეულს შეეზარდა სულის შენის მარადიული სიალე.

(კენგურუები ჩერდებიან სათითაოდ, შემდეგ იჩოქებენ და იწყებენ მიწის ჭამას. მოისმის კენგურუების ჩუმი ზარი. ბნელდება. ლურჯ სივრცეში ნაწილ-ნაწილ ინთება უშველებელი ყვითელი მთვარე).

პანორამა III - მოქმედება სწარმოებს ლიმფის ოკეანის მოქცევა-უკუქცევის ძალებში. ლჯამბლია ზურაბი სწოვს ლჯუციფერის თვალ-ძუძუს. ლჯუციფერის დედა სუ სეგმენტებზე იბნევს ლამის გლიცინიებს, რომელიაც ჰპოულობს შეიდფაზიანი ტუმბო - ასფეხას ხარეში. ლჯამბლია ზურაბის წიდოვანი ხარსული ყვითელი და დაგლეჯილი ტყავ-ქონების სახით ჰკიდია გასაშრობად უახლოეს ვენებზე. ასტრალურ სიბრტყეში მოსჩანან ლჯამბლია ზურაბის ჯიროვითი სხეულის კომპონენტები: ხოჭო-მესაფლავე, ნამთა სიყვითლე და არა.

ფიქრია - ლჯუციფერის პორტი.

სუ: - ნაწიბური, მარაზმი. საეგებიოდ მიეასიკვდილე თქვენი უძველო ცვედნობის ხორხოცი. ხაო. ხე მიცვლია ცალზიდ გამოსადარი ღვლიპების ხაშთეარ ღამეში. ღვარცოფია - გვამი ნაბიჯს. გვამი ხაბიჯს. კალო-მეკვლეებს. ზინთი.

ლჯუციფერი: საკვდავი სამაია. ლემურებს - ალმასი. კარტოფიკაცია - ზონაარეულ თივთიკადაცეცხლილ კამარაზე აპვირთდა ღამეგასული ღვიძლის წუწუნი. რაო მიქშიეს თუ არაა მზა ქერი თუ საელიპსო გმინვა. სეგრეგაციალეში. ნავია გერბი. შორია შაშათი.

სუ: ან მეკვეტორეს სახვათა აკიდო.

ლჯუციფერი: ლორის გარანტია: ხვალე - ხე - ყორი. ნუთების ბურთულებს ასხივებს.

სუ: კალა თუ სენეგალი?

ლჯუციფერი: დო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ლამბლია ზურაბი ნივის რენქაუტში. ლუციფერის სიტყვა "დო" ნივთიერდება: თეთრი, თხევადი მასა (ასფერ-მოწითალო ფარფლებით, ცენტრში ბურთისებრი ფალოსით. მომავალში - ლუციფერის ვექტარიანული ორბენი).

დო: ვიშმუშნები როგორც რძია - რძა.

ლუციფერი: (აძრობს ბურთისებრ ფალოსს. მიმართავს ვნება-ორკეს-ტანტებს): მაიმუნ-პეპლების მარში.

(იწყება მარში).

ლუციფერი: კავიდა მოსული კაუზალობა. ლევენ სივრცეებს თქვენი თესლ-ბაღები. მზე ქერუბიმულ წრეებს ყლაპავს ძუძუე-გამთიერილ ლეკენდებად. გაკეხვითქებათ ღიპი. ციყვია იდეა. ქარ-ნინილა სვით (იზიდავს ხოჭოს ექსტრაქტს. იგი სამწვერა ცეცხლოვანი მატლის ფორმისაა. კუდ პანია ვარდისფერ ჯვარს მიუკავს).

ლამბლია ზურაბი: ძნელია ვარდისფერი სხივების დაღუპვა.

ლუციფერი: აირონ!

ლამბლია ზურაბი: მამაო, საქათინაურო ღერძებით ნულარ ლამბავ დაწყევლილი სინდისის პროტოპლაზმას.

(ლუციფერი დროს აჩერებს. მოქრაობის სულები პირამიდალურ სექტორებად ლაგდებიან მის გარშემო).

ლუციფერი: გვამი უგვამობაა ძით. მახსოვს შენი საფრენი ჩასახვა. მაშინ პირველადი მზის ამპლიტუდებში იწყებოდა სივრცის ძეობა. თხევადი სინათლის ალფა-ელემენტებს ვესაწყისეთ და მე და გაბრიელი. გაზნისლულთა მაგნიტური ხომლები ზავდებოდნენ დიფუზურ უსასრულობაში. პლაზმური ანაზღაურება იწვნია მიზეზთამიზეზის მიერ ვარსკვლავეშორისეთში დათესილმა სიცარიელენ. მე მქვა-ლი სიცარიელე. მაარსებელმა დათესა წლიური გულთბილო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის პროტუბერანცები შვიდი კუბური სიყვარულის ლაბობ-ზე იონურ წყობაში. მანვე შექმნა პირველადი სატურნი. მე იგი დავასახლე; საეჭვო გაზისსისხლიანი არსებებით რომელნიც განაზრდნენ. ჟამი უჟამობით გადავკვეთე არსთა ირაომდე. შავეთის ცოფით ვაკურთხე გალგალა. სატურნის მზე - ხატება ითვლება უმერმისო პლაზმის მკვრივ შეგრ-ძნებებში. ჯერადი სპექტრული ძეობის სვე-მკვდარო ნა-ჟურთ, ისხივე შენი ქართბა. მთვარის პერიოდში მე და-ვარიგე ნიმბები. არს-გადანაკვანძებს ხილული დაცერებ-ით გავუპარსეკე წუთი მარადისობის ილუზიით. ჟამგამო-შვებით ვიშვერდი სახელმრუდო ვარსკვლავ-განძების ზე და ქვე ახალ ფეთქებადობას დასავლეთის ფრთაზე.

(ჰქმნის ვარსკვლავთა რუკას).

შენი ხილული კავშირის სიმკვრივესთან უსასრულოა.

ზომა - უთვალო. ხმა - უყურო. ლეკვი - იმმიგრანტი.

ლ. ზურაბი: დაშორებული ცნებების სინთეზი ჰქმნის საოცრებას.

წარსული შევისწავლე. მომავალი მძულს.

სუ: გასახმობი ღვლიპი არ ივიწყებს თავის ჩირქოვან თილის-მა - ჩარჩოებს. ნახეთქი წყევლა შენ ლაბუას!

(ლამბლია ზურაბი წუთით კარგავს კვირისთავებს)

ლუციფერი. გბერიშატ! არწიფეტა! ხმიკია! ფეშ!

(სუ პატარავდება და ძვრება ტუმბო-ასფეხას ხაოებში).

ლ. ზურაბი: დო!

დო: მძინავს და არც მძინავს. ნისლია. ფიქრებმა მომალბო. სავანე - საფირონი. მლევენ.

ლ. ზურაბი: დოდონა!

(ლუციფერი ვარსკვლავურ რუკაზე ავლებს ვიტალურ გეგმილს. ირეების ცაზე ჩნდება პაწია პალიკო.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუციფერი: ჟანგრით!

მიკროპანორამა I – პაწია პალიკოს ემბრიო-დომინიონი.

მოქმედება სწარმოებს სამოს ბარიერების დამლექავ ფაქტორებში.

წვალობენ: ლჯამბლიო-ეფემერიდები, სიცილის სულები, ანდაზა – კრე-მაცია და უთავო თხუნელა დემი.

პაწია პალიკო ეძახის დროს.

მოაქვთ: სინესტე, ლომი და თავქერფა.

ხანგამოშვებით დაფრინავს ღამურა ილარიონი.

იწარმოებს: მელისფერი საცანა, ოქროს ქარ-კუბო, ძაღლ-ნერვი და წვერ-მღილი.

პაწია პალიკო: სით_, სალამი.

ველის ჯაჭვობა: ბოლაგში სადაც წყვილ-მახე მოგიძევს ქოქამოლამ-ბულო.

პაწია პალიკო (მეშვიდე რუსული მეცამეტოფის შემდეგ): დის თავის ქვე-გნოლობა კრიჟაში აღენუსხე მუხტებით.

მიკროპანორამა II (დაახლოებით იმავე აგრში) – ერკოს პრესკონფე-რენცია ანდაზების სულებთან. ირგვლივ: ერკოს ნაყიდი კოცნებით დამძიმებული სინდისის ფენები.

მოაქვთ: ქარ-ბორკილი, სამი და ბარაბუ.

დნება: დარდი, ბოლი და ქოთნიანი ფლამინგოს ოთხმოცი.

სასაფლაო – რომი: საუბარი ეხება კომეტურ მშვილდისარს.

ერკო: გესმით გვამების ზუზუნი? ბარდებია ცა შეეხება ინდო-ლაყ-ბობას სვა ლოქო ბარყუჟი ვით ძვვა-ძვალი რიკარდო წოვეთ. ლარია ბრგეთახსირი. სიალფე ვაგოთ? ვჟიმავთ – გვეწვიონ. სალამი – სალამი – სალამი. მიყვარს: ხარში ძუ, ბე, გუ-თაქვა და მთვარის კომბაინი.

(სათადარიგო – პირობით მთვარეს უმიზნებს კომეტურ მშვილდ-ისარს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალია მალია, ჯანკისკულობა და სასაფლაო რომი (ერთხმად): მძიმდე-
ბოდეს თქვენი შუბ·ის წითელი ციმორი.

(ერკო სთავაზობს მათ საკუთარ ძვლებს. კარის სიღამაზე.
შემოდის ქოთნიანი ფლამინგოს თახმოცი).

მიკროპანორამა III ლუციფერის ულტრა-ოპტიკური სააგენტო.

შემოდიან: ქორბუყია, თვალ-აგრეკალი და უთავო თხუნელა დემი.

თვალ-აგრეკალი: შეისწიშნება ზე - ახალი სატურნის წარმოშობა.

დემი: სექტორი ასცამეტი. საძუე ყივილი. დიოსკოპური იდიოტია.

ქორბუყია: ლანდები?

დემი: სახიფათო წვის გაზაფხული. მეთვალყურე თახმოცი. ქრომო-
კაემანს აძევს. გადაიდნოს.

ქორბუყია: უხვალიოდ.

მიკროპანორამა IV. სიჩუმის ლაპები დუგმური კაპომ·რწუხებით
ლამბავენ სიგიჟეს. სწარმოებს ლამურა ილარიონის გათევზება.
შუა გვამიდან ამოაქვთ მიმინო. იქვე სხმარტალებს ძო.

ძო: გაითქვიფა გაომარი პირ-ნუფში. მზიო ლეკვართი ძუობს.
ბაზინი - ვირს!

ბზიცვის ბო·ინი: ხიბი მოაფლეკვეთ ხამანწკას ხარციეი ძობი თუ
შმიძარდოხანია. წაფხური მოკასეთ ბიონში. სვი ცვი
სამოგვეტანი - გათევზდი!

მიკროპანორამა V. ფიქრის პლედესტალზე შემდგარი მინოტავრის ბამ-
ბარებჩადგმული ლეში ამაოდ მიელტვის გველობას. სწარმო-
ებს არარსებული ქვა-თემის ერკოიზმი. მოისმის ბერწი
ფინიების ყეფა. მინოტავრის მოტეხილი რქა ბერმუხობას
იქადის.

მინოტავრი: უდაბნოა სვე.

მზის ჩურჩულა: ცრუ გუგუნი კურკანტელას ვერ მოთოვს.

მინოტავრი: ზონაა - სივრცული მესერი.

ცოფიანი კიბო: ფინიამც გაგაღომერთებს.

მინოტავრი: სულა სვიანია მზით. ღომის სადგომი. იხილეთ თრათ ორბული.

ბაციკუკუ: მურდი გიძმარდება.

მიკროპანორამა VI. ნიმბების სავანე. ნამის უმზითეო რონინი. ციმციმებს ცხრა უსახელო. ხვალეების რონინში დნება მზეთუნახავი ნი. მდაბიო ურობელის ეტლი დაიკარგა ნეონის ციმციმში. ვარდისფერ ზოლებში ფანტავენ კვირეებს. სანთლებში იწვის ორმოცი. ცვენაა...

ნატვრის მილენი: უკვდავი თოვლი ხართ თქვენ, საოცრების დედოფალო!

ნი: სადაა ნოქტიურნალური კარვის სიღარიბე?

მიკროპანორამა VII. ადრენალინი. სიო. მძეინწიჩილა.

ხაპი: ბუჩო.

(ხმალიანძავი შრაქოსტა პანჭკალტატეა. ლიგალომანჭვარშაკოლაკრუჩ. ხვერიაბსიკვლიპატვანძობაია. იაია ლაბოცვრიკშუკშუკ) ხაპი: ბუდო. ქ!

პანორამა II

მიკროპანორამა I ღჯამბლია ზურაბის მეორადი ექსტრაქტი ორბიტალური დადგენის ძალებში. მაარსებელთა მზიური ტრიადა, ღჯუციფერი, ეკვილიბრით - დემონები, მოძრაობის სულები. თორმეტი ცხრაყურა მუშაითი. ექვივალენტურად: გარდაცვლის პლანეტარული სული აირონ.

ღჯუციფერი: მაარსებელთა ნათელი ფხიზლობს. ცნება-სატურნული არეა.

პირველი შრე: თაე-ხაფი ბია და მისნებში ნაფიცი გველ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეღურა. მესამე – ჩანთოსანი მამონტი. მეორე – ნული,
უკუშობის შანთი და ეკლიპსურ ცვლაში გამყესებული არის.
მთ დალიე ვით სი დართა ლანდები: ცო, ცე და ცუ.
იწყება ლამბლია ზურაბის დაცეინვა.

(სრულდება ლუციფერის არია: "კრისტალური მარაოს ლიმფებზე").

აირონ: დადგა ბორბალმშენი. მიწის საუზმე – მიწას. ჯირკვალთა
ქცევადი ხარ: თუ: გულ-ფანდურის მოლევენო არდადეგს.
თვლემის უყოფელ ყოფას თუობა ზრდისა საჩვეულებო კბოდე
ვიროსანი კამაა ლანქერში ყბანაცვალ ურდოთა ცოლეთი,
ამბა, მოარინდე ბერსაბე!

ლუციფერი: ფრთის სინჯარაში იმღვრევა ცდომათა ნალექი: ქვენა
მიი – პეპლების ფარფალი. ნთქავდა მყრალ უბეებს: მაი-
მუნ-ჩოთირის ზვავობით უკამო შესწირა კამიერს.

(იწვევს პლანეტარული დროის ილუზიას. ვნებათა სახმილში
ჩაკირული სულის ხავილი. ფიგურულ სივრცეში: ლიმფის ლევზელი, მიტ-
რა და მიკროლუმბაგო. ნიმბო-პლანეტიკური წამების ხორხოცში: ნება-
მკვდარ ვირთა სული. ასტრალური ჯადო: მამონტის ხურუში).

ლუციფერი: აიი – სარდიონი: ქორისთვალა იუპიტერის ცვილ-ბურდი.
ღრუბლის იდეო-ქვაბური. დო. სამყურა. ოსანა. ქოქი.
არ თვალო. სინათლის ღორთა შიმუნვართ, დაბრუნდი!

მიკროპანორამა II. ქიმერების აბანო. მინოტავრის ოთხკუთხა ყბებ-
ში ცხოვრობენ სამფეხა ცხვირები. ძაბრისებურ პლეპესტალზე დგას
გაყინული სისხლის ვეება კერპი მაიმუნ-ჩოთირი (მინოტავრის თავ-
პეპლასეული ასლი).

(ლუციფერი იწვევს პლაზმა-აკორდების დეპალევაციას. მისი
ნიმბი მწვანდება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლუციფერი: (ზურაბისადმი) შენ, ქვათა მწირველი სოკო-ნემსი და-ბუობ: ირიბი ფრთა: ქეცი: კიდუსუნობანა.

აირონ: (ზურაბისადმი) დასთმე ტყუილის სამშობლო. დასაფლავების ფაცერი[1].

(ლამბლია ზურაბის ექსტრაქტი ფეთქდება და გადაიქცევა იის-ფერ-ოქროვან ღრუბლად, რომელიც სფერული ჯვრის ფორმას ღებულობს).

მიკროპანორამა III: კაფია-გრიგოლი თეთრი ვიბრაციების ტაძარში. ტაძრის ირგვლივ მინოტავრის ბაცილების ელიფსური შრე. სატ[illegible]ის გარშემო აუხსნელი წარმოშობის მკვრივსეგმენტიანი კომეტა-გველი, რომელიც ცდილობს მის ჩანთქვას. ლუციფერის სხივური ძაბვა აღნობს გველს, გველი გადაიქცევა ინდოჩინეთად. სიმბოლიურ კატაფალკაზე შემოაქვთ მინოტავრი, ლამბლია ზურაბის როლში.

კაფია გრიგოლი: მახსენდება უდროოდ განწყვეტილი სიმი ევტერპას გრძნეული ჩანგისა. სიამაყით დასჯილი ორბი ეთერთან მორკინე. სხვათა შეცნობისას სჭვრეტდა იგი თავის მშვენებას. აზრით მგლოვიარე არ იშორებდა ნიღაბს შვებისას. მან იძმო სატურნი. ასპიროზის უკუგდებამ გასტეხა და არარაობის უფსკრულთან შემოადამდა.

ინდოჩინეთი (ნივთიერდება ცეცხლოვან ლოტოსად): წარმავალია გრძნობადი სიბილწე. ყოფნა არყოფნაა, არყოფნა კი ყოფნა. მუდ-

---

1 (სქოლიო ანუ ხმოვანების კორონა):
თავპეპელა: მომშირეთა კიბო-კიბო სვლამარდი დაპინწინწიკარდიოსიპატრ[illegible] ბანდულიანი ბორა-ქალი ნიყვინე: მოყეყეყეყეპიცკვიამოკალანწიპამობენ[illegible] ურთ.

გნოლეე სატანის ქუსლი: გალბროტ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიეი ხატი: მესაფლავე, საფლავის მკვიდრი. სიჰცულ ჰვამს გასრნნა ან გარდასახვა; სული არარა არარაისა.

ინტერმედია

(მიზეზობრიობის სექტორში)

დროის კიბეზე ზის ერკოს მამა, შეშლილი მათხოვარი თავ-პე-პელა. ღამით თითქოს მონობენ. კვირეული სიფილისის კუდი. არის "სიმწყვეტა". ჰიპნოზი კატაფალკებზე. ხმარებაშია იმედის კუბო. სვამენ ქარს. სჭყლეტენ – ნიკარაგუას.

თურანული ალთაქვა: (მოტყუებით კბენს პანია პალიკოს): სი-ნორჩე ლალად მისაკუთრე, წრუწუნავ.

პანია პალიკო (ცდილობს მოუძებნოს კუდუსუნი): ალმითქვი კორ-კიმელი!

(ფეთქდებიან)

კაფია გრიგოლი: კიდევ ერთი ცისარტყელა მოწველის.

მიკროპანორამა ვითომ:

(ანუ მინოტავრის ოცნების სტვირი)

ერკო გამარჯვებას ზეიმობს ზიზღის სტალაქტიტებში. ცაზე გაკ-რულია გამომშიგნული გველები. ირგვლივ: ერკოს ნაცილი კოცნებით დამ-ძიმებული სინდისის მაღარო. ერკო რქა-პენისიდან ანთხევს ბაცილებს და ბილწავს პანია პალიკოს ლიმფურ სამარეს (ვითომ).

მეგალოპანორამა ჰო.

კომეტა-გველი: რთულდება ხატების რეალიზაცია!

ინდოჩინეთი: გადაადნე შემეცნების ქვა.

(პაუზა. დაახლ. 1000 სინათლის წელიწადი).

გაისმის ლჯამბლია ზურაბის მოტივი ვარდისფერ-ოქროვან ხმოვანე-ბაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაფრის გრიგორი: ვგრძნობ უცხო მხარეებს. ბინდით მოცული მარადი-სობის ნისლში ხარ დავანებული. შენ დაუბრუნდი საკუთარ თავს, მაგრამ ჩემს ხატებს როდი ძალუძთ შენი არეკვლა. შენ, ვარსკვლავთა ხომლის ნათება, აღცისკრები მხოლოდ (აისზე!

ინდო-ჩინეთი: დაუბრუნდი გველების გარიჟრაჟს. დასწვე სისხლის მაცდანე! აღსრულდი!

ლ. ზურაბი: ვინჩე!

(ფეთქდებიან. დეკექციური ჰანი საშუალოდ ჰქრება მინო-ტავრის ბაკილებთან ერთად).

დ ა ს ა ს რ უ ლ ი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ კოსტავა

# ი გ ა ვ ე ბ ი

## 1. იადონი და ბულბული

ერთხელ გალიაში დამწყვდეული იადონი მოჰყვა ტრაბახს, რომ იგი ბულბულზე დიდი ხელოვანია. "ყველგან და ყველასთან, ტყეობასა თუ თავისუფლებაში ერთნაირის მომხიბვლელობით ვგალობ. ჯერაც არასოდეს გავუწბილებივარ მუზას. ბულბული კი ხმადაწყვეტილი სდუმს გალიაში, მუზათა მადლს მოკლებული".

"ამაოდ უტოლებ თავს ბუნების დიდ მგოსანს - ააბდღვიალა ბროლის ლარნაკში ფურცლები ვარდის კოკორმა - იმიტომ როდი სდუმს ბულბული გალიაში, რომ მას სიმღერა არ შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ თავისუფლების პირმშოა (კი და მიჯნურობის ცეცხლით ანთებული მგოსანი, ამასთან ხელოვნების მხოლოდ ჭეშმარიტ დამფასებლებს უგალობს იგი, რომელთაც ძალუძთ შუაღამისას ძილი განიფრთხონ და ბაღში გავიდნენ მის მოსასმენად. შენ კი, მონობას შეჩვეული, შენი გალიის მეთვალყურეებს უგალობ მხოლოდ და იქვე სარკმლის რაფაზე შემოსკუპებულ კატას, რომელსაც შენი სიმღერისა არაფერი გაეგება და მხოლოდ იმას ნატრობს როგორმე ღია დარჩებოდეს გალიის კარი შენს პატრონს, რათა ერთ ხაპში გადაგსანსლოს.

კარის მგოსანი ხელმწიფისა და მისი ვეზირებისათვის იგივეა, რაც მსუყე სადილზე დასაყოლებელი დელიკატესი. ჭეშმარიტი მგოსანი კი მხოლოდ ღვთისა, სიბრძნისა და მშვენიერების მსახური უნდა იყოს.

## 2. ბულბულის განქიქება

ერთ დაბურულ ტყეში ფრინველთა სამხატვრო საბჭომ ბულბულის შემოქმედების განხილვა მოაწყო. საღამო კრიტიკოსმა ჩხიკვმა გახსნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

"ვინაიდან კრიტიკული ხედვის თვალსაზრისი ჩვენს დროში ესოდენ გაიზარდა, - დაიწყო მან, - ის ძველი პრიმიტიული დონე გადაილახა და, ამიტომ ბულბულის ხელოვნებისადმი ჩვენი პოზიცია დიახაც შეიცვალა. თუმცა პროგრესულ ფრინველს მოხიბლავს დღეს ზებუნებრივზე და არარეალურზე მისი გაუთავებელი წუწუნი, მაგრამ ვარსკვლავებსა და მთვარეზე მოთქმა და გოდება, რომელსაც ქვეყნად შედენი ყიალოფა და კენკროვანი მცენარეა. აქედან გამომდინარე მისი შემოქმედება პესიმისტურია და კრიტიკის ცეცხლში უნდა იქნას გატარებული, როგორც აკადემიური ფანტაზიის ნაყოფი და წარსულის ბნელი გადმონაშთი. სჩანს ბულბული მისტიციზმში გადაიჭრა და იდეურად არაჯანსაღ პოზიციას იჭერს".

"არც მე მომწონს - სთქვა ძერამ - ჩვენი დროის გმირთა ასახვას რომ გაურბის იგი. ძერებისა, ორბებისა და ქორებისთვის როდი აღავლენს იგი ხოტბას, თვალშეუდგამი სიმაღლეებიდან რომ დააცხრებიან ხოლმე ელვის უსწრაფესად თავიანთ ნადავლს და სისხლიანი ნაკტენით ველ-მინდორს ამტყდებენ."

"არც მშრომელთა ცხოვრების აღწერაში დასდენია მას ოფლის ღვარტქაფი - დაიჩხავლა ყორანმა - თორემ აბა რითი ავხსნათ გეთაყვა, რომ ჩვენ, ყორნები და სვავები ჯერაც ვერ გავხდით მის ქმნილებებში მოხვედრის ღირსი. ჩვენ რომ ჯაფისაგან წელში არ ვწყდებოდეთ და ამდენ ლეშს არ ვახლებოდეთ, ხომ წაიბილწებოდა ქვეყნიერება?. მაშ თუ პატიოსანი კაცია იგი, მობრძანდეს ჩვენთან, ახლოს გაეცნოს ჩვენს ცხოვრებას, დაიზიაროს ჩვენი საამო ტრაპეზი და იმ უცხო შთაბეჭდილებებით გაამდიდროს თავისი შემოქმედება, რითაც ეგზომ ქებულია ახალგაზრდა ჭილყვავის ლირიკა".

" რას ჩერჩეტობს ეგ სამგლე ეგა - გადასძახა მოთმინებიდან გამოსულმა შაშვმა იქვე იფნის ტოტზე შემოსკუპებულ გუგულს. - ამ

წყეული ჯილაგის ნაშიერს როგორ უტოლებს დიდებულ მგოსანს".

"იყურე მეკობრო - მშვიდად მიუგო მას კეკელმა - ნუთუ არ იცი, ჩუმად მგოსნობასაც რომ იჩემებს ეს სასიკვდილე. ამდაც სძაგს მას ყველა ნამდვილი ხელოვანი, ხოლო ჭილყვავები, კაჭკაჭები და მიკიოტები ძალზე იმიტომ აქებს, რომ მათ ფონზე საკუთარი ყრანტალი ფსალმუნად მოეჩვენოს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წ ე რ ი ლ ე ბ ი

კონსტანტინე გამსახურდია

## მ ო ზ ა ი კ ე ბ ი*

### 1. მაგიური შანდლები

ლეგენდა გვაუწყებს: როცა წმ. მამა ქრისტიან როზენკროიცი გარდაიცვალა, მისმა მიმდევრებმა მისი უხრწნელი სხეული საპატიო სამოსით შემოსეს და თავიანთი ორდენის სახლის ქვეშ დაასაფლავეს, ხოლო მის საფლავზე დაანთეს მაგიური შანდლები, რომელთაც მომავალ თაობათა და საუკუნეთათვის გზა უნდა გაენათებიათ სამარადისოდ.

ასე ანთებდნენ მაგიური შანდლები, ვიდრე ერთმა მისმა მიმდევართაგანმა უცაბედის ფეხის წაკვრით არ გადააგდო ერთი შანდალი საფლავის ლოდიდან.

მე მგონია ადამიანის ფანტაზიასაც ისე მოქცნენ ევროპაში ამ ორიოდე საუკუნის წინათ, როგორც წმ. მამის ქრისტიან როზენკროიცის ცხედარს - მისი მოწაფენი.

იგი დაასაფლავეს და მისი საფლავზე აღმართეს რომანტიზმისა და კრიტიციზმის ანთებული შანდლები.

რომანტიზმის შანდალი უცაბედის ფეხის წაკვრით გადააგდო ვიღაცამ ევროპაში, დარჩა შანდალი კრიტიკული სულისა, მისმა შუქფენამ დაჰფარა ყოველივე; ერთის თვალმოკვრით ადამიანს ეგონება, რომ

---

* წინამდებარე ნომერში იბეჭდება კონსტანტინე გამსახურდიას რამდენიმე წერილი, რომელნიც ადრე გამოქვეყნდნენ როგორც რევოლუციამდელ, ასევე საბჭოურ ჟურნალ-გაზეთებში. ეს გამოცემები დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცნენ. ამიტომაც ვბეჭდავთ მათ ხელახლა, ვინაიდან მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ სულში აღარ დარჩენილა არც ერთი ბნელი კუნჭული, რომელიც გონების რენტგენის სხივებს არ გაენათებინოს. ამ კრიტიკულმა სულმა დაკონკრეტებულად გამოაცხადა ყოველივე მისტიკა და ყოველივე შესაძლებელი მეტაფიზიკა.

Miser de la philosophie (ფილოსოფიის სიღატაკე) იყო ამ კრიტიკული საუკუნის ჰაროლი. კრიტიკულმა სულმა ააფეთქა სახელმწიფო; კრიტიკულმა სულმა დაანგრია ოჯახის ტრადიციები. ეს რევოლუცია და ამბოხი, რომელიც ფილოსოფიაში დაიწყო, ქარიან ღამეს გაჩენილ ცეცხლივით მოედო ქარხანას, ქუჩას ოჯახსა და სახელმწიფოს.

საქმე იქამდის მივიდა, რომ ადამიანის სულის ტრანსცენდენტურ არსებაზე ხელშეხება მოინდომეს და ის იყო რომ ექსპერიმენტალურ პსიხოლოგიის ლაბორატორიებში ისეთივე ექსპერიმენტები მოუნდომეს იმ სულს,[1] რომლის პირითაც ასე მჭევრმეტყველურად, ასე ამაყად ამბობდა ნეტარი ავგუსტინე: Caelum et terram ego impleo. როგორსაც ახდენდა პასტერი კურდღლის ბაჭიებზე. ფანტაზიის დედოფლების ეპოქას ჰკუ ენოდნენ უმშვენიერესი და უძვირფასესი ფურცლები ადამიანობის ისტორიისა, გოტიკა, როკოკო, ბაროკო რენესანსი და რომანტიზმი.

ჩვენ დღეს კრიზისს განვიცდით, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს მოქალაქენი.

ჩვენი საუკუნის ახალთაობას, რაგინდ მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს იგი თავისი ინდივიდუალური სულიერი სტრუქტურით და ნაშენობით, ერთი რამ აერთებს, – ეს არის უარყოფა ჩვენი თანამედროვეობისა.

---

1 ცასა და მიწას აღვავსებ მე.

სადაც სულით გლახაკნი თავს იყრიან, იქ არის კიბე უფლის სასუფეველისაკენ აღმართული.

ის, რაც ჩვენ თაობას აერთებს, ეს არის პროცესი გადაჭარბებული ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ მიმართული. ჩვენ თუმცა მოწყვეტილნი ვიყავით უკანასკნელი წლის განმავლობაში ევროპისგან, მაგრამ იდეები ხშირად ჰაერის ტალღას მიმოჰყვებიან, ამიტომაც ჩვენი უახლესი ლიტერატურის დვრიტა დასუნთქულია ამ ზოგად ევროპული სულიერი განწყობილებით.

ეს პროცესი მიმართულია იმ საშინელი ამერიკანიზმის, იმ კოლოსალური მექანიზაციის წინააღმდეგ, რომელმაც ასე გაიტაცა ჩვენი საუკუნე. პოლიტიკურად ეს ამერიკანიზაცია საგრძნობელი გახდა ევროპაში მას შემდეგ, რაც ამერიკული იანკები თავიანთ ტანკებით მოედნენ ფლანდრიის და შამპანიის მიდამოებს, დაუგონარი ამბავი: რომ ფერადი ხალხები მოსულიყვნენ ევროპის შინაურ საქმეებში ჩასარევად.

მაშინებს ძველებ- დაჰყვება თან, რადგანაც მაშინა ისეთივე სიმბოლური გამოხატულება სულობისა, როგორიც ფრესკები, სურათები, ქანდაკებანი.

ამ ამერიკანიზმს ახასიათებს წვეკადასული ბატონობა რაციონალიზმისა და უსასოო სკეპტიციზმი, ნიშანდობლივი თვისება ყოველივე დეგენერაციისა და სულიერი დეგრადაციის. ადამიანობა მეოცე საუკუნეში ველური პსიხოზითაა შეპყრობილი. ამ უსაშველოდ მოფუსფუსე ეპოქას ახასიათებს გადაჭარბებული მნიშვნელობის მირწყვა მატერიალურ ფაქტორებისადმი, თითქოს არ წერია იყოს, რომ სიცარიელე გადანთქავს სამყაროებს და ისევე ცარიელი დარჩება ბოლოს.

ამ უსაშველო პროგრესული მექანიზაციის სული არა ერთსა და ორ სულიერ ჰეროლდს გამოუწვევია ხმალში და მათ შორის უდიდესის, ფრიდრიჰ ნიტცშეს გმირული ცხოვრება ამ ინტელექტუალური დუელის

მსხვერპლი გახდა. ნიცშე, ამ მხრით, სრული ანტიპოდია კარლ მარქსისა.

ჭეშმარიტად იმ დღიდან უნდა ითვლიდეს ჩვენი პროტესტანტი ახალი თაობა თავის არსებობის ანალებს, რაც ნიცშემ თავის ცნობილის ნაწარმოებში ეგზომ გულწრფელი პათოსით წამოიძახა:

"უნდა ემღერა ამ ახალ სულს, - არც კი მოეთხრო". ეს ახალი ირაციონალიზმი ჩვენს საუკუნეში, ჩვენშიაც პარალელურად მიჰყვება ნელის ტემპით მომავალ ინდუსტრიალიზაციას, როგორც ევროპული პესიმიზმი გასული საუკუნის ორმოცდაათიან და სამოციან წლებში.

ჯერ კიდევ 1870 წ. სწერდა ფრიდრიხ ნიცშე: უახლოესი მომავლის კულტურულ მდგომარეობას მე დიდის გულისწუხილით შევჰყურებო.

ჩვენმა საუკუნემ უარჰყო ყოველივე რელიგია, ვითარცა ფაქტორი და სათავე კულტურისა და მის სანაცვლოდ გაამეფა პრაქტიკული რელიგია სოციალიზმისა.

ყოველ ეპოქას ყოველ საუკუნეს და თაობას თავისი [illegible] მომნანიშებელი ჰყავს. ჩვენც ხშირად გვესმის დღეს თანამედროვეთა საყვედური, რომ ჩვენს დროს იშვიათი დიდი მუსიკოსები აღარ ჰყავს, როგორც იყვნენ რიჰარდ ვაგნერი და სებასტიან ბახი, არც დიდი სტილის ფილოსოფია, არც დიდი სტილის ხელოვნება. ჩვენი ეპოქის პოეტები პროტოკოლისტები არიან, მისი მემუსიკენი - მთარგმნელები, მისი მოაზროვნენი - უნაყოფო ფელეტონისტები, მისი ხელოვანნი - კაფეს მოშაირენი და ქლექიანი ბოჰემელები.

ამიტომაც ეშინია ჩვენ დროს თავის სახის სარკისა. შეგნება უსრულობისა უკმაყოფილების პირველი წყაროა! ახალი სული გრძნობს, რომ მატერიალური ფაქტორი წარმავლობის მტვერია მხოლოდ. აკი გვარწმუნებდა კარლაილ, რომ მთელი ლონდონისა სიმდიდრე ერთ საცოდავ ფეხსაცმელების მწმენდელს ვერ გაამდიდრებსო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადამიანს სწყურია ახალი რწმენა და ახალი ღირებულებანი.

გადაჭარბებულმა რაციონალიზმმა და ინდუსტრიამ თვით ჩვენი ცხოვრების უძლიერესი სტიქია გამოხატულება-მუშაობა, უმიზნო იდიოტურ ხელების ქნევად აქცია, მუშაობას დაუკარგა სიხარული და სიხალისე იმისადმი, რასაც ადამიანის ხელი ჰქმნის და აკეთებს და ის მაშინები, რომელნიც განთავისუფლებული ადამიანობის მაგივრად უნდა შეებათ ჩვენი ცხოვრების უღელში, თვით ადამიანის ბორკილი და უღელი გახდნენ.

ჩვენი საუკუნე უკვე კარგად ჰხედავს, რომ არც მატერიაში, არც ჩვენი დროის კოლოსალურ მანქანებში არც თანამედროვე მსოფლიო კაპიტალიზმში და არც მის სულის ჩამდგმელ მატერიალისტურ-პრაქტიკულ რელიგიაში ხსნა აღარ არის.

უკუვიქცეთ ღვთაებრივ გულუბრყვილობისაკენ უკუ-ვიქცეთ იმ უცნობ ღმერთისაკენ, რომელიც ქვნეულის ღიმილით გვიცქირის ჩვენ ჩვენი სულის სიღრმეში.

გაისმის ხმა, მაგრ'მ საკითხი ისმება - იმას, ვისაც ჩვენი საუკუნის ბოროტი გენიის - სკეპტიციზმის ბაგის შეხება ერთხელაც მოჰკარებია, სათნოება და ღვთაება თუ შეიეწრომებს. საკითხია: გამოვდგებით ანი ჩვენ ღვთისმოსავთა და სულით სპეტაკთა შორის რომ დავდგეთ და გავიმეოროთ:

არის ნიშნები, რომ ჩვენი თანამედროვეობა დაიწყებს ამ სპირიტუალურ ანაბაზისს[1].

მეტაფიზიკური შინდალი ფანტაზიისა უნდა ავანთოთ ისევ, რომ გზა გაუნათოთ ჩვენს წინ მომავალ თაობებს. ასე მესმის მე ჩვენი თაობის ვალმოხდა და ამოცანა.

---

1 უკუქცევას.

## მწერლის დღიურიდან

### 4. ველიკორუსები და არარუსები

ვგონებ არც შუბლ-ყალარა კრონიონის მართლმოყვარულობას, არც "ვერცხლის ფეხა" თეტისის თილისმას და არც თუ სხვა ოლიმპიელთა კეთილშობილებას არ ურგუნებია გამარჯვების დაფნა ჰელლენებისათვის ილიოსის ბჭეთა წინაშე.

გამარჯვების უპირველესი საწინდარი მუდამ და მარად კულტურული უპირატესობა იყო. დღეს პარადოქსად არავის მიაჩნია ის დებულება, რომ უკულტურო ერი ფაქტიურად არც კი არსებობს ადამიანურ რასსათა კოლექციაში. არსებობს მხოლოდ კულტურულობის ხარისხის სხვა და სხვაობა და მისი განვითარების დონის სივრცე-სიმაღლე. თავისებური კულტურა მოეძევა როგორც ზულუს, ისე ბრიტანელს, როგორც მალაელს ისე ფრანგს, მაგრამ კაცობრიობის ისტორიის ეკრანზე მხოლოდ ის ერები აჩენენ მუდამ თვალსაჩინო კვალს, რომელთა კულტურა და ცივილიზაცია ერთი მეორის ხელის შეწყობით ერთი მეორის შევსებითა და დამატებით, ერთი მეორის მხარის მიცემით ემსახურებოდენ ერთსა და იმავე თვითმიზანს, როგორიც ორი ხელი ერთი და იმავე სხეულისა, ვინაიდან კულტურა სული, ენერგია ერისა, ცივილიზაცია მისი გზის გამკვლევი ჩირაღდანი, მისი იარაღის მჭრეველი, კულტურა თვით-მიზანია, — ცივილიზაცია გზა და საშუალება. უთანაბრო განვითარება ერთი მათგანისა აუცილებლად აფერხებს ერის წინ მსვლელობას, რადგან უცივილიზაციოდ კულტურა იმდენად უმწეოა, რამდენადაც უკულტურო ცივილიზაცია — უფერული. უცივილიზაციო კულტურა მრავალმილიონიან ჰინდუს ერისა ძალაუნებურად იძულებულია გზა დაუცალოს როგორც კულტურულად ისე ცივილიზაციით მწიდარსა და ძლიერ ინგლისს. განა დღევანდელი ინდოელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცხარსთა ძარღვებში იგივე სისხლი არა სჩქეფს, რაც ძველ იბერელთა და ახამენიდების და ცივილიზაციის მზე ღომი ქინდრას ნაპირებსა და იონიის მიდამოებში კირჩხიბზე გადახრა, ან ერებმა თვითვე იგრძნეს თავიანთი ცივილიზაციური უმწეობა.

ქართველებსაც სწორედ იქ ჩაგვიტყდა ხიდი, სადაც ჩვენმა ცივილიზაციამ ჩვენივე კულტურული პანთეონის მეციხოვნეობა ვერ გასწია. ვიდრემდის ქართულ რასსას კულტურულ-ცივილიზაციური უპირატესობის დაფნა ხელთ ეპყრა ამიერ-კავკასიაში, იგი ფენომენალურ სასწაულებს ქმნიდა: კავკასიის მრავალ ერთა კოლექციაში საკუთარ დამოუკიდებულ პოლიტიკას ატარებდა და ეს პოლიტიკა, არც მეტი და არც ნაკლები, ინდენტიური იყო კავკასიურთან. წარსულში ჩვენი კულტურული ანტრეპრიზის პერიფერიები რეალურ საქართველოს მიჯნებს შორის მომწყვდეულ ტერიტორიას როდი სჯერდებოდა, მას თავის კულტურულ-ცივილიზაციურ გავლენათა სფეროდ მიაჩნდა: ჩრდილოეთ კავკასიის ლეკებით, ყუმისებით და ჩეჩნებით დასახლებული მიდამოები. სამხრეთით ძველი სომხეთის ჩრდილოეთი პროვინციები, ჩრდილო დასავლით აფხაზთა მიდამონი*. ვგონებ ვერც ერთი კულტურის მეისტორიე ვერ გამოიცნობს თუ რად ელტვის ერთი რასის, ერთი მოდგმის კულტურა დიამეტრალურად მდებარე პოლიუსებსა და ექსტრემებს, როცა რომელიმე ერის კულტურა და ცივილიზაცია იმ კალაპოტს ავსებს, სადაც იგი პირველ იშვა, იგი უცხოდ ისწრაფვის და ამნაირად უცხო ელემენტებისადმი საკუთარი კულტურული სახეობის სესხების ტენდენცია იყო მუდამ სულით ძლიერი ერის აუცილებელი, თანდაყოლილი ატრიბუტი. განა ეგვიპტისა და ოსმალეთის უდაბნოში მსრბოლელ ნაპოლეონ ბონაპარტეს მერანს ისევ და ისევ ფრანგის

---

* ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. დოქტორ დირის "დი ფოელკერ დეს ნორდ კავკაზიენს".

ერის "მანია გრანდიოზათი" შეპყრობილი უკრაელი გენია არ დააქროლებდა? ბერლინ-ბაღდადის რკინის გზის ლოკომოტივის პირველი გაკივლება მესოპოტამიის უდაბნოებში, გერმანიის კულტურის სახელით არ მოაქცევს ნირვანაში მთვლემარ აზიას?

ინგლისს რომ კულტურული უპირატესობა არა ჰქონოდა, ჰინდუს ურიცხვ რასსათა შორის ალბიონის ძეთა ბატონობა ეგზომ ხანგრძლივი იქნებოდა აღმოსავლეთში?

ერთი წამითაც რომ თვალი არ ავიხვიოთ იმ უსამართლობაზე რომელიც ინგლისს ინდოეთში, ბელგიას კონგოში და საფრანგეთს მაროკოში ჩაუდენიათ, ამ ერებს ვერავინ წაართმევს იმ კულტურტრეგერულ მოღვაწეობას, რომელსაც დღემდის ეწევიან ისინი სამხრეთ აფრიკასა და ცენტრალურ აზიაში. სულ სხვაა როცა დიდსა და ვრცელ სახელმწიფოში, სადაც ნაირ-ნაირ ერთა კატეგორიები მოსახლეობენ, შემთხვევით ისეთ ერს ეკუთვნის სახელმწიფოებრივი ინიციატივა, რომლის მარტოოდენ სახელის ხსენებაზე უსიამოვნო ემოციები დაებადება ყოველ ევროპიელს.

როცა საფრანგეთის რევოლუციონერმა ხალხმა ბასტილია დაამხო, მთელმა საფრანგეთმა, მძიმე ტვირთმოხსნილ კაცსავით ამოისუნთქა, ხოლო რუსეთის "კრესტისა" და პეტრე-პავლეს ციხის აღების შემდეგ კიდევ მრავალი ხუნდები დარჩა გაუხსნელი რუსეთში მობინადრე არარუს ერების მაჯებზე, კიდევ მრავალი "კრესტი" დარჩათ მათ ასაღები.

შედარებით, თავისუფლად ამოისუნთქა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთში გაბატონებულმა ერსა ველიკორუსებისამ და მასვე ხელში შერჩა ის მუხრუჭი, რომელიც დღემდისაც აბრკოლებს სხვა ერების წინსვლასა და განვითარებას.

როცა ფინლანდიის სეიმმა ფაქტიურად მოსთხოვა რუსის დრ. მთავრობას ღუნაპირები, მთელი რუსეთის ინტელიგენცია და პრესა და თვით სოციალისტური გაზ. "დენი" საჯაროდ აცხადებენ: "ფინლანდიის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სეიმსა და სოციალ დემოკრატებს ტყუილად ჰგონიათ, რომ ნიკოლოზ მეორეს ან რომელიმე დიდ მთავარს პირადული პრეტენზიები ჰქონდა ფინლანდიის ხალხზე. ფინლანდიის სეიმი აცხადებს: ის უფლებები, რომელნიც დღემდის რუსის მეფისა და დიდი მთავრის კომპეტენციაში შედიოდა, დღეს რუსის ხალხს უნდა გადაეცესო. ამ უფლებების მემკვიდრე, ამბობს სოციალისტური "დენი", დღეს-დღეობით დროებითი მთავრობა და რუსეთის დამფუძნებელი კრებაა"!

ძველი რუსეთის მთავრობა "პატრონებს არა ზოგავდა", ოღონდ რუსეთში სახელმწიფოებრივი ინიციატივა ველიკორუსებს შერჩენოდათ.

ძველი რუსეთი რუსეთის სახელმწიფოს განმამკვიდრებლად არა-რუს ერებს უყურიდა ბორკილებს, იმას კი ვერა ხედავდა, რომ ამ გზით თვითვე ძირს უთხრიდა იმ შენობას, რომლის განმკვიდრებისათვის ეგზომ მონდომებული იყო. ძველი რუსეთის უვარგისმა პოლიტიკამ დააყენა პოლონელები სეპარატიზმის გზაზე, რადგან რუსეთმა ვერც კი იწამა პოლონეთთან ერის თავისუფალი კულტურული თანამშრომლობა. ამავე გზაზე წავიდნენ ფინლანდია და უკრაინა თუ მათ ავტონომიურ ლტოლვების მკვიდრი გარანტია არ მიანიჭა დროებითმა მთავრობამ.

ალბათ დრ. მთავრობის წარმომადგენელნიც გრძნობენ, რომ რუსეთში გაბატონებულ ეროვნებას სწორედ ის შემაერთებელი მარჯვალი არ უპყრია ხელთ, რომელიც ინგლისის ოკეანის გადაღმა ვრცელ ახალშენებს ეგზომ აკავშირებს ბრიტანეთ, დედა სახელმწიფოსთან. ეს შემაერთებელი მარჯვალი გახლავთ ისევ ის კულტურულ-ცივილიზაციური უპირატესობა გაბატონებული ერისა, რომელიც ეგზომ ანსხვავებს სუვერენულ ბრიტანეთსა და ველიკოროსებს ერთი-მეორისაგან. ამიტომ არც ერთ ინგლისის პროტექტორატის ქვემდებარე ქვეყანას ინგლისიდან სეპარაცია არა სწადია.

გერმანელებმა ამ ომის დროს, ოსმალეთ შაიჰბეის მიერ გამოცხადებულ ღაზავათის "წმინდა ომის" დაწყების შემდეგ მილიონები და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯეს ინდოეთის ხალხის შესაიარაღებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ინდოეთს ინგლისიდან გამოყოფა აზრადაც არა ჰქონია.

ჩემ უნივერსიტეტის ამხანაგსა და ევროპაში მომქმედ ინდოელთა ნაციონალურ პარტიის ერთ-ერთ ლიდერთაგანს ვკითხე 1915 წელს: "როგორ ჰფიქრობთ, ინდოელები მხარს დაუჭერენ "წმინდა ომს" და ინგლისელებს განდევნიან-მეთქი? – ჩვენ როდი გვნდია ბრიტანელების განდევნა ინდოეთიდან, ჩვენ გვინდა მხოლოდ ავტონომიური ინდოეთი დიდ ბრიტანეთის სახელმწიფოს ფარგლებში", მიპასუხა ინდოელმა პატრიოტმა და როცა ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, ინდოელმა მომიგო: "ყველაფერი კი არ უნდა დაიჯეროთ რასაც იაფ ფასიან პოლიტიკურ ბროშურებსა და ჟურნალ-გაზეთებში სწერენ. ჩვენ რად უნდა გავდევნოთ ინგლისელები, როცა ჩვენი ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძველი აღმოსავლური კულტურის მემკვიდრეა, ცივილიზაციის მხრით ისე ჩამორჩენილია, რომ ისეთნაირი სავაჭრო გზების აშენებაც ვერ მოუხერხებია, რომელნიც ჩვენი ხორბლისა და ოქროს ევროპაში გადასაზიდავად გამოგვადგებოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს ხალხს ინგლისელი დიდის სძულს ისე, როგორც მაგ. პოლონელს – რუსი. გარდა ამისა, ამბობდა ჩემი ნაცნობი, ჩვენში, ინდოეთში უკიდურესი ნაციონალისტებიც აღიარებენ – რომ ჩვენთვის ინგლისელები საჭირონი არიან. რუსეთში ერთ დროს ძლიერ გავრცელებული იყო ბიჩერ სტოუს "ბიძია თომას ქოხი". რუსის მოწინავე თაობას ზანგებისა და ბურების დაჩაგვრაზე უფრო ეწვოდა გული, ვიდრე უკრაინელთა, ქართველთა ან ფინლანდიელთა შევიწროებაზე.

პან სლავიანისტურად განწყობილი რუსის ინტელიგენცია და რუსული პრესა ბალკანეთის ერების უსამართლო დაჩაგვრაზე უთითებდა მუდამ ოსმალეთს, ან მცირე აზიის სომხების შევიწროებას იხვევდა ხელ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზე ანტი-ოსმალური აგიტაციის გასაჩაღებლად. ხოლო ვკითხულობთ, ამოუღია ხმა რუსის ინტელიგენციას ისეთ შემთხვევაში, როცა ვარშავაში ქალაქის გამგეობაში პოლონურ ენის შემოღებას ეწინააღმდეგებოდა ძველი რეჟიმი, ან საქართველოს ცენტრში პოლიგონის მოწყობას აპირებდა? ამ ფაქტზე თავის დროს პარიზელმა "მატენმა" მეტი ილაპარაკა, ვიდრე რუსის მოწინავე თაობამ. 1912-13 წელს აკაკი ჩხენკელმა პირველად ახსენა საქართველოს ავტონომია და ქართული ენა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, ამ ფაქტმა ააღელვა რუსეთის სოციალ-დემოკრატების ორგანო; "რაბოჩი ლისტოკ"-ი და მთელი სერია რუსეთის მუშათა პროფესიებისა მოათავსა ამგვარ "გამოსვლების" წინააღმდეგ.

და ის გურკოვი, რომელიც ერთ დროს ბურების განსათავისუფლებლად მიმავალ მოხალისე რაზმში ჩაეწერა სამხრეთ აფრიკაში ეროვნულ ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად, რუსეთშივე იმავე პოლიტიკური სადიზმის თანამოზიარეა, რომელსაც ძველი რეჟიმის დროს ეგზომ გულახდილად აღიარებდნენ პურიშკევიჩები. ვისაც გულუბრყვილოდ სჯერა, რომ რუსეთის ცენტრალისტური რესპუბლიკა ყოველგვარ ეროვნულ ტკივილებს განკურნავსო, მას ერთი წამითაც არ უნდა დაავიწყდეს რომ რუსეთის დრ. მთავრობა ისეთივე ერთგული დარაჯია ცენტრალისტურ რუსის სახელმწიფოებრივ მთლიანობისა, როგორც ძველი. თუმცა იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღემდის რუსეთის დრ. მთავრობას თითქმის არც ერთი რადიკალური ნაბიჯი არ გადაუდგამს ეროვნულ პრობლემების გადაწყვეტისაკენ, დავრწმუნდებით, რუსეთის პოლიტიკური სიბრძნის მატარებელი დრ. მთავრობა ჯერაც მზად არ არის რუსეთის შინაგან გარდაქმნისათვის.

ალბათ რუსული შინაგანი პოლიტიკის მესვეურთ ეჭვი ებადებათ: რუსეთში მოსახლე არა რუს ერებს რომ ისეთი თავისუფლება მაინც მი-

ვანიჭოთ, როგორითაც ინგლისის ახალშენების მცხოვრებნი სარგებლობდნენ, ვაი თუ ველიკოროსთა კულტურულ-ცივილიზაციურმა უპირატესობამ არ იკმაროს მომავალი რუსეთის სახელმწიფოს შემაკავშირებელ სალტეებად. მაშინ როცა, ინგლისმა მთელი თავისი კონტინენტალური ჯარის რეორგანიზაციაც რომ მოახდინოს ინდოეთში, ამ გზით განსაცდელში არ იქნება ინდოეთის ახალშენი, და ინგლისელ სავაჭრო გემების ფლოტები და ინგლისის ეკონომიური სუვერენიტეტი იკმარებს ინდოეთის შესანარჩუნებლად.

როგორც სინამდვილიდან მჟღავნდება, რუსეთის პოლიტიკის სოციალისტურმა მესვეურებმაც ვერ შეიგნეს ის ხალასი ჭეშმარიტება, რომ დიდ სახელმწიფოებს მხოლოდ დარღვევისა და დაშლის უფსკრულისაკენ მიაქანებს თავის ფარგლებში ისეთ მცირე ერების ძალად მომწყვდევა, რომელთაც საკმაოდ ძლიერ კულტურულ ტრადიციებს გარდა, სრულიად თავისებური ნაციონალური თვითცნობიერება და მკვიდრი ნაციონალური იდეალი მოეძევათ.

ამ ანბანურ ჭეშმარიტებას ვერც მილიუკოვებმა და ვერც კერენსკიმ და წერეთელმა ალღო ვერ აუღეს.

გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს რწმუნებული დოქტორი ლევპიუსი აი რას ამბობს რაიხსტაგზე 1915 წ. 10 ივნისის სხდომაზე: "ჩვენ სინამდვილეზე თვალებს ვერ ავიხვევთ: გერმანიისა და რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებს შორის ბინადრობს მთელი რიგი ისეთი ერებისა, რომელნიც საკმაოდ მაღალ კულტურულ საფეხურზე დგანან და საკმაოდ ფესვმაგარ ნაციონალურ იდეალების მატარებელნი არიან. მათი შესაძლებელი შემოერთება გერმანიის ტერიტორიაში ფრიად საზარალო იქნება გერმანიის მთლიანობისათვის".

ველიკოროსების ინიციატივით აგებული რუსეთის სახელმწიფოს სტრუქტურა მშვენივრად დახასიათა ერთმა გერმანელმა პროფესორმა ერთს მოკლე საგაზეთო წერილში "მოსკოვიტელების" სათაურით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ვეებერთელა ტერიტორიის ცენტრსა და განაპირებს თითქმის არაფერი არ აერთებს ტლანქი, უხეში ძალის მეტი. მოსკოვიტელებმა უბრალო, თავისებური გარეგნული სტილი ვერ ასესხეს ვერც ფინლიანდიას, ვერც პოლონეთს და ვერც უამრავი ტომებით დასახლებულ კავკასიას. როგორც კი ცენტრალურ რუსეთს გასცილდებით, არსად, სადაც კი არარუსნი ბინადრობენ, მდაბიო ხალხში რუსულს ვერ გაიგონებთ. პოლონეთში რუსულ სტილზე და რუსულ კულტურაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ხოლო კავკასიაში მოსკოვიტელებმა ის და მოახერხეს ზარბაზნებისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის შემწეობით აქა-იქ რუსული ჟარგონი შემოიღეს და თვალსაჩინოდაც, ზოგიერთ ქართულ ტაძრებს ხახვის თავისებური გუმბათები წამოადგეს*.

დოქტორ ლეპსიუსის დეკლარაციიდანაც ჩანს, რომ გერმანელებს მთელი გეგმა აქვთ შემუშავებული პან-სლავისტურ პლანების ფრთების შესაკვეცად. მათივე უპირველესი მიზანია, მოსკოვიტელთა სრული იზოლიაცია ბალტიისა და შავი ზღვის ნაპირებიდან.

ლეპსიუსის გეგმისაკენ აშკარად ჩანს: რაკი რუსეთი შინაგან გარდაქმნას და მცირე ერთა ავტონომიებს ვერ ურიგდება, ამგვარად გერმანელებისათვის ხელმისაწვდომია და ხელსაყრელიცაა რუსეთის გარეგანი ფაქტორების შემწეობით გარდაქმნა. ამნაირი პოლიტიკის პირველი ნაყოფია "აღდგენილი პოლონეთი". დასავლეთის ფრონტზე დაწყებულ გამმაგრებულ იერიშებს ახლა კიევი აქვთ ნიშანში ამოღებული. რა თქმა უნდა ამნაირ მისწრაფებას გერმანიისას ჰუმანიური გრძნობები როდი ამოძრავებს.

ამ მოვლენას დიახაც გამოიყენებენ ისეთი ერები, რომელთაც ლამისაა გული აიცრუონ როგორც დრ. მთავრობის გულმოწყალებაზე; ასე

---

* იხ. ჟურნალი "დი ვოხე" 1915 წლის ოქტომბრის ნომერი.

მომავალი დამფუძნებელი კრების ხელგაშლილობაზე. თითქმის ყველა, დღემდის რუსეთში მომხდარი ეროვნული ყრილობების რეზოლუციები ზემოთ ნახსენებ ძირეულ გარდაქმნისაკენ მოუწოდებენ დრ. მთავრობას. აქედან კი ცხადია, პოლონელების გარდა ყველა არარუსი, რუსეთში მოსახლე მცირე ერი მზადაა ფედერაციულ პრინციპზე აგებული სახელმწიფოებრივი თანამშრომლობა იკისროს ველიკოროსებთან ერთად.

სამეგობროდ გამოწვდილი ხელებიც ჯერჯერობით იქეთკენაა მიმართული. ამ შემთხვევაში ყველანი ველიკოროსებში ეძებენ მოკავშირეს, მაგრამ თუ დრ. მთავრობამ დამფუძნებელი კრების მოწვევა გააჭიანურა და არარუს ერებისადმი მიმართულმა პოლიტიკამ გეზი არ იცვალა, ნურავინ გაიოცებს, თუ უფლება აყრილმა ერებმა "ციხის გალავანს" გარეშე მდგომთა მოკავშირეობაც არ ითაკილონ თავიანთი ეროვნული არსებობის უზრუნველსაყოფად.

გაზ. "სახალხო საქმე", 1917 წ. 13 აგვისტო, №25.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი

les hommes de genie sont des meteores destines a bruler, pour eclairer leur siecle

ნაპოლეონ ბონაპარტე სანტ ჰელენაზე.

უპირველესი ჩემი სურვილია, ამ წერილმა თქვენამდის მიაღწიოს.

ამ წერილის დაწერის წინადღით ერთ ქართველ მუშას ე.მ.-ძეს ვესაუბრებოდი; ჩვენ ვიგონებდით იმ დროს, როცა რუსეთიდან და საქართველოდან გადახვეწილი ემიგრანტები თავს ვიყრიდით ჟენევაში რუ კარუჟზე, პაკარის სასადილოში, სადაც თქვენც არა ერთხელ მინახავხართ. ე.მ.-ძეს თავის უბის წიგნაკში ამოაჩნდა თქვენი ძველი ადრესი. მე ამ გარემოებამ გამახსენა, რომ თქვენ თუმცა დღეს თქვენი პოლიტიკური სიტუაციით მთელი დედამიწის ზურგზე სახელგანთქმული კაცი ხართ, მაგრამ მაინც ძველი რევოლუციონერი. მე მინდოდა ეს წერილი თქვენ ძველ ჟენევურ ადრესზე გამომეგზავნა, შვეიცარიაში ახლაც კარგი ფოსტაა და ვიფიქრე ადრესატს მოსძებნიან მეთქი. მე მინდა გელაპარაკოთ და ეს არაა ჩემის მხრით იმ სურვილით გამოწვეული, რომელიც ამოქმედებთ ხოლმე უსახელო ადამიანებს დიდ სახელიანებთან ლაპარაკის დროს. დღეს 7 მაისია - დღე ქართული პოეზიისა და საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების წლის თავი.

ჩემში ლაპარაკობს ქართველი მწერალი, ჩემში ლაპარაკობენ ტკივილები ქართველი ხალხისა.

იდეოლოგიურად თქვენთან საერთო ენის მოძებნაც არ იქნება ძნელი. ადამიანების მოდგმის თანასწორობის პრინციპამდის თქვენ თუ ჰეგელით, პრუდონით და მარქსით მიხვედით, ჩემი გზა იყო გზა ნეტარ ავგუსტინისა, წმ. ფრანჩესკოს მისტიური ქორწილი ქალბატონ სიღარიბესთან, რომელიც ისეთივე ძვირფასი დოკუმენტია ზოგადადამიანურ ეთიკისა, როგორც თქვენთვის კარლ მარქსის კომუნისტური მანიფესტი. პოლიტიკურა-

---

1) გენიოსები ის მეტეორებია, რომელთაც უწერიათ წვა, რათა ანათონ თავიანთი საუკუნე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც არ იქნება ჩვენ შორის დიდი მანძილი, თუ ის მართალია, რომ თქვენ აძაგებთ ზოგიერთ კომუნისტ "რუსოფილებს", რომელნიც კომუნიზმის სახელით დიდი რუსეთის შემოკრებით პოლიტიკას აწარმოებენ.

უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება არასოდეს ისე გამწვავებული არა ყოფილა, როგორც დღეს, თუმცა თქვენი წითელი არმია "განმათავისუფლებლის" ლოზუნგებით მოვიდა ამ წელს საქართველოში.

ასი წლის წინადაც, ალექსანდრე პირველის ჯარებიც განმათავისუფლებლის როლში დაინახა საქართველომ. მაშინ რუსები ქართველობას მოეშველნენ იმ საუკუნოებრივ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებდა მუსულმანურ აღმოსავლეთის წინააღმდეგ.

ამ დროს რუსეთს დიდი კულტურ-ისტორიული მისსია ჰქონდა აღმოსავლეთში ასასრულებელი.

ნახევრად ევროპული, მონარქიული რუსეთი ებრძოდა ტირანულ სპარს-ოსმალეთს.

რუსეთი აწარმოებდა იმ შეტევას მუსულმანურ ქვეყნების წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთის ცივილიზაციის სახელით უანდერძა ბიზანტიამ ჰაბსბურგების ავსტრიას და რომანოვების რუსეთს.

ქართული და რუსული პოლიტიკა ამ პუნქტში ერთი-მეორეს შეხვდნენ. დღეს ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ირაკლი მეორისა და გარსევან ჭავჭავაძის პოლიტიკა ერთად ერთი შესაძლებელი პოლიტიკა ყოფილა იმ დროს. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის რუსოფილებს თვალი მოსჭრა რუსული დიდი პოლიტიკის მიერ ქრისტიანულ პატარა ერების ოსმალეთ-სპარსეთის ტირანიიდან განთავისუფლების იდეამ.

1783 წლის ტრაქტატი გულისხმობდა რომ საქართველო რუსეთის დიდი პოლიტიკის ორბიტში მოექცეოდა... მაგრამ საქმე ორბიტში შესვლით არ გათავებულა,..ასი წელიწადი დიდი რუსეთის პოლიტიკამ იმდენი ბოროტება დათესა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობით, რომ თვით ისეთ დიდ ქართველ კოსმოპოლიტს, რომელიც თავის მოღვაწეობის ოცდაათი წლის

განმავლობაში ეროვნულ ფაქტორს უარყოფდა,თავისი მოხუცების სიბინძე დაარღვევინა და ამ მოხუცმა,ნებსით თუ უნებლიედ მთელი ქვეყნის წინაშე აღიარა რომ საქართველოს ერთად ერთი და შესაძლებელი ორიენტაცია ეს ევროპის ორიენტაციაათ.

ეს იყო ნოე ჟორდანია,რომელიც როგორც პოლიტიკური ფიგურა სრული ანტიპოდია მეორე დიდი ქართველი პოლიტიკოსისა,ირაკლი მეორისა.

ფეოდალურმა საქართველომ ირაკლი II-ის პირით აღიარა რუსული ორიენტაციის საჭიროება და აუცილებლობა.ასი წლის შემდეგ თქვენმა ყოფილმა პარტიულმა კოლეგამ და ჭაღარა რევოლუციონერმა ნოე ჟორდანიამ საქვეყნოდ აღიარა დემოკრატიის სახელით,რომ რუსული ორიენტაცია ჩვენთვის მიუღებელიაო.ნოე ჟორდანია,როგორც ისტორიული პიროვნება,რუსული ყალიბის საზოგადო მოღვაწე იყო,რამდენადაც როგორც მენშევიზმი,ისე ბოლშევიზმი რუსული იდეოლოგიის პროდუქტებია.ჟორდანიას ინტელექტუალური ჰაბიტუსიც რუსული იდეოლოგია იყო პარ ექსელანს.მაგრამ ასი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოში დათესილმა ბოროტებამ,ქართული სახელმწიფო აპარატის განადგურებამ, ქართული ენის სისტემატურმა დევნამ აიძულა საქართველო რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გამოერიცხა თავი.

ძველი რუსეთი არ იზიარებდა რუსეთის მცირე ერებთან თანასწორუფლებიან თანამშრომლობისა და თანაზიარობის პრინციპს.ამ კაცი-ჭამიურ პოლიტიკის მთავარ ღერძს შეიცავდა:ველიკორუსულ კულტურის ფერადს ჩაენთქა ყველა არა რუსული ნიუანსები.

რუსეთის მცირე ერების როგორც ეთნიური,ისე კულტურული ფერადები უნდა გამქრალიყო გრაფ ბობრინსკების და პურიშკევიჩების "სრულიად სლავიანთა მომავალ მსოფლიო სახელმწიფოს" ბრწყინვალების წინაშე.ეს პოლიტიკა უტიფრად და მოურიდებლად აგებდა რუსული სტილის ტაძრებს,

აშენებდა რუსულ შკოლებს აგზავნიდა ასი ათას მოშხამულ რუსიფიკატორებს "განაპირებში" რათა არა სლავიანური შტრიხებიც წაეშალა გეოგრაფიულ ქარტიიდან. ერთის შეხედვით ეს მესამე რომის იმპერია უძლიერესი იმპერია იყო ყველა იმპერიათა შორის, რომელიც ქვეყანას ახსოვს, მაგრამ იგი დაილეწა როგორც თიხის კერპი. და მიზეზი ის იყო, რომ რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გამოითიშენ პოლონეთი, უკრაინა, ფინლანდია, საქართველო და ყველა არა სლავიანური ერთეულები.

რადგანაც თავის ნებით არავის სურდა უზადურ რუსეთთან თანამშრომლობა. თუ ასი წლის წინათ რუსეთმა ოსმალეთისა და სპარსეთის ძალადობისაგან გაგვათავისუფლა, დღეს ამავე რუსეთის ფერად შეეცადიბა მხედრობამ კონტრ-რევოლუციონერებისაგან "გაათავისუფლა" ქართველი ხალხი.

ამ ლოზუნგით ისარგებლეს ტფილისში შემოხიზნულმა რუსის კონტრრევოლუციონერებმა და დაშნაკელებმა და ქართველი ხალხი კონტრრევოლუციონერად გამოაცხადეს.

თქვენ უკეთ იცით რომ ქართველი ხალხის კონტრრევოლუციონერად გამოცხადება ეს შეუძლებელი კონტრადიქციო ინ ადიექტო იქნება.

საქართველოს ახალგაზრდობამ თავისი საუკეთესო სისხლი გაიღო რუსის მონარქიის დასაძლევად. ამავე ახალგაზრდობამ შეიტანა პირველად რევოლუციური ცეცხლი სპარსეთში.

ბოლოს ვინ უარყოფს იმ ბრძოლის შედეგსა და მნიშვნელობას, რომელიც აწარმოვა ქართულმა სახელმწიფომ-თქვენი გუშინდელი წლების, რუსეთის შავი ძალების წინააღმდეგ? ძველმა რუსეთმა 1783 წლის კონტრაქტის დარღვევით კიდევ რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხელუხლებლად დასტოვა ზოგიერთი ატრიბუტები ქართული სახელმწიფოებრიობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტები სახელმწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები, რკინის გზა, და ვინ არ იცის რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკული სახელმწიფო ენა აღარ არის.

დღეს ჩვენი კავკასიელი მტერ-მოყვარენი კომუნისტურ ნიღაბს ქვეშ საქვეყნოდ ღაღადებენ ტფილისში, ჩვენი დედა ქალაქის ამიერკავკასიის რეზიდენციად და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამიერკავკასიის უნივერსიტეტად გამოცხადების საჭიროებას. ასი წლის წინად რუსეთის დიდმა პოლიტიკამ ქართველი ერი გამოიყენა მოკავშირედ თავის აღმოსავლეთის პოლიტიკის ურთულესი მიზნების მისაღწევად, მაგრამ იმდენი პოლიტიკური ტაქტი ვერ გამოიჩინა, რომ თავისი ბუნებრივი მოკავშირე მტრად არ გადაეკიდებინა.

დღევანდელი რუსეთი უფრო დიდი მასშტაბით აწარმოებს მსოფლიო პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანთა რკალში საქართველოსაც აკისრებენ საკმაოდ რთულ მოვალეობას. საქართველო და ტფილისი უნდათ იმ ოპერაციების ბაზად გახადონ, რომელსაც აღმოსავლეთის გაკომუნისტების პოლიტიკა მოითხოვს.

ვინ არ იცის რომ საქართველოში დღეს უფრო მეტი კომუნისტია, ვიდრე ტფილისური კომპარტიის რეგისტრაციაში ირიცხებიან, მაგრამ ისინი, როგორც ქართველი პატრიოტები ვერ ითანამშრომლებენ წითელ რუსეთთან, ვიდრე საქართველოს სუვერენობა მხოლოდ დეკლარაციებში იქნება აღნუსხული.

შარშან ბერლინელ ტაგებლატში ერთმა გერმანელმა მწერალმა პატარა ისტორიული ანალოგია გამოაქვეყნა: "ლენინი და პეტრე დიდი". მე წინააღმდეგი ვარ ასეთი დაპირისპირებისა.

მე მგონია, რომ თქვენ თქვენზე დაკისრებულ ისტორიულ მისსიას დაასრულებთ, ისტორიის ლოგიკა მოითხოვს თქვენს დაპირისპირებას ნაპოლეონ ბონაპარტესთან.

თქვენ ამბობთ: კომუნიზმს საზღვრები არ უნდა ექნესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოლეონი: საფრანგეთის იმპერიას იქ. უნდა ექნეს საზღვრები, სადაც მზე ამოდის და ჩადის.

ორივე აბსოლუტური გენიები ხართ ორი დიდი რევოლუციისა.

ნაპოლეონის მსოფლიო ისტორიული ამოცანა ორი მთავარი მხრით ამოიწურება:

ინგლისის მსოფლიო ბატონობის დამხობა და ევროპის ერთ დიდ კონფედერაციის მსოფლიოს შექმნა. უკანასკნელ შემთხვევაში ნაპოლეონი უარყოფდა ეთნიკურ შტრიხებს და ნიუანსებს. გენერალ ბონაპარტეს უნდა ევროპის რადიკალიზაცია. ხოლო თქვენ-როგორც აზიის ისე ევროპის.

თქვენ გაწილებით რადიკალური ხართ, თქმა არ უნდა. ამ მიზნებში უახლოვდებით თქვენ კორსიკელ ბონაპარტეს, მაგრამ მიზნების პარალელიზმი სრულიადაც არ გავალებთ, ორივე ერთი და იმავე ფატალური მედროშის მსხვერპლი გახდით.

ნუთუ დღეს ყველასთვის ცხადი არ გახდა, რომ ნაციონალური ნიუანსების და შტრიხების წაშლა არი აღარ შეიძლება?

მე მესმის რომ ეს ვერ შეიგნეს კლემანსომ, უილსონმა, ლოიდ ჯორჯმა, მიტომაც ვერსალის ზავში ისე გადაიხლართა ნაციონალური პრობლემები, რომ კიდევ რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში სისხლის ღვრა დასჭირდებათ ევროპელ ერებს, ვიდრე ნამდვილი ზავი ჩამოვარდება ქვეყანაზე. ვერსალის ზავის ავტორებმა ანგარიში არ გაუწიეს ამ ნაციონალურ "შტრიხებს და ნიუანსებს", გადაუწყვეტელი დარჩა ირლანდიის, შოტლანდიის, ელზასის, ინდოეთის, არაბეთის წინა აზიის ერების ბედი.

ამიტომაც მეოცე საუკუნეში, ირლანდიაში, საჭირო გახდა მაკსვინეის სამაგალითო პოლიტიკური მარტვილობა.

რამდენადაც რუსეთის კომუნიზმი ანტანტის მოპირდაპირე პოლი-ტიკური იდეოლოგიაა,მემარცხენე რუსეთმა მაინც უნდა დაინახოს,რომ ამ ნაციონალური "შტრიხების და ნიუანსების" მიფუჩეჩება მეოცე საუ-კუნეში აღარ შეიძლება.ამის მსხვერპლი გახდა ნაპოლეონი,იგივე შეც-დომები გაიმეორეს ვერსალში.

ნაპოლეონი ჩემთვის ყველაზე უფრო ტრაგიკული პიროვნებაა მსოფ-ლიო ისტორიის გმირთა გალერეაში.

ახლა ხელმეორედ ვკითხულობ მის დღიურს,სანტ ჰელენაზე დაწე-რილს.

მან სანტ ჰელენაზე შეიგნო ალბად თავისი შეცდომები.

სად იყო მერე მისი შეცდომების ცენტრალური პუნქტი?

მთელი დასავლეთ ევროპის განვითარება გერმანიის ნაციის წმინ-და რომის იმპერიის დამხობიდან,ხასიათდებოდა ნაციონალური სახელ-მწიფოსთვის ბრძოლით.ამ ბრძოლამ დაფლითა გერმანიის ნაციის რო-მის იმპერია.

ნაციონალური სახელმწიფოს იდეის მსხვერპლი გახდა ჰაბსბურ-გების მსოფლიო იმპერია,ეს ვერ დაინახა ნაპოლეონმა,იგი ისე გაიტაცა ალბიონის ძეთა წინააღმდეგ ატეხილმა ბრძოლამ,რომ მან მთელი ევროპის კონცენტრაცია მოინდომა ფრანგული ტრიკოლორის და პარიზის გარშემო.

ნაპოლეონის ომებში გადაუჭრელი პრობლემებისთვის გაგრძელდა ბრძოლა უკანასკნელ მსოფლიო ომში.ვერც ვერსალის უზენაესმა საბჭომ შეიგნო ეს საყურადღებო მომენტი მსოფლიო ისტორიის პრობლემათა ფოკუსში.

თუ გენიალური ადამიანები მეტეორებია,რომელნიც გზას უნათე-ბენ საუკუნეს,ყველამ გაიგოს საუკუნის დემონის კარნახი.

ყველამ წაიკითხოს ნაპოლეონის სანტ ჰელენას მარტვილობის დროს დაწერილი სტრიქონები:"მომავალი თაობანი განგვიკითხავენ ჩვენ".

საქართველოში ორიოდე თაობა შეიწირა ძველი რუსეთის ტლანქი ხელით შელახული ეროვნული პიროვნების რესტავრაციის იდეამ და ნაციონალურ სახელმწიფოსათვის ბრძოლამ. ვერავინ უარყოფს რომ დღეს თბილისში ძველი შეცდომების განმეორებას ლამობენ, თქვენის ტერმინოლოგიით "რუსული შაბლონის" განმეორებას! თუ მემარცხენე რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველო რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორბიტში მოექცეს, იგი ამ გზით მიზანს ვერ მიაღწევს.

მე პირადად, როგორც ქართველ პატრიოტს, სრულიად არ მაშინებს ყველაფერი ის, რაც დღეს თბილისში ხდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტიად არასოდეს არ ჩამითვლია ის იმპრესიონისტულად შეთხზული ნოტები, რომელიც დემოკრატიული მთავრობის დროს პარიზიდან და ლონდონიდან მოდიოდნენ თბილისში, საქართველოს "ფაქტიურ" და "დე იურე" ცნობის ჟამს. არც ის პათეტიური სიტყვები, რომლითაც ანტანტის დიპლომატები გვიმასპინძლდებოდნენ თბილისურ ბანკეტებზე.

ერთად ერთი გარანტია ჩვენი დამოუკიდებლობისა ეს იყო, არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნებაში, რადგან ყოველივე განთავისუფლების დედაბოძი თვით თავისუფლების შეგნებაა. ეს შეგნება კი არ აკლია ქართველ ხალხს. უთხარით და მოსწერეთ იმ პოლიტიკოსებს, რომელნიც თბილისში ცუდ მეგობრობას უწევენ კომუნისტურ რუსეთს.

ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას.

მერწმუნეთ: ეგებ საქართველოს ისეთი პოლიტიკური და კულტურული განვითარების სიმაღლეზე არ მიეღწიოს ჯერ, როგორც ირლან-

დიჩს, მაგრამ კეზმენტები X) და მაკ სვინეები საქართველოს არასოდეს არ გამოელევა ვიდრე სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნება მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ტფილისი

1921 წ. მაისის 7 ს.

---

X) კეზმენტი, ირლანდიელი პატრიოტი, რომელიც 1917 წ. გერმანიის წყალქვეშა ნავით შევიდა ომის დროს ირლანდიაში და აჯანყება მოაწყო. იგი სიკვდილით დასაჯეს ინგლისელებმა. ხოლო მაკ სვინეი ირლანდიის ქალაქ კორკის ლორდ მერი, რომელმაც 1920 წ. შიმშილით მოიკლა თავი საპყრობილეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასუხი

„არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების" გრ.ხანძთელი.გ.43.

„პრავდა გრუზიის" მე-59 ნომერში ჩემ „ღია წერილს ულიანოვ-ლენინისადმი" ვინმე ს.პ.გამოეკამათა. მე ამ წერილის ავტორს პასუხს არ გავცემდი; უპირატეს ყოვლისა იმიტომ, რომ ლიტერატურულ დუელში ვერ გავყვები ისეთ კაცს, რომელსაც თავის ნაწერის ხელის მოწერა არა სურს, ან არ შეუძლია.

შემდეგ ყოვლად შეუწყნარებელი ტონი პოლემისტის მიერ აღებული ჩემთვის სრულიად უჩვევი და მიუღებელია. ბოლოს ვისაც უნდა ტფილისში, ჩვენს სამშობლოში აზრთა ურთიერთობა გააჩაღოს, ამისათვის არსებობს ქართული ენა, თუ იგი ქართველია, ტფილისში გამოდის ქართული ორგანო „კომუნისტი", თუ ის უცხოელი კომუნისტია და ჩემი ან საერთოდ ქართველების „მორჩილება" უნდა, კეთილ ინებოს და ქართული ისწავლოს. თუ მას კომუნისტური იდეების გავრცელების მეტი არაფერი აინტერესებს, აკი სწავლობდნენ ქართულს ის სირიელი მამები, რომელნიც საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად მოდიოდნენ. მაგრამ ყველა მოსაზრებები უკან იხევენ იმ აზრის წინაშე, რომ ეს ინიციალებით მოწერილი წერილი დასტამბულია საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ ორგანოში. რამდენადაც ეს პარტია ქართულ სინამდვილეში განსაზღვრულ პოლიტიკურ მესაჭის როლშია დღეს, მე არ შემიძლია ანგარიში არ გავუწიო ჩემი მოკამათის ნაწერს.

ჩემი წერილი ლენინისადმი ბევრმა ისე გაიგო, თითქოს მე მდომოდა შველა მეთხოვა ლენინისათვის ქართველი ხალხის მაგივრად, არა, მე საერთოდ იმ აზრისა ვარ, რომ ქართველი ხალხის ხსნა თვით ქართველი ხალხის მაჯასა და მკლავშია. ეს იყო ერთგვარი ლიტერატურული სიუჟეტი ჩემი წერილისა, მისი ლიტერატურული ფორმა. ლენინს როგორც მოაზროვნეს მე ვიცნობ; მე მასში ვხედავ გულწრფელ რევოლუციონერს და

სოციალურ-ექსპერიმენტატორს,როგორც ყოველი იდეის მქადაგებელი კო-ლექტივი,კომუნისტებიც ჩემის აზრით ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: ერთნი თავდადებული,გულწრფელად გატაცებული,დარწმუნებული და ერთ-გული გუშაგები თავიანთი დიდი საქმისა-ხოლო მათ გარშემო თავს იყრი-ან-მეორენი,ფეხის ხმას აყოლილნი,ნაირნაირ ფერადებით რომ იღებავენ შუბლსა და სინდისს და ამათუიმ იდეის ხარჯზე სულ სხვა საქმეებს აკეთებენ.სწორედ ლენინთან გამობაასება იყო ჩემთვის გულწრფელი ადა-მიანებისათვის პირდაპირი და გულწრფელი სიტყვის თქმა რადგან ამ შემ-თხვევაში ლენინი იყო ჩემთვის კომუნისტური იდეოლოგიის საღი ელემენ-ტის პერსონიფიკაცია.

ჩემს მოკამათეს როგორც სჩანს უსარგებლნია ჩემი წერილის "გრუკა ეროსტას" ბიულეტენის საკმაოდ არა პრეციზული თარგმანით,რომელიც შემთხვევით მე ჩამივარდა ხელში.

ს.პ.ფიქრობს რომ ლენინის შედარება ბონაპარტესთან ჩემის მხრით სრულიად უსაფუძვლოა,მაგრამ ამ დებულებას იგი სავსებით ვერ ასაბუ-თებს;სჩანს მას ნათელი წარმოდგენა არა აქვს ბონაპარტეს ისტორიულ მნიშვნელობაზე.დილეტანტური ჟურნალიზმი იკვებება იმ ტენდენციური ის-ტორიული ცნობებით,რომელიც ყველას ჩვენ გაგვიგონია საშუალო სკოლაში, ტენდენციურად შედგენილ სასკოლო ისტორიებიდან.

ბონაპარტეს ისტორიული მნიშვნელობა ისტორიულ მეცნიერებაში მხოლოდ უკანასკნელ მსოფლიო ომის შემდეგ შეიგნეს სავსებით თვით დიდ-მა ბონაპარტეს მკვლევარებმა,ფელეტონისტებს და ხელმჩატე დილეტან-ტებს ჰგონიათ,რომ ბონაპარტე თავზე ხელაღებული ავანტიურისტი იყო, რომელსაც მარტო სისხლი სწყუროდა.ნამდვილად კი ბონაპარტე უდიდესი რევოლუციონერი იყო ახალი საუკუნოებისა.მან რევოლუცია მოახდინა პო-ლიტიკაში,უფლების შექნებაში,სახელმწიფოში და აზროვნებაში.ბონაპარ-ტეს ისეთივე დიდი ღვაწლი მიუძღვის არა მარტო საფრანგეთის,არამედ მთელი ევროპის ინტელექტუალურ რადიკალიზაციის საქმეში,მე ვიტყოდი ისეთივე როგორც ლენინს-რუსეთში.რუსეთში 1918 წლამდის პიროვნებას ემანსიპაციაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.რუსეთის ხალხს ისეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრინციპული თავისუფლების ნორმებიც არ მოეპოვებოდა, როგორიც ინგლისისას დიდი ხარისხის გამოქვეყნებამდის. მე ვლაპარაკე ლენინის წითელ არმიელებს საქართველოში წლეულს და დავრწმუნდი რომ თუ დღეს ყველი რუსის ჯარისკაცი ფიქრობს რომ ისიც ადამიანია, რომელსაც ყველამ "ამხანაგი" უნდა დაუძახოს, ეს ლენინის და კომუნიზმის მუშაობის ნაყოფია. ამას ვერავინ უარყოფს.

1920 წლის ბერლინში, რუს-პოლონელთა ომის დროს, მე წინადადება მომცა გერმანულ გაზეთის "დოიჩე რუნდშაუს" რედაქტორმა, როგორც ქართველ მწერალს და რუსეთის საქმეების მცოდნეს, ჩემის აზრი გამომეთქვა იმ ინტერვენციის შესახებ, რომელიც ევროპაში მზადდებოდა მაშინ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

„პრავდა გრუზიის" ფელეტონისტს გონია, რომ მე ხშირად ბევრ ნეს ვერ ვამბობ და ის სწერს იმას, რისი თქმაც მინდოდა. 1920 წ. ხომ არავინ მაძალებდა, ან არავის მეკრძალებოდა, როცა "დოიჩე რუნდშაუს" სექტემბრის 14-ს ნომერში ვწერდი: "რამდენადაც ბოლშევიზმი განსაზღვრული იდეების მატარებელია, სიგიჟე მის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა". რადგანაც იდეების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა დონკიხოტობაა" მეთქი. ვარწმუნებ ს.პ. რომ არც ახლა ვწერ ამას იმისათვის, რომ გადამთიელებს ვასიამოვნო, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ ჯერ კიდევ 8 წლის ბავშვს მასწავლიდა რუსთაველი: "ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა მეიქმს ხმელსა ნედლად".

ჩემი წერილი რომ ჩემს მოკამათეს ბოლომდის წაეკითხა, იგი არ დასწერდა რომ "ცენტრალური ადგილი მისი წერილისა, ეს ლენინ-ბონაპარტის ანალოგიებიაო". მე ვხედავ, რომ ჩემს მოკამათეს ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა ქონია ბონაპარტეზე და ბონაპარტიზმზე. ეს განყენებული საკითხია და ამისი გაგება გულისხმობს ერთგვარ ისტორიულ გაწვრთნას, რომელიც ყოველ გაზეთის ფელეტონისტს არც კი მოეთხოვება. უნდა მოვახსენო ჩემს მოკამათეს, რომ ჩემი წერილის და აგრეთვე ჩემი ფიქრისა და აზროვნებისათვის ცენტრალური პრობლემა საქართველო-რუსეთის ღ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკიდებულებანი გახლავთ, მოკლედ, საქართველოს დღევანდელი ვითარება. ჩემი წერილის ცენტრალური პრობლემაც ეს გახლავთ.

როცა მე წითელი არმიის და საერთოდ რუსეთის ჯარების განმათავისუფლებელ როლზე ვლაპარაკობდი, მე განზრახ მოვერიდე რეალურ ისტორიულ ანალიზებს, რადგანაც წერილი ლენინისადმი იყო მიმართული და ერთგვარი ლიტერატურული ეტიკეტი, რომელიც ჩემს მოკამათეს სავსებით არ აღმოაჩნდა, უსათუოდ მოითხოვდა ჩემგან თავის შეკავებას. მაგალითად მე ვიცი ლენინის ნაწერებიდან, რომ მან ისტორია ისე კარგად იცის, როგორც სოციოლოგია და შესაბამისად მე ზედმეტად ჩავთვალე მომეყვანა მისთვის მაგალითები ან გამეხსენებია. მისთვის, რომ ყოველი დაპყრობა ისტორიის მანძილზე მუდამ განმათავისუფლებლის როლში მოუხდენია დამპყრობელს. პეტრე დიდიდან დაწყებული. ალექსანდრე მეფემდის რუსის იმპერატორები განმათავისუფლებლის როლში აგზავნიდნენ თავიანთ ჯარებს ბალკანეთის ნახევარ კუნძულის პატარა ერების დასაპყრობად. ნაპოლეონიც ანთავისუფლებდა ხან იტალიას, ხან გერმანიის სამთავროებს, ხან პოლონეთს და ხან ეგვიპტეს. ასევე ალექსანდრე მაკედონელი.

არ ვიცი, ჩემი მოკამათე იცნობს თუ არა საქართველოს ისტორიას, ის კი ვიცი, რომ როცა გიორგი სააკაძე სპარსეთის ჯარით შემოვიდა საქართველოში, შაჰ აბასმა პროკლამაციებით ამცნო ქართველ ხალხს "საქართველოს ხალხს მეფისგან ვანთავისუფლებთო". ისტორიულად გაწვრთნილი თვალი ყოველთვის შეამჩნევს რომ ყოველი დამპყრობელი ერი ერთგვარ იდეოლოგიურ შირმას წაუმძღვარებს თავის სამხედრო ოპერაციებს.

ასეთ იდეოლოგიურ შირმად ხმარობდნენ სპარსელები შიიტიზმს მე-16, მე-17 და მე-18 საუკუნეებში, ოსმალების პოლიტიკური პრიორიტეტის დასამხობად წინა აზიაში. ასეთივე იდეოლოგიური შირმა იყო რევოლუციონური იდეები ბონაპარტეს მსოფლიო პოლიტიკისათვის. გადავიდეთ დღევანდელ ქართულ სინამდვილეზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ვწერდი, რომ წითელმა რუსეთმა სულ ორიოდე თვის განმავლობაში მოსპო სამი უმთავრესი ატრიბუტი საქართველოს სახელმწიფოსი: დამოუკიდებელი რკინის გზა, და საზღვრები და იქვე დავსძინე, რომ ვინ არ იცის რომ ქართული ენა დღეს საქართველოში პრაქტიკულად სახელმწიფო ენა აღარ არის მეთქი.

საზღვრები ს.პ.-ს ბურჟუაზიულ ჩარჩოებად მიაჩნია, რომელიც დაც "მხოლოდ გამსახურდია იცნობს", მე კი მგონია, რომ ქვეყანაზე ყველაფერს საზღვარი აქვს, მხოლოდ მსოფლიოს და ცის კარსს არა აქვს საზღვარი, ხოლო უსაზღვრო სახელმწიფო მასზე თუ მოიძებნება. ერთი კითხვა ჩემს მოკამათეს: თუ საზღვრები ბურჟუაზიული კომფორტია, რატომ აქვს კომუნისტურ რუსეთს საზღვრები? თვით მემარცხენე რუსეთიც არ დასთანხმდება, რომ მისი კარი და ბჭე გაღონ, ყველა შემოუშვან და გაუშვან და ყველამ გაიტანოს ის, ვინც რის გატანას მოახერხებს. რაც შეეხება საქართველოს საზღვრებს დამოუკიდებელ აფხაზეთთან და ასე წარმოიდგინეთ დამოუკიდებელ აჭარასთან, რომელსაც გვპირდება კიდეც ს.პ., ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საზღვრების გავლას ბევრს ეცადნენ ნიკოლოზ პირველის რუსიფიკატორები, ხან ანბანები მოუგონეს აფხაზებს, ხან ჩერნომორის გუბერნიებს მიაწერეს სოხუმის ოლქი, მაგრამ აფხაზები, 2,000 წელზე მეტს ეწეოდნენ ჩვენთან საერთო ისტორიულ ჭაპანს და არ ჩამოგვცილდებიან და ვერც ჩამოგვცილდებიან, თუმცა საგანს რომ არსებითად შევეხოთ, აფხაზეთში დიდი უმრავლესობა ქართველობაა და მე მიკვირს, რომ თქვენ ასე ერთის დაკვრით გინდათ ამ ქართველობის ბედი გადასწყვიტოთ; რაც შეეხება აჭარას, ვერც აქ გაავლებს ვინმე საზღვრებს. ეს ინგლისელ იმპერიალისტებმაც სცადეს, ეს სცადეს ოსმალებმაც, მაგრამ დღეს იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ მუდამ გადავლახავთ ისეთ ხელოვნურ საზღვრებს, რომლის გადაღმა ჩვენი სისხლისა და ხორცის თანაზიარნი გვეგულებიან.

ახლა დამოუკიდებელი რკინის გზის მმართველობა საბჭოთა საქართველოსი... თურმე ნუ იტყვით, ერთის ეკონომია მოითხოვს, რომ საქართვე-

ლოს რკინის გზის მმართველობა მოსკოვისას დაუქვემდებარონ. ძველი რუსეთის რკინის გზის რევიზორებიც ასე მსჯელობდნენ: რა საჭიროა საქართველოსთვის საკუთარი რკინის გზის მმართველობა? ეს საქმის გართულებაა. არა სჯობია პეტროგრადში დაიწერონ ბათომ-ტფილისის მატარებლების მიმოსვლის ცხრილი? ისინიც საზღვრებზე გადაჯდომ-გადმოჯდომის "ვოლოკიტას" ერიდებოდნენ. მე მგონია, ევროპიელებს ჩვენ ვერ ვასწავლით დროის ეკონომიას, დროის ეკონომია რომ ერთადერთი გადამწყვეტი მომენტი იყოს ამ საკითხში, შვეიცარიელები თავიანთ რკინისგზას უშუალოდ შეუერთებდნენ ბერლინს ან პარიზს, რადგანაც ბერლინიდან პარიზს მიმავალი მგზავრი ორჯერ უნდა გადაჯდეს შვეიცარიის საზღვრებზე, თუ იგი ინტერნაციონალურ "ვაგონ ლით" არ მგზავრობს, ყველას ხომ არ შეუძლია "ვაგონ ლით" იმგზავროს?

შემდეგ ს.პ. ამტკიცებს, რომ საქართველოს რკინის გზებზე ქართულად ხდება საქმის წარმოება. მე მის წერილის წაკითხვის უმალ განზრახ ფეხით წავედი რკინისგზის სამმართველოში რომ გამეგო მართალია თუ არა ს.პ. წერილში მოთხრობილი ახალი ამბავი? მაგრამ სამწუხაროდ კიდევ დავრწმუნდი, რომ დღესაც რუსული ენა ბატონობს ჩვენს რკინის გზაზე ისე, როგორც 7 მაისს, როცა ჩემს წერილს ვწერდი.

საგულისხმოა, რომ ჩემმა მოკამათემ ხმა არ ამოიღო იმ გარემოებაზე, სადაც მე აღვნიშნავდი ლენინისადმი მიმართულ ღია ბარათში: ქართული ენა დღეს საქართველოში სახელმწიფო ენა აღარ არის მეთქი. მიბრძანდით სსს რესპუბლიკის უმაღლეს სამეურნეო საბჭოში და სხვა მრავალ ტფილისურ სახელმწიფო დაწესებულებაში და თქვენ დარწმუნდებით, რომ მე "შოვინიზმი" კი არ მალაპარაკებს, არც რაიმე განუკურნელი "ნაციონალური ავადმყოფობა", არამედ "თქმა მართლისა სამართლისა".

ს.პ. სწერს: "გამსახურდიას რომ ჩვენი რეზოლუციები წაეკითხა კოლონიალურ და ნაციონალურ საკითხებზე იგი წითელ არმიას არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადარებდა ალექსანდრე პირველის ჯარებს,ხოლო კომუნიზმს,ბონაპარტიზმსო". მე ჩემს წერილში არ უარვყოფდი,რომ მოსკოვში ნამდვილი და გულწრფელი რევოლუციონერები მოიპოვებიან და ამ ხალხს კარგი და გულწრფელი რეზოლუციები გამოაქვთ თავიანთ კრებებზე,მაგრამ ამ რეზოლუციებს თავისებურ კომენტარებს უკეთებენ ტფილისში ისეთი პირები, რომელთაც კომუნიზმის სახელით რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ტრადიციების გაგრძელება სწადიათ მეთქი. ბოლოს რა ბედენაა მარტო რეზოლუცია,თუ მას უკუღმა გაიგებენ,ან სავსებით სისრულეში არ მოიყვანენ ისეთი პირები,რომელნიც პოლიტიკას პრაქტიკულად ახორციელებენ. დაგვრჩა საკითხი ნოე ჟორდანიას პიროვნების შეფასებისა. ამ ადგილას მე უნდა ხაზგასმით აღვნიშნო ის გარემოება,რომ მე გაზეთ "სოც.ფედერალისტში" ვწერდი და ვწერ,არა როგორც რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი,არამედ როგორც ქართველი მწერალი; და მე როცა სოც.ფედ. პარტიაში ვირიცხებოდი,10 წლის განმავლობაში იდეურად ვებრძოდი ქართველ მენშევიკებს,ხოლო როცა საქართველოს დამოუკიდებლობა განხორციელდა,მე პარტიიდან გამოვედი,რადგანაც მინდოდა პოლიტიკურ ბრძოლას გავცლოდი იმ დღიდან,რაც საქართველო განთავისუფლდა და პარტიათა შორის ბრძოლაში კი,როგორც მწერალი არ მინდოდა რომ გავერეულიყავი. დღეს ჩემი ერთად ერთი წადილია შენარიგებელი ტონი შევიტანო იმ პოლიტიკურ ბრძოლაში,რომელიც დღეს ქართველ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებობს,რადგანაც ჩემი აზრით ეს დიდი უბედურებაა ქართველი ხალხისათვის,რომ ჩვენი ერის წიაღში, ჩვენი დემოკრატიის სამსახურით დაინტერესებული ორი ქართული პარტია ასე ექსტრემისტურად და მტრულად განწყობილნი არიან ერთი მეორის მიმართ.

პირადად მე მგონია,რომ მწერალი არც ერთი მთავრობის,არც ერთი პოლიტიკური პარტიის "მოჯამაგირე" არ უნდა იყოს,რადგანაც მწერალი მხოლოდ თავისუფალი სულის და სიტყვის "მოჯამაგირე" ყოფილა მუდამ. იგი აწმყოში და მომავალშიაც ასე უნდა დარჩეს,რადგანაც მისი ხელის საქმეა ერისა და კულტურის სამსახური და არა რომელიმე

პარტიისა,ან რომელიმე მთავრობის.იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავრობები,ხოლო ერი უკვდავია,ვითარცა მარადიულ ღირებულებათა შემქმნელი და მატარებელი სუბსტანცი.

ჩემს მიერ ნოე ჟორდანიას პიროვნების შეფასებას არავითარი ტენდენცია თან არ ახლდა და არც შეიძლება ასეთი მოსაზრება მე მიხელმძღვანელებდეს,რადგანაც იდეოლოგიურად მე სრულიად არ უახლოვდები მის მსოფლიოს გაგებას.მე ვცდილობდი და ვცდილობ შევხედო მას ისტორიული პერსპექტივის სიშორიდან.

მე არ ვიცი რამდენად მოწოდებული ხართ თქვენ მისი პიროვნების შეფასებისათვის.ის კი ვიცი,რომ ნოე ჟორდანია რომ თქვენსავით „კონტრრევოლუციონერი" ჰგონებოდა ულიანოვ-ლენინს,ის არც გამოუგზავნიდა თავის კომუნისტ ქართველ ამხანაგებს იმ ისტორიულ და კეთილშობილად დაწერილ დეპეშას,სადაც იგი მოითხოვდა ნოე ჟორდანიასთან შეთანხმებას,მოლაპარაკებას.როცა ვრანგელი ყირიმიდან გაძევეს წითელარმიელებმა,ლენინს არც ერთი დეპეშა არ გამოუგზავნია ვრანგელისათვის, არც უთხოვნია მისთვის შესდექი,მოვილაპარაკოთო.

დაგვრჩა კიდევ ორი დებულება,რომელზედაც ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ ს.პ.-ეს.

ჩემი მოკამათე მასმენს ქართველ კომუნისტებთან.იგი პირდაპირ მეკითხება:მაშ ქართველი კომუნისტები,რომელნიც წითელ რუსეთთან თანამშრომლობენ კარგი ქართველები არ ყოფილანო?

ქართველ კომუნისტებს დღეს დიდი და რთული მოვალეობანი უდევთ წინ.მათ კონსეკვენტურად უნდა გაატარონ დაწესებულებათა ნაციონალიზაცია ს.ს.საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში,უნდა შექმნან ქართული ეროვნული წითელი არმია,უნდა გაატარონ აგრარული რეფორმები ისე,როგორც ეს ქართულ სინამდვილეს შეეფერება.დღემდის ამ პარტიას ვიცნობდით ჩვენ როგორც ნახევრად ლეგალურ პარტიას,მე როგორც მორიდან მაყურებელს,არ შემიძლია გავითვალისწინო მთელი მათი მოქმედებისა და მუშაობის შედეგები.როცა ისინი ერთხელ დასახულ მიზნებს

შეასრულებენ მაშინ მე შეძლება მექნება ვთქვა, რომ ისინი მართლაც კარგი ქართველები არიან ზოგი. მანამდის კი მეც მზადა ვარ დავეხმარო მათ ამ საქმეში, რამდენადაც შემიძლია.

შემდეგ ს.პ.სერს: "გამსახურდიას მზგავს შოვინისტებს ალბათ ნაციონალური "რეზნია" მოსწყურდათო". უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ქართველებს ამ სიტყვის ექვივალენტიც კი არ მოგვეპოვება. ჩვენ შემარიგებელ ფარად ჩავუდექით 1905 წელს სომხებსა და თათრებს შუაში, როცა ვორონცოვ-დაშკოვები ამგვარ "რეზნიას" აწყობდნენ და სახაზინო თოფებს ურიგებდნენ სომხებს და თათრებს.

არც ქართველ ხალხს და არც ქართულ სახელმწიფოს არც შორეულ წარსულში და არც უახლოესში ასეთი "რეზნია" არასოდეს არავისთვის არ მოუწყვია, პირადად მე ასეთი "რეზნია" და "პოგრომები" რომ მიზანშეწონილად და კულტურულ საშუალებად მიმაჩნდეს, ამისთვის ლენინს კი არ მივწერდი წერილს, არამედ ისეთივე გზით ვივლიდი, როგორითაც ძველი რუსეთის პურიშკევიჩები და ძმანი მათნი, ვიდოდნენ, რომელთაც ეს სიტყვა მოიგონეს და ათი ათასი ებრაელის სისხლი დაანთხიეს რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში. ნურავის დაავიწყდება, რომ ჩვენ ქართველებს თამამად შეგვიძლია ჟან პოლის სიტყვები გავიმეოროთ: "ჩვენ თავს ვაკუთნებთ იმ მაღალ მოდგმას, ვინც სიბნელეში მზეს ინატრებდა". საქართველო პოლიტიკური რადიკალიზმის ქვეყანაა, რომელშიაც თვით ხუცები და ხუცის შვილებიც საუკეთესო რევოლუციონერები გამოდიან. ეს ნუ დაგავიწყდებათ, ჩვენ არ გვემარჯვება უდანაშაულო შეხიზნულების სისხლის დანთხევა, ჩვენ როგორც წარსულში, ისე აწმყოშიაც ჩვენი საკუთარი სისხლის დანთხევა გვემარჯვებოდა და გვემარჯვება, საკუთარი სისხლის დანთხევა ჩვენი თავისუფლებისა და ჩვენი ერის არსებობის უფლების დასაცავად.

გაეცნონ ქართველი ერის ისტორიას და თვით დარწმუნდებიან ამაში.

1921 წლის მაისის 13-ს.

წყარო: გაზეთი "სოციალ-ფედერალისტი", №62, მაისის 15. 1921 წ. გვ.1-2.

## ვინ არის შოვინისტი?

საერთოდ კამათი უნაყოფოა იმ შემთხვევაში, როცა ისეთ არამია-ნებთან გაქვთ საქმე, რომელთაც სიმართლისა და ჭეშმარიტების გამორკვე-ვა როდი აინტერესებთ, არამედ ცოფიანი სიტყვებით გულის მოჯერება.

საქ.კომ.პარტიის ცენტრალური ქართული ორგანო "კომუნისტი" თვი-თვე აღიარებდა ამ ორიოდე კვირის წინად ერთერთ მეთაურში:"ჩვენ გულ-წრფელი კრიტიკა გვინდაო".

"პრავდა გრუზიის" და "ბატუმსკაია იზვესტიას" ეს გულწრფელი კრიტიკა ვერ მოუწონებიათ.

პირველმა ჩემმა მოკამათემ ს.პ. ერთი არგუმენტიც ვერ მოიყვანა ჩემ დებულებათა წინააღმდეგ.

მან მეორე წერილში კიდევ ერთხელ მომაძახა:"შოვინისტი" და ბოლოს დასძინა "რაკი გამსახურდიას აინტერესებს ჩემი ეროვნება, მე რუსი ვარო".

მართალია, მე მაინტერესებდა რომ ჩემ მოკამათეს თვითვე ეთქვა რომ ის რუსია, თორემ მე მას წერის მანერაშიაც შევატყვე რომ ის რუსი იყო. ამ შემთხვევაში სამწუხაროა, რომ საქართველოში რუსის კომუნისტიც ისე ნაკლებ უწევს ანგარიშს ქართველი ერის სუვერენობას, როგორც ძველი რუსეთის რუსები, ან თუ გნებავთ "სოციალისტი" კერენსკი, რომე-ლიც პეტროგრადიდან ნოტებით გვამუქრებოდა:"ქართველებო, არ გაბედოთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაო".

ამაოდ სწადია ბ.ს. პ.ს. მე შოვინიზმი თავს მომახვიოს, მე ყოველი რუსის წინააღმდეგი არ გახლავართ.

ლეონ ტოლსტოიც რუსი იყო, რომელსაც მე ისევე პატივს ვცემ, რო-გორც გოეთეს და დანტეს, მიქელანჯელოს და პლატონს. ეს სხვათა შორის ერთად ერთი იყო მოაზროვნე რუსთა შორის, რომელმაც თავის "ჰაჯი მუ-რატში" დაუვიწყარი სურათი მოგვცა, იმ უხეში რუსული სოლდატესკისა, რომელიც ყოველივე "არა რუსულს" დაპყრობილ ქვეყნებში, საოცარის

ვანდალური ინსტინქტებით სდევნიდა და ანადგურებდა. ეს იმპერიალის-ტური რუსული სოლდატესკა ასი წლიწადი სდევნიდა ქართულ ენას საქართველოში, ქართულ ზნეჩვეულებას და ქართულ კულტურას. ამ რეჟიმის ხელით რუსის ბერები და ეპისკოპოსები სისტემატურად ანადგურებდნენ ქართულ მონუმენტალურ კულტურას.

ამ ხნის განმავლობაში რუსებს საქართველოში გარდა პოლიგონე-ბისა, ყაზარმებისა, გამარუსებელ სკოლებისა და შხამიანი რუსული გაზეთებისა არა დაუტოვებიათ რა და ნუ თუ ვინმე მოითხოვს დღეს ქართველი პატრიოტისაგან რომ ჩვენ ასეთი რუსები გვიყვარდეს?

როცა ძველი რუსეთი დაინგრა განა სოციალისტი კერენსკი არ იყო ის, ვინც თვით ქართული უნივერსიტეტის ტფილისში დაარსების ნებას არ გვაძლევდა? ასე ეშინოდა საქართველოს სინათლის კერისა რუსეთის სიბნელის ხელისუფლებას.

რუსეთის კომუნისტების პირიდან არაერთხელ გაგვიგია, რომ მათ აღმოსავლეთის და კერძოდ ინდოეთის განთავისუფლება უნდათ ინგლისის ბატონობიდან.

მუდამ ვამბობდი, რომ ინგლისი მსოფლიოს ჟანდარმერიის როლშია აქერ ორიოდე საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ასეთმა ინგლისმა ინდოეთ-ში 6 უნივერსიტეტი დააარსა. რა გააკეთა ძველმა რუსეთმა კულტურულად საქართველოსათვის, რის შედარებაც შეიძლება ჩვენ იმ მუშაობასთან, რომელსაც ინგლისელები უარყოფით მხარეებთან ერთად აწარმოებდნენ თა-ვიანთ ხელისუფლების ქვეშ მყოფ ქვეყნებში?

წერა გაგიკვირდება, რომ ნიკოლოზ მეორისა და კერენსკის რეჟიმის მსახურებს სხვა არაფერი აინტერესებდათ თუ არა რუსიფიკაცია და ერე-ბის პოლიტიკურად დამონება.

ამ რეჟიმის რუსებს საქართველო უყვარდათ უქართველებოდ, ქართული მწვადი და კახური ღვინო, და ქართული კულტურის ასაღორძინებლად და გასავრცელებლად კი [illegible] რომ ყოველ [illegible] არა ერთხელ [illegible] არის? ქ[illegible] ვლებს აძლევდნენ [illegible] არა?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა კომუნისტური რუსეთის პოლიტიკური აგენტები საქართველოში, ბუნებრივად სთვლიან ქართული ენის გაძევებას საქართველოს რკინის გზის უწყებიდან და სხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან, ისინი ამ გაუგებრობის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკას "შოვინიზმად" ნათლავენ. ეს სრულიად გაუგებარია და სამწუხარო.

"პრავდა გრუზიის" თანამშრომლის ს.პ.-ზე უფრო უმწიფარი აზრები გამოიდამშერა ჩემ წინააღმდეგ ბათუმის "ბატუმსკაია იზვესტია"-ში ვინმე ს.რუდაკოვმა.

გაზეთის ბოლოში ვკითხულობთ: ს.რუდაკოვი. პასუხისმგებელი რედაქტორი.

"დიკი ვოპლ შოვინიზმა"-შოვინიზმის ველური ღაღადისი ჰქვიან ამ წერილს.

რაც შეეხება პირველ ჩემ წინააღმდეგ მიმართულ ეპითეტს, უნდა მოვახსენოთ პასუხისმგებელ რედაქტორს, რომ ველურობის ნიშანდობლივი თვისება აღვირახსნილობა და თავშეუკავებლობაა. ვერცერთ ჩემს ნაწერში ნეიტრალური მკითხველი ერთ უტაქტო და თავშეუკავებელ სიტყვას ვერ იპოვნის.

როცა ადამიანს ნათელი აზრები გამოელევა, იგი გინებას მოჰყვება და გინება სხვა რაღაა თუ არა და უსუსურობის, ინტელექტუალური უძლურობის ნიშანი. მე ამოვწერ იმ ეპითეტებს, რომლითაც ჩემი წერილების არგუმენტების ლოგიკას უპირებს დარღვევას ბ.რუდაკოვი.

"ასეთი პოლიტიკური ეგზემპლარი როგორც კ.გამსახურდია, შოვინისტი კ.გ., მეომარი შოვინისტი ("ოჩუმლელი შოვინისტი"), კონტრ.რევოლუციონერი, თეთრი გვარდიელი, შავი ჯადოსანი, "კუდესნიკი", მისტიური რეაქციონერი და სხვა.

ერთ დროს დოსტოევსკიმ აღიარა, რომ არც ერთ ენაზე ისე მხატვრულად გინება არ შეიძლება, როგორც რუსულად, მაგრამ როცა საქართველოში კომუნიზმის იდეების საქადაგებლად ჩამოსული რუსები ჩვენს აზრებს და ლოგიკას "მხატვრულ გინებას" უპირდაპირებენ, ეს ჩემთვის სრულიად გაუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გებარია. ყველაფერი ეს ჩვენში ბრაზს კი არ იწვევს, არამედ სიცილს. უნდა შევნიშნოთ, რომ ბ.რუდაკოვი სრულიად უაზროდ ხმარობს უცხო სიტყვებს: შოვინისტი, მეტაფიზიკოსი, მისტიკოსი და სხვა.

აუხსნათ ბ.რუდაკოვს თუ რას მოასწავებს სიტყვა შოვინისტი; ან ვის ეწოდება შოვინისტი? Chauvin -ბ.რუდაკოვო, საფრანგეთის პირველი იმპერიის ერთ ტრაბახა ჯარისკაცს ერქვა. აქედან შოვინისტებს ეძახდნენ საფრანგეთში, იმ ფრანგის კურაპატრიოტებსა და ნაციონალისტებს, რომელთაც მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი უკვე რესპუბლიკური სახელმწიფო იყო, ყოველმიზეზგარეშე უნდა აღედგინათ საფრანგეთის იმპერიის ბრწყინვალება, რომელსაც უნდა დაეჩრდილა და დაემონავებინა მეზობელი პატარა ერები. ეს ანალოგია ზოგიერთ იმ რუსებსაც ეხება, რომელნიც ახალ კოკარდებს ატარებენ მუნდირზე და ჩუმად, გულში, ძველი რუსეთის საზღვრებს. ხომ ასეა ბ რუდაკოვო?

რუსეთის სინამდვილეში შოვინისტები იყვნენ თქვენი თანამემამულენი: გრაფ ბობრინსკი, სტოლიპინი, მარკოვი, პურიშკევიჩი და მილიუკოვიც, რომელთაც თავის ქვეყნისა და ხალხისათვისაც ვერ ეპატრონებიათ და მოევლოთ და მიუხედავად ამისა, ყველა იმ პატარა და დიდ ერების დამორჩილება ენადათ, რომელნიც მოსახლეობენ ჩრდილოეთ ტორნეო და ყინულოვან ოკეანემდის, აღმოსავლეთით იაპონიამდის და სამხრეთით ჰიმალაიმდის. ამ ვაჟბატონებს საერთო საგანთა შორის იყო ჯვარის აღმართვა აია სოფიაზე, მაგრამ მათ თავიანთ თავს დაუსვეს მხოლოდ ჯვარი. მათვე ეგონათ, რომ ქრისტეს მოძღვრების სახელით ოსმალეთი უნდა "გაეთავისუფლებიათ" ოსმალებისაგან.

შოვინიზმი, როგორც იმპერიალისტური იდეოლოგიის პარტიი, გუდავ დიდ ერებს ახასიათებდათ. პატარა ერის წიაღში შოვინიზმი შეუძლებელი ამბავის გახლავთ. აბა თქვენ თვითონ იფიქრეთ, დღეს რომ საქართველოში რომელიმე ქართველმა დაღესტანის, დონისა, ყუბანის, ან მცირე აზიის [illegible]ყროსამზე იქადაგოს [illegible] შეხვედრით ქართველი მიხ. გედევანიშვილი [illegible].

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვერც ჩვენს წერილებში აღმოაჩენს ვინმე შოვინიზმს,ვისაც მისი განძრახ მოძებნა და მოგონება არ უნდა.

მე რასაც ვწერ ეს სულ მარტივი ეროვნული პოლიტიკა გახლავთ,მე ვამბობ:საქართველოს სახელმწიფოს სუვერენობა ხელშეუხებელი უნდა იქნეს,სულერთია იქნება ეს დემოკრატიული რესპუბლიკა,თუ ს.ს.საბჭოთა რესპუბლიკა.მე ვდგავარ ამ შემთხვევაში საქართველოს საბჭოთა მთავრობის პირველ დეკლარაციის ნიადაგზე,რომელმაც თვითვე აღიარა საქართველოში სახელმწიფო ენა, ეს ქართული ენააო.

დემოკრატიული საქართველო თავის ძველ საზღვრებში გადავიდა საბჭოთა საქართველოს მთავრობის ხელში.მე როგორც ქართველი პატრიოტს, საჭიროდ და აუცილებლად მიმაჩნია ამ საზღვრების დაცვა.შემდეგი საკითხია ჩემი დამოკიდებულება საბჭოთა სისტემისა და კომუნიზმის იდეოლოგიისადმი.პირველ შემთხვევაში მე მიმაჩნია,რომ სახელმწიფოს ფორმა იქნება ეს საბჭოთა სისტემა,თუ დემოკრატიული პარლამენტარიზმი,ორივე მისაღებია,რადგანაც ფორმა კი არ არის მთავარი,არამედ ის შინაარსი,რომელსაც მთავრობა და ერი ჩასდებს მათში.რაც შეეხება კომუნიზმის იდეოლოგიას,იდეები თავისთავად ერისთვის მავნებელი არ არიან,საქმე მათ მოხმარებაშია.

რაც შეეხება ჩემს "ბურჟუობას",თქვენ ხომ იზიარებთ მარქსის "მდგომარეობა შეიქმს შეგნებას"? საქართველოში არც ერთ ხეს,არც ერთ სახლს ჩემი სახელი არ აწერია,მე საქართველო,ზოგიერთ გადამთიელებსავით ტყვარჩელის ნახშირის ან ტყიბულის მაღაროების სიმდიდრისათვის არ მიყვარს.

იმასაც ინდიფერენტულად ვუცქერი,თუ როგორ გაინაწილებენ ერთი ეროვნების წრის ადამიანები თავიანთი ქვეყნის მატერიალურ სიმდიდრეს,რადგანაც ადამიანების უბედურების მთავარი წყარო მატერიალურ ქონებრივ განწყობილებაში არ მეგულება.უფრო მეტი მიდრეკილება მაქვს ვისურვო,რომ მატერიალური სიმდიდრე თანასწორად გაინაწილონ ადამიანებმა.

ამ იდეებში არსად შოვინიზმი არ არის.ის კი შოვინიზმია თქვე-

ნის მხრით, თქვენისთანები საქართველოში კომუნიზმის საქადაგებლად მოდიან და პირში ბურთის ჩარჩას უპირებენ იმას, ვინც ამბობს: "იქადაგე კომუნიზმი, მაგრამ პატივი ეცით ამ ერის სუვერენობას, ქართულ ენას და ქართულ კულტურას". ისიც შოვინიზმია თქვენის მხრით, რომ როცა თქვენ ქართულის ნაცვლად რუსული ენა და რუსული კოლონიზაცი გინდათ გაავრცელოთ ისეთ ქვეყანაში, რომელიც რუსის ერს არ ეკუთვნის. მე ვწერ და ვმუშაობ საბჭოთა საქართველოში და როცა ვხედავ, რომ სიმართლისა და სინათლის შუქის შეტანაა ქართულ სინამდვილეში საჭირო, ამ სიმართლეს მაინც ვიტყვი თუნდაც სახრჩობელა მელოდეს ამისთვის.

თქვენ ლაპარაკობთ ჩემს ვაჟკაცობაზე? როცა ორ კაცს შორის ვაჟკაცობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, აქ იგულისხმება რომ ორივე ერთნაირი იარაღით უნდა იყვნან აღჭურვილი. ჩემი წინაპრები იარაღით ებრძოდნენ ბარბაროსობას, განგებამ ინება, რომ ჩემი იარაღი კალამი იყოს, თუ ისეთი ბნელი დრო დაგვიდგება, რომ კალამს და გონებას გასავალი აღარ ექნება, შეიძლება სხვა იარაღის ხმარებაშიაც არ ჩამოვრჩე თქვენისთანებს.

რაც შეეხება მეტაფიზიკას და მისტიკას, ამაზე მე თქვენ არც გეკამათებით, ამისათვის გამგონეს უფრო მაღალი რანგის აზროვნება და გულისყური დასჭირდება, ვიდრე თქვენ გამოიჩინეთ ჩემთან კამათში.

და ბოლოს ვურჩევ რუსული გაზეთების "პასუხისმგებელ რედაქტორებს" ყური ათხოვონ თავიანთი ბელადის, ლენინის დარიგებას და გინების ნაცვლად საქმიანობაზე გადავიდნენ.

ტფილისი მაისის 27-ს.

გაზ. სოციალისტ ფედერალისტი 1921წ. №72, მაისის 28, გვ. 1-2

ამ იდეაში არსად შოვინიზმი არ არის. ის კი შოვინიზმია თქვენის მხრით, თქვენისთანები საქართველოში კომუნიზმის საქადაგებლად მოდიან და პირში ბურთის ჩაჩრას უპირებენ იმას, ვინც ამბობს: "იქადაგეთ კომუნიზმი, მაგრამ პატივი ეცით ამ ერის სუვერენობას, ქართულ ენას და ქართულ კულტურას". ისიც შოვინიზმია თქვენის მხრით, რომ როცა თქვენ ქართულის მაგივრად რუსული ენა და რუსული კოლორიტი გინდათ გაავრცელოთ ისეთ ქვეყანაში, რომელიც რუსის ერს არ ეკუთვნის. მე ვწერ და ვმუშაობ საბჭოთა საქართველოში და როცა ვხედავ, რომ სიმართლისა და სინათლის შუქის შეცვალა ქართულ სინამდვილეში საჭიროა, ამ სიმართლეს მაინც ვიტყვი თუნდაც სახრჩობელა მელოდეს ამისთვის.

თქვენ ლაპარაკობთ ჩვენს ვაჟკაცობაზე? როცა ორ კაცს შორის ვაჟკაცობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, აქ იგულისხმება რომ ორივე ერთნაირი იარაღით უნდა იყვნენ აღჭურვილი. ჩვენი წინაპრები იარაღით ებრძოდნენ ბარბაროსობას, განგებამ ინება, რომ ჩვენი იარაღი კალამი იყოს, თუ ისეთი ბნელი დრო დაგვიდგება, რომ კალამს და გონებას გასავალი აღარ ექნება, შეიძლება სხვა იარაღის ხმარებაშიაც არ ჩამოვრჩე თქვენისთანებს.

რაც შეეხება მეტაფიზიკას და მისტიკას, ამ ზე მე თქვენ არც გეკამათებით, ამისათვის გამგონეს უფრო მაღალი რანგის აზროვნება და ლოგიკური დასკვნები, ვიდრე თქვენ გამოიჩინეთ ჩემთან კამათში.

და ბოლოს ვურჩევ რუსული გაზეთების "პასუხისმგებელ რედაქტორებს", ყური ათხოვონ თავიანთი ბელადის, ლენინის დარიგებას და გინების ნაცვლად საქმიანობაზე გადავიდნენ.

ტფილისი მაისის 27-ს.

გაზ. "სოციალისტ ფედერალისტი", 1921 წ. N72, მაისის 28, გვ. 1-2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ქართველ მოღვაწეთა არქივიდან

აკად. ივ. ჯავახიშვილის წერილი ნიკო მარს.

პატივცემულო ბატონო ნიკო!

თქვენი წერილის მიღებისთანავე მისი შინაარსი ვაცნობე ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიას და შევეკითხე "სასურველია თუ არა იაფეტურ ენათმეცნიერისაგან ერთადერთ დღევანდელ მიღწევნილება-ზე ლექცია რომ წაკითხული ყოფილიყო" თქვენ მიერ ჩვენს უნივერსი-ტეტში ქართულად. თქვენი თხოვნის თანახმად გაცნობებთ კოლეგიის და საერთოდ პროფესურის აზრს სრულიად გულწრფელად.

ჩვეულებრივ პირობებში უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგია სიამოვნებით შეისმენდა სურვილს "თქვენი სხვაფრივ მოაზროვნეობის და მიუხედავად", მაგრამ თქვენ მიერვე შექმნილ პირობებში პროფესორ-თა კოლეგიას თქვენი სურვილის დაკმაყოფილება სრულიად შეუძლებლად მიაჩნია.

ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების განზრახვას მთელს რუსეთში, არავინ არ შეხვედრია ისე მტრულად, როგორც თქვენ. 1917 წლიდან მოყოლებული, არავის თქვენებრ თავგამოდებით არ უწერია და უბრძოლია ამ წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადასაქცევად. განსაცვიფრებელი ფრიად და სამწუხარო ის გარემოება იყო ყველა ჩვენთაგანისათვის, რომ ასეთი ერთადერთი წმინდა და უანგარო საქმე თქვენთვის სრულიად გაუგებარი გამოდგა, საქართველოს კულტურული აღორძინების და განათლების კერისათვის საძირკვლის ჩაყრამ თქვენ, იაფეტური ენათმეცნიერების წარმომშობლის გულში, სიხარულის მაგიერ, საქართველოს უნივერსიტეტის დაარსებამ განუსაზღვრელი სიძულვილი აღძრა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გუნებაზე დაგაყენათ. ეს იაფეტური ენათმეცნიერების წარმომადგენელსა და მესვეურს, საქართვე-ლოს შვილს როგორღაც არ შეგშვენოდათ.

მაგრამ ზეპირად მოსულს ამბავს მაშინ ჩვენ სათანადო ანგარიში არ გავუწიეთ და ეს სამწუხარო თქვენი ხასიათის მოვლენა სიტყვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებით და წარმავალ შედეგად მიიჩნიეთ. ამ დროს ჯერ კიდევ წაკითხული არ გვქონდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებით გამოწვეული თქვენი მოხსენება, ჯერ რუსეთის განათლების სამინისტროში, ხოლო შემდეგ მეცნიერებათა აკადემიისათვის წარდგენილი.

როდესაც თქვენი 1920 წლის XI 28 დღის თარიღით დაწერილი წერილი მოგვივიდა რომიდან, რომელშიაც ჩვენს უნივერსიტეტში გადმოსვლის ამბავსა და ქართულ ენაზე წასაკითხავ ლექციების სათაურებს გვატყობინებდით, თანაც გვეკითხებოდით თუ სახელდობრ რა თანამდებობა გექნებოდათ ჩვენს უნივერსიტეტში, მაშინ უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიამ ეს თქვენი მომართვა ისე გაიგო, რომ თქვენ გსურდათ ამ ახლობელი წარსულის უსიამოვნო მოგონება დავიწყებისათვის მიგვეცა და ამით ჩვენგან დაწყებულ გამარჯვებულ საქმეს, იმდენად უდაოდ სცნობთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებასაც კი კისრულობდით.

ამიტომ პროფესორთა საბჭო მაშინ სიხარულით შეეგება თქვენს განზრახვას და სურვილს და დასავლეთ ევროპიდან თქვენი საქართველოში ჩამოსვლის მოლოდინში იყო პირობისამებრ. მაგრამ შემდეგ ჩრდილოეთის მძაფრმა ქარმა დაჰბერა კავკასიაშიც[1], და თქვენც, როგორც მერე გავიგეთ, თქვენს ხომალდს საქართველოს ნაცვლად პეტრეს ქალაქისაკენ უბრუნეთ პირი რუსეთისაკენ მანამდე შეკრული გზა გაიხსნა და იქითგან შემთხვევით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის ის ნომერი მოგვივიდა, რომელშიაც თქვენი მოხსენება იყო დაბეჭდილი, ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებით გამოწვეული. მხოლოდ მაშინ გავიგეთ სრულის სიცხადით, ჩვენდა სამწუხაროდ, რაოდენი სიძულვილისა და მტრობის გესლით ყოფილა აღსავსე თქვენი მაშინდელი მოღვაწეობა საქართველოს მიმართ. პროფესორთა საბჭომ მოისმინა

---

1 ე.ი. საბჭოთა ჯარები შემოვიდა საქართველოში 1921 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ყოველივე, იგი თუმც სამწუხარო, მაგრამ უკვე წარსულის მოვლენად მიიჩნია.

მაგრამ საქმეთა შერმინდელმა მიმდინარეობამ, მეტადრე საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ ქართულ სიძველეთა რუსეთის მუზეუმებიდან საქართველოში უკან დასაბრუნებლად აღძრულ საკითხის გამო მოწყობილ რუსეთ-საქართველოს წარმომადგენელთა თათბირზე თქვენმა გამოსვლამ ცხადჰყო, რომ ის თქვენი წარსულის სამწუხარო მოვლენა აწმყოშიაც გრძელდებოდა და ისევე როგორც ამაზე უწინარეს და ამ თათბირის დროსაც თქვენს, როგორც სიტყვიერს ისევე წერილობით განცხადებაში, ქართველ მეცნიერთა მისამართით, ჩვენი უნივერსიტეტისა და თვით ჩვენი სამშობლოს საქართველოს შესახებ მრავალგზის სრულიად შეუწყნარებელი და შეურაცმყოფელი სიტყვები და გამონათქვამები გიხმარიათ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მდივნისადმი მიმართულს თქვენს უკანასკნელს განცხადებაში ისეთ თავდავიწყებამდის მისულხართ კიდეც, რომ თქვენი თავისათვის უფლება მიგიციათ თანამედროვე საქართველო სამეცნიერო მოღვაწეობისათვის გაუნაყოფიერებელ ქვეყნად გამოგეცხადებინათ, რომელშიაც თითქოს მდაბალი ბიოლოგიური ნაციონალისტური გრძნობები ბატონობდეს, ხოლო იმავე დროს კვეხნითა და ბაქიობით აცხადებთ, რომ ვითომც პეტერბურგში სამეცნიერო შემოქმედებისათვის ისეთი ბედნიერი პირობები ყოფილა, რომ მთელს დედამიწის ზურგზე ცისა და მთვარე ვარსკვლავების ქვეშე არსად სხვაგან მსგავსი არა მოიპოვება რა და თქვენი პიროვნების გარემოს გარდა არავისთან სხვასთან თურმე მუშაობა არ შეძლებულა.

რაოდენ მეშვენის ამგვარი უმაგალითო თავმომწონეობა მეცნიერს, ეს თქვენი პირადი საქმეა, ამაზე მსჯავრის დადება თქვენი მანდაური მკითხველებისა და მსმენელებისათვის მიგვინდვია. მაგრამ

ყოველ მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს. რაც შეეხება საქართველოს, გინდაც ახლანდელს, გინდაც ნაქცეულს, უნდა კარგად გცოდნოდათ და გესმოდათ, რომ მისი შეურაცხყოფის უფლებას თქვენ არცერთი ქართველი, მიმართულებისა და აზროვნების მიუხედავად, არასდროს და არავითარ პირობებში არ მოგცემდათ.

სწორედ ამიტომ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგია ფიქრობს, რომ ამის შემდგომ ჩვენს უნივერსიტეტსა და თქვენს შორის რაიმე თანამშრომლობა სრულიად შეუძლებელია. მას უკვირს კიდეც, რომ თქვენ "ასეთ სამეცნიერო შემოქმედებისათვის გაუნაყოფიერებელს ზოოლოგიურ ეროვნულ გრძნობებით შეპყრობილ საქართველოში" ლექციების წაკითხვა მოგინდომებიათ, იმ უნივერსიტეტში, რომელსაც მეცნიერული ავლადიდებისა და შემოქმედების აუცილებელ სიღატაკეს და არსებობის უფლებას ასეთი თავგამოდებით და შეურყეველი რწმენით უწინასწარმეტყველებდით.

ისევე სჯობია თქვენ თქვენთვის ბრძანდებოდეთ. ჩვენ აქამდისაც არ შეგვიწუხებიხართ და გარწმუნებთ არც შემდეგში შეგაწუხებთ. დაე, მაშ ჩვენმა კეთილშობილმა მეცნიერულმა მუშაობამ, თუ გინდ პატიოსანი მეცნიერებისა და მეტოქეობის შედეგებმა დაანახოს ყველას და პირუთვნელმა ისტორიამ დასდოს თავისი თვალუვამი მსჯავრი, თქვენ თუ თქვენგან ათვალისწუნებული თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერნი არიან მართალნი.

პეტერბურგელ მეცნიერთათვის ხელის შეშლა არც წინად მოგვსვლია ოდესმე ფიქრად, არც მომავალშიც. მრავალგვარ ზემოაღნიშნულ უსიამოვნებისდა მიუხედავად ყოველთვის გულწრფელად მოხარული ვიქნებით პეტერბურგელი მკვლევარის თვითეული თხზულებისათვის, თუ რომ იგი წმინდა მეცნიერული იქნება და არა იმგვარი პუბლიცისტური ხასიათის, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური და კულტურულ-ეროვნული განადგურება ექნება მიზნად დასახული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასასრულ – თქვენი წერილის დაბოლოება შემდეგი მრავალმეტყველი სიტყვებით გინებებიათ: "თუმც სხვაფრივ მოაზრე, სულ იგივე და მისივე მსურველი, რასაც თქვენ მიელტვით". ჩვენთვის ბედნიერება იქნებოდა ეს გარემოება რომ ყოველთვის ცხადი ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ თქვენი უკანასკნელი წლების ნაწერებიდან ეს არ ჩანს და თქვენი მოხსენებებისა და თხზულებების ყველა, თვით არა ქართველ მკითხველსაც, სულ სხვანაირად ესმით მთელი თქვენი 1917 წლის მერმინდელი მოღვაწეობა და პეტერბურგიდან საგანგებოდ ჩამოტანილი თქვენი მოხსენებანი ჩვენსა და ჩვენი უნივერსიტეტის დაუძინებელ მტრებს სწორედ თავიანთი ზრახვების სახარებად, ხოლო ჩვენი უწმინდესი გრძნობებისა და სულისკვეთების საუკეთესო გამანადგურებელ იარაღად მიაჩნიათ!...

დავშთები მაინც მარად თქვენთვის კეთილის
მოსურნე ივ. ჯავახიშვილი

ქ. თბილისი
1923 წელსა დეკემბრის 7 დღესა.

ივანე ჯავახიშვილის წერილი ნიკო მარისადმი გადმოწერილია იასე ცინცაძის მიერ 1924 წელს. ამ წერილის შავი ხელთ ჩაგვივარდა შემთხვევით. ივ. ჯავახიშვილმა საკუთარი წიგნი გვათხოვა მის სემინარში მომუშავეებს, კერძოდ იგი გადასცა ნ. ბერძენიშვილს. წიგნში კი აღმოჩნდა ცალკეულ ფურცლებზე თვით ივ. ჯავახიშვილის ხელით დაწერილი ეს ტექსტი, საკმაოდ შესწორებული სტრიქონები, ნაშლილი და ზევიდან მიწერილი. ტექსტი ძნელად გასარჩევი იყო, მაგრამ გულმოდგინებით და დაკვირვებით გადმოიწერა. მაშინ სტუდენტი ვიყავი. ტექსტის დედანი ისევ წიგნში ჩავდევით და წიგნთან ერთად დავუბრუნეთ ბატონ ივ. ჯავახიშვილს. მისთვის შემდეგშიაც არ მითქვამს, რომ მისი წერილის ტექსტი გადმოწერილი მქონდა, უხერხულად მივიჩნიე წერი-

126
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლის მოპარვა და ნებართვის გარეშე გადაწერა.

ხელმოწერილი

1956 წ.

დეკემბრის 4.

ქ.თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი წერეთელის წერილი სანდრო შანშიაშვილისადმი

ძმაო სანდრო!

მიგიღე შენი წერილი. მივიღე და ძლიერაც გამიხარდა საზოგადოდ ქართველი მწერლის მეგობრობაში და კერძოდ ჩემს ახლანდელ ყოფაში ზნეობრივი თანაგრძნობა გაზაფხულის სხივთა ზამთრის ყინვაზე დამშვე-ბული. შენი წერილიც წორედ ეს სხივი იყო ჩემთვის. მადლობელი ვარ ძმაო იმ ტკბილი წუთებისათვის, რომელიც მე ვიგრძენ შენი წერილის წაკითხვით. მადლობელი ვარ და გიგზავნი ჩემს გულმხურვალე სალამს. ამ მოკლე წერილით ვერ გამოვთქვამ ყველა იმას, რაც მე მინდა დიდ-ხანია ვთქვა, რაც შიამის ტბათ ტრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა კი ჩემმა ვაიმეგობრებმა დაატრიალეს. მართალს გწერ სანდრო, ვიცი რო იმგვარი გადამთხვეულები, რომლებისთვისაც შენ კბილები მოგიმტვრევია, ბევრნი არიან, მლანძღავენ, მჭორავენ, აქა ვარ, გამოვეცალე იქა-ურობას, მაგრამ ჩემს ლანდს მაინც უყეფენ და მოპარვით ზურგიდამ მჩხვლეტავენ. კარგა ხანია რაც იმ გველებმა სისინი დაიწყეს, ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ამგვარმავე "გადამთხვეულებმა" ილიას ტყვია დაახალეს. ეს ტყვია მეც მომხვდა როგორც სამგლოვიარო სევდა, მე ხმა ამოვიღე ლექსით, წერილებით და აქ გაწყდა ჩემსა და მათ შორის შემა-ერთებელი ძაფი. მაგრამ მე მართალს არ ვამბობ, ძაფი კი არა, ნამდვილი ჯაჭვი. ჯაჭვი იმიტომ, რომ მათთან ვიყავ მე მიჯაჭვული მთელი ათი თერთმეტი წლის განმავლობაში იდეურად. მხოლოდ საქმე იმაშია, რო არავინ იცის როდის დაიწყო ჩემს გულში ბრძოლა, ბრძოლა ორი აზრის შორის: რას ვემსახურო: საქართველოს ერს როგორც პოლიტიკურად და-ჩაგრულ ხალხს, თუ პროლეტარიატს, როგორც ეკონომიურად დაჩაგრულ კლასს. ორივე ჩემთვის ძვირფასი იყო და დღესაც ძვირფასია, მაგრამ, როდესაც ქართველმა ესდეკებმა*) საქართველოს ხსენებაც კი სათაკილოდ გახადეს, როდესაც მისი აწინდელი კვნესა მომავალი სოციალიზმის

---

*) სოციალ-დემოკრატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეებასთან დააკავშირეს და ცხონებას სიკვდილის შემდეგ დაჰპირდნენ, მაშინ კი ჩემი აზრები ჩემმა გულმა გადააფრინა მათ წინააღმდეგ. ეს მოხდა ჯერ ისევ 1903 წელს, მაშინ მივანებე კიდეც "კვალში" თავი მუშაობას. წელწელა მიდიოდა ეს ნაკადული ჩემს გულში, ჩუმათ, მარტოდ-მარტო ჩემს ფიქრში, ძნელი იყო თორმეტი წლის ნაჭერი ჯაჭვის განყვეტა და აი იღია დამეხმარა მე თავის სიკვდილით. იმ დღიდან კი სამუდამოდ ვიბრუნე პირი ქართველი ესდეკებიდამ და თუ მივბრუნდები დღეს მათკენ, მივბრუნდები მხოლოდ იმისთვის, რომ მივაფურთხო მათ. ვიმეორებ და შენს ყურადღებას მივაქცევ ორ სიტყვას: ქართველ ესდეკებისკენ მეთქი. იმიტომ, რო ასეთი უკუღმართი შეხედულობა როგორც მათ აქვთ ეროვნულ საკითხზე, არც ერთი ქვეყნის ს-დემოკრატს არ აქვს. დააკვირდი და ყურადღება მიაქციე ავსტრიის ესდეკებს, გერმანელებს და სხვა. მაგრამ თუ დღეს ქართველ მუშას ასეთი უკუღმართი შეხედულება აქვს ეროვნულ საკითხზე, ამაში რასაკვირველია ქართველი ესდეკი ინტელიგენციაა დამნაშავე. მეც ერთი მათგანი ვარ და მინდა ჩემი შეცდომა გამოვასწორო, მე ისიც კარგად ვიცი სანდრო, რომ ბევრს ამავე მიზეზის გამო შეგნებულს მუშას და ინტელიგენტს გადმოუბრუნდა ჩემსავით გული, მაგრა ძლიერ ცოტანი ჰბედავენ მათში კერძო ლაპარაკის დროს თავის გულწრფელი აზრების გამოთქმას, წერით ხომ ეშინიათ და ემალებიან იმ ზიზღს რომელიც მე მდევს თან მათი ამხანაგებისაგან. მაგრამ შენ ხომ იცი პოეტის გული კალამს ვერ გაამრუდებს, და მეც ვერ გაუძელ ჩემს გულის თქმას, ვამბობ და ვწერ იმას, რასაც ჩემი გული მელაპარაკება. მათი ნესტრის ტრიალი დაეჯახა ქიზიყელის ჯიუტ გულს და დღეს უნდა გითხრა მე გამარჯვებული ვარ ამ გვერდებზე. მათი მხამიანი ისარი ვერ აღწევს მიზანს, თუმცა ძვირად კი დამიჯდა ეს სულიერი ბრძოლა. ბევრი ნაღველი გამოვიარე და ამ ნაღველმა სიკვდილის ჩრდილი დაჰკრა ჩემს ხელს.

ეხლა კმარა ამაზე, რასაც გწერ, შემდეგ წერილებში უფრო უკეთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად მოვილაპარაკებთ, მოგწერ ჩემი ახლანდელი მდგომარეობის შესახებ მოკლედ: სულის ობლობა, მატერიალური გაჭირვება. მენატრება ადამიანი, რომ ხანდახან გულს ნება მივცე მასთან გამოლაპარაკებით. ქონებრივი მდგომარეობა კი ისეთია, რო ხშირად მენატრება "ჩვარის" პური და თუ საკმაოდ ვიშოვე ხოლმე ქადასავით შევექცევი. ქალაქი ქალაჭუმკაა. ინერები ქუჩის სახელი არ ვიცი და ამიტომ ადრესს კარგათ ვერ ვაწერ წერილსო, აქედამ წარმოიდგინე რა ქალაქი იქნება, როდესაც აქ ქუჩით და სახლის ნომრით კი არ ეძებენ კაცს, არამედ ვის სახლში სცხოვრობს, პეტროვთან თუ პახომოვთან. როგორც მაგალითად ვთქვათ ცლუნკაანში იციან ხოლმე: ჭყაჭიაანთ სახლი, მეხრუნჭაანთ ნაგომარიო და სხვ. თამამად შეგიძლიან მაგ ადრესით წერილების გზავნა. ზაფხულს აქ არა უჭირს რა, უკეთესად ვატარებდი დროს, თითქმის ყოველდღე მივდიოდი მარტო-მარტო მდინარე ვოლგაზე ჩემი პატარა ქვაბით და ნემსკავებით, ვთევზაობდი, დროს ვატარებდი და ვიკვებებოდი. ზამთარი დაიწყო და ტანჯვაც გამოირკვეცდა. გადმოსახლებული პოლიტიკური 25 კაცამდეა, მაგრამ მათთან ოფიციალური კავშირი მაქვს მხოლოდ. მათ შორის ოთხი ქართველი მუშა იყო, ეხლა ორიღაა, ორი წავიდა. უნდა გითხრა, რომ ოთხივე მუშა დიდათ სიმპატიური ყმაწვილები იყვნენ. მათაც მოჰხვედრიათ საქართველოს სიყვარულის ფრთა და ხომ იცი მე უფრო ხელს უწყობდი და ორი უკვე მონათლული გავისტუმრე აქედამ, აქ ორნიღა არიან და იმედი მაქვს ესენიც ისე წავლენ აქედამ, როგორც მათი ამხანაგები. ეხლახან გადმოიყვანეს მეზობელი ქალაქიდამ ერთი ქართველი სტუდენტი სარაჯევი. ქალაქში დაბადებული და გაზრდილი. ქართულს არ ლაპარაკობს, არ ვიცი ჰმალავს, მიჰქარავს ეს ლორი. ქალაქში ე.ი. თბილისში გაზრდილმა ქართველმა ქართული არ იცის. შეიძლება კაი ბიჭიც იყოს, ჯერ არ ვიცნობ კარგად, მაგრამ სამწუხაროდ ამ ერთადერთმა მიზეზმა შემაძაგა ეს გადაგვარებული თხა. შენი მოძღვნილი ლექსი ჩრდილოეთში წავიკითხე, მიჩვენა ერთმა ქართველმა მუშამ, ობმოკიდებულმა მარქსისტმა, რომელსაც

ცოტა ობი გადავაცალე, მაგრამ სამწუხაროთ მალე გაათავისუფლეს და ქანგი მაინც თან გაჰყვა. ასე ჩემო სანდრო, უნდა ვისარგებლოთ ყოველი წუთით და ყოველი შემთხვევით. ამიტომ აი რას გწერ: არ დაჰკარგო ძვირფასი დრო ახალგაზრდობისა, ისწავლე, კარგათ მოემზადე, ჩამოდი შეიარაღებული და შევუდგეთ ერთად რედაქციაში მუშაობას, მე თუმცა უკვე ცხოვრებამ მიმამტვრივ-მომამტვრივა, მაგრამ იმედი მაქვს კიდევ ერთი ათიოდე წელიწადი გამოგყვეთ როგორმე. ამ წუთას და კიდევ წელიწად ნახევარი ვიდრე გამათავისუფლებენ მე თავს მკვდარივით ვგრძნობ, გავცოცხლდები მაშინ, როდესაც კვლავ დავბრუნდები თბილისში. აბა შენ იცი როგორი შეიარაღებული ჩამოხვალ და გავწევთ ერთად ჭაპანს. მწყურიან ბრძოლა, როგორც მკათათვეში ეხის წყალი! კარგა ხანია შენი აღარა წამიკითხავს რა. რას შვრები, რატომ აღარას ჰბეჭდავ. "სახ.გაზეთში" აღარ ვგზავნი ლექსებს. მაწყენინეს ძრიელ. რამდენიმე ლექსი ექვსი შვიდი თვე ელოთ იქ და არ დაბეჭდეს, მართალია ცოტა სახიფათონი იყვნენ, მაგრამ საქმე ის არის რო მიზეზსაც კი არ მატყობინებენ რატომ არ ჰბეჭდავენ, მეც აღარ უგზავნიკე და მივსწერე, რომ აღარც ის ლექსები დაბეჭდონ. ჯერჯერობით ასეა. ბევრარა ხომ იცი როცა ჰსვამს ზრა სცალიან და როცა არა ჰსვამს, ეძებს რომ ისევ დალიოს. ამიტომ არც მაშინ სცალიან წერილებისთვის.

შენი იროდიონი

ნოემბერი, 1911 წ.

---

ადრესი როგორც იყო გადმოვხატე კონვერტზე და არ ვიცი მიიღე თუ არა. ამ წერილის პასუხს ნუ დააგვიანებ, თორემ მოთმინება დაიკარგა. ჩვენები კარგად არიან თუ კიდევ ერთი წელიწადნახევარი გაუძლეს შიმშილს მერე მივეშველებიკე, მაგრამ ვინ იცის? მათი მდგომარეობაც მძანჯავს.